პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი: საქართველოს ფურცლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 17 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 112 (2155)

დღიური

— გერმანია-ლიტვის მოლაპარაკება დროებით შესწყდა.
— მოსკოვში ჩავიდა ესტონეთის საგანგებო ელჩი.
— ქ. ზეინცის (ავსტრია) მუნიციპალიტეტმა იკისრა საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემა საქონლის შესაძენად.
— საქსონიის მელითონეებმა გადასწყვიტეს განაგრძონ გაფიცვა.
— იარაღით ბრძოლა გაფიცულ მემაღაროეთა წინააღმდეგ შეერთებულ შტატებში
— ინდოელ ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება.
— დირიჟაბლი „იტალია“ გაფრინდა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.
— მიწისძვრა კუნძულ იავაზე.

სოფლად მუშაობის ამოცანები

სოფლის სოციალისტური გარდაქმნა ჩვენს წინაშე წამოჭრილია არა როგორც შორეული პერსპექტივა, არამედ როგორც უახლოესი პრაქტიკული ამოცანა, რომელსაც დღითი-დღე ვანხორციელებთ. ამ მხრივ მტკიცე და გარკვეული გეზი გვაქვს აღებული.

ამ ამოცანის გადაჭრაში თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ, სხვათა შორის, საბჭოთა მეურნეობებმა, როგორც მსხვილი სახელმწიფოებრივი მიწადმოქმედების ნიმუშებმა. ისინი ერთი მხრივ მისაბაძ მაგალითს უნდა წარმოადგენდენ გლეხობისათვის, თუ როგორ უნდა იქნეს დაყენებული და წარმოებული მეურნეობა, მეორე მხრით მათ ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ სოფელს უფრო მაღალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე გადასვლაში.

ამავე დროს საბჭოთა მეურნეობები უნდა გახდენ მნიშვნელოვან წყაროდ, რომელიც სახელმწიფოს მიაწოდებს პურეულს და მრეწველობას — ნედლეულ მასალას. საკავშირო კომპარტიის ცეკამ წამოაყენა ლოზუნგი თავისუფალ მიწებზე სამი-ოთხი წლის განმავლობაში ახალ მსხვილ საბჭოთა მეურნეობის მოწყობისა, რამაც ყოველწლიურად უნდა მოგვცეს ას მილიონამდე ფუთი ბაზარზე გასატანი პურეული. ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის იმ რაიონებისათვის, სადაც თავისუფალი მიწებიც შედარებით ბლომად მოიპოება და სადაც პურეულ კულტურას დიდი ნიადაგი აქვს. საქართველოს სინამდვილის პირობებში კი, ცხადია, მოსახმარებლად საჭირო პურის მოყვანასთან ერთად, მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ მაღალ, ტექნიკურ კულტურების განვითარებას, რომ წვლილი შევიტანოთ ნედლეულით მრეწველობის უზრუნველყოფის საქმეში.

ასე საკითხი დაისვა განსაკუთრებით იმ სიძნელეებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშვა პურის დამზადების და რამდენიმე ნედლი მასალით ფაბრიკა-ქარხნების მომარაგების დარგში. ამაში უდიდესი დანაშაული მიუძღვით კულაკურ ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ ყოველგვარ დაბრკოლებების შექმნას პროლეტარულ სახელმწიფოსათვის. მათ წინააღმდეგ მიღებული იქნა გადამჭრელი ზომები და შემდეგშიაც მიღებული იქნება. მაგრამ ამავე დროს ზემოხსენებულ სიძნელეთა გადასალახავად ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა სახელმწიფოებრივი სასოფლო მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების განსავითარებლად და გასაფართოებლად.

მეორე საკითხი, რომელზედაც ჩვენ გვინდა შევჩერდეთ, ესაა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა საწარმოო გაერთიანება — სოფლად ჩვენი მუშაობის მთავარი საფუძველია. შეუძლებელია სოფლის საწარმოო ძალების საგრძნობ განვითარებაზე ლაპარაკი დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა პირობებში. გლეხობის გამოყვანა სიღარიბიდან, მისი კეთილდღეობის აწევა მოსახერხებელია მხოლოდ მისი მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით. პარტიის და ხელისუფლების მუშაობაც აქეთკენაა მიმართული.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლოზუნგი, რომელიც პარტიამ გადმოისროლა, ცოცხალ და ფართო გამოხმაურებას პოულობს გლეხთა მასებში. ბოლო დროს ჩვენში იზრდება სხვადასხვა სახის კოლექტიურ გაერთიანებათა რიცხვი სოფლად. საჭიროა ამ მოძრაობას გაეწიოს ჯეროვანი ხელმძღვანელობა, რომელიც [illegible] მოისუსტებდა.

ღარიბ და მასთან დაახლოვებულ საშუალო გლეხობის რაც შეიძლება მეტი მასების ჩაბმა კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობრივი მოძრაობის გადაქცევა ნამდვილ მასიურ მოძრაობად, კოლმეურნეობათა მტკიცე ორგანიზაციულ ფორმებში ჩამოყალიბება და მათი გაერთიანება, მათთვის დახმარების გაწევა აგრონომიული ცოდნით, მანქანა-იარაღების და კრედიტების მიწოდებით — აი, რაა საჭირო. კოლექტიური მეურნეობები ისე უნდა დავაყენოთ, რომ გლეხობა თვალნათლივ, პრაქტიკულად დარწმუნდეს მათ უდიდეს სარგებლიანობასა და უპირატესობაში კერძო მეურნეობასთან შედარებით. ეს იქნება საუკეთესო პოპულარიზაცია კოლექტიურ მეურნეობათა იდეის და მათში გლეხობის მიზიდვის აუცილებელი პირობა.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ სოფლად სოციალისტური მშენებლობის და კერძოდ კოლმეურნეობათა წინააღმდეგ კულაკები გააფთრებულ კამპანიას აწარმოებენ. გარდა ამისა, არის ფაქტები, როცა კოლმეურნეობებში აქა-იქ შემძვრალი ელემენტებიც ურევიან. იმასაც აქვს ადგილი, რომ კულაკები ახერხებენ ცრუკოლექტივების მოწყობას. მათი მიზანია ამ გზით ყველა იმ შეღავათების მიღება, რომლებიც სახელმწიფოსაგან კოლმეურნეობებს ეძლევათ. აღნიშნული კამპანიის შეუბრალებელი აღკვეთა, კოლმეურნეობებიდან კულაკების გაძევება, ცრუკოლ. მეურნეობების ორგანიზაციის შესაძლებლობის მოსპობა — ყველაფერ ამას სათანადო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. კულაკები საბოლოოდ უნდა იქნენ გარიყულნი. ამ ამოცანას უნდა ემსახურებოდეს აგრეთვე მტკიცე კლასობრივი ხაზის გატარება საგადასახადო პოლიტიკაში, კრედიტების განაწილებაში, მიწადფლობასა და მიწადსარგებლობაში და სხვა დარგებში.

დასახულ მიზნების მისაღწევად საჭიროა მოჯამაგირე, ღარიბ და საერთოდ მშრომელ გლეხობის პოლიტიკურ აქტივობის აწევა და მისი დარაზმვა. ამ მხრივ კერძოდ საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგების მტკიცედ განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თავისთავად ცხადია, რომ მთელი ეს მუშაობა წარმატებით შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაფერ სიმაღლეზე იდგომებიან ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ეკისრებათ უშუალო ხელმძღვანელობა ამ მუშაობაზე. აქედან მათი გაძლიერება მოჯამაგირე და ღარიბ გლეხობის ელემენტებით, პარტ ამხანაგების პოლიტიკურ და ტექნიკური მომზადების საქმის უკეთ დაყენება, პარტორგანიზაციების საქმიანობის თვისობრივი გაუმჯობესება — ეს გადაუდებელი ამოცანაა.

საკავშირო კომპარტიის ცეკა, რომლის დადგენილების შინაარსი დღეს მოგვყავს, ამ საკითხებზე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას. მათ გადაჭრას უნდა შეუდგეთ მთელი ჩვენი ძალღონით.

თვითკრიტიკა და მასები

თვითკრიტიკის ლოზუნგს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებსა და მუშათა მასებში პოხიერი ნიადაგი დახვდა.

პარტიულსა და მუშათა კრებებზე ჩვენი საამშენებლო პრაქტიკის ნაკლთა გაცხოველებული კრიტიკა სწარმოებს და ხელმძღვანელი ორგანოებისა თუ პირების შეცდომები, ბოროტმოქმედებანი. ბიუროკრატიული სიმახინჯე, გულგრილობა და დაუდევრობა აშკარავდება.

ცხადზე უცხადესია, რომ ეს მხოლოდ კამპანიის განვითარების დასაწყისია; საჭიროა მას უფრო ფართო სისტემატიური ხასიათი მივცეთ და უფრო გაბედულად მოვაქციოთ მასების ცხოველი კონტროლის ქვეშ ჩვენი მშენებლობის ახალი საქმეები.

ამასთანავე ერთად, თვითკრიტიკამ უფრო და უფრო აქტიური ხასიათი უნდა მიიღოს, რათა მან ნაყოფიერი გავლენა მოახდინოს პარტიული და საბჭოთა მუშაობის მსვლელობაზე.

ჩვენ, რასაკვირველია, არ გვესაჭიროება „ზოგადი“ კრიტიკა, უსაგნო კრიტიკა, კრიტიკა რომელსაც ნამდვილი კონკრეტული ხასიათი არ გააჩნია.

ასეთი კრიტიკა მხოლოდ მავნებელ ბურუსში გაახვევს გონებას, დაჩრდილავს ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ნამდვილ, რეალურად არსებულ კონკრეტულ ნაკლსა და შეცდომას. შემდეგ, მეტად მავნებელია ისეთი „კრიტიკა“, რომელიც ცდილობს გაამართლოს ნახევრად მენშევიკური ხასიათის „განზოგადებანი“ და ამ მიზნით „კრიტიკის“ ავტორები მოისაზრებენ ჩვენი ნაკლის გასწორებას, შეცდომებისა და გულგრილობის აცილებას, ცალკე პირთა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლას.

ამგვარმა ტენდენციამ უკვე იჩინა თავი თვითკრიტიკის ახლანდელ პერიოდში. მაგალითად, უკრაინის პარტიულ პრესაში ფართოდ იქნა განხილული წერილი ერთი დნეპროპეტროვსკელი მუშკორისა, რომელმაც სწორ კონკრეტიულ კრიტიკულ მითითებასთან ერთად თავის წერილში რამდენიმე „პესიმისტური“. არსებითად ანტიბოლშევიკური, ანტი-პროლეტარული ზოგადი „შეფასება“ და „განზოგადება“ მოახდინა. გაზეთების რედაქციებმა ხსენებული წერილის გამო აღძრულ დისკუსიას ჯამი გაუკეთეს და სრულიად სამართლიანად აღნიშნეს, რომ ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ნახევრად მენშევიკურ „ფილოსოფიას“, ხოლო თუ დასახელებული ფაქტები დადასტურდება, უთადარიგობის კონკრეტიულ კრიტიკას ანგარიში გაუწიოთ და გამოვიყენოთ დეფექტების ასაცილებლად, მუშაკების საქმიანობის გამოსასწორებლად და სხვ.

კრიტიკა კონკრეტული უნდა იყოს: უამისოდ იგი ჩირადაც არა ღირს. ჩვენ ახალი ყალბი „ფილოსოფია“ კი არ გვესაჭიროება, არამედ აქტუალური კონკრეტიული კრიტიკა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეასრულებს კრიტიკა ნაყოფიერ როლს სოციალისტურ მშენებლობაში. მეორე მხრით, ყოველ კონკრეტულ კრიტიკას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების ჯეროვანი გამოხმაურება.

ნაკლის, შეცდომის, უთადარიგობის და ბოროტმოქმედების ყოველგვარი კონკრეტული დასახელება დაუყოვნებლივ მოითხოვს შემოწმებას და თუ შემოწმებამ დაადასტურა იგი, დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს განსაზღვრული ღონისძიებანი, რომელნიც მოსპობენ აღნიშნულ დეფექტებს, ხოლო თუ შესაძლებელი იქნება, მათს წარმომშობ პირობებსაც.

ამასთანავე, საქმე ისე უნდა წავიყვანოთ, რომ მუშათა ფართო მასები სისტემატიურად ეცნობოდნენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მოსდევს მუშის ამა თუ იმ მითითებას, რათა მასებმა დაინახონ კრიტიკულ გამოსვლათა შედეგი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პრესაში, რომლის ფურცლებზედაც თვითკრიტიკა სწარმოებს, ანგარიში იბეჭდებოდეს იმის შესახებ, რაც გაკეთებულია კრიტიკასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი კრიტიკა, რომელსაც თან სდევს მნიშვნელოვანი პრაქტიკული მითითებანი: მუშა, რომლის წინადადებაც თვალსაჩინო ეკონომიისა და სახელმწიფო მექანიზმის გაუმჯობესების საშუალებას მოგვცემს, უნდა წავახალისოთ საზოგადოდ და კერძოდ მატერიალურადაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთს კრიტიკას, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევნიშნოთ სოციალისტური მშენებლობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების ანტისაბჭოთა საზიანო „მუშაობა“. შახტის საქმემ საკმაოდ ცხადად დაგვიმტკიცა, რომ ასეთ ტენდენციებს ადგილი აქვს საბჭოთა აპარატშიაც კი და რომ ჩვენ ამ მხრით ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ.

უყურადღებობა და გულგრილობა კრიტიკისადმი, რომელიც შეგნებულ ანტისაბჭოთა ხასიათის მოვლენებზე მიგვითითებს, ისეთ დანაშაულობად უნდა ჩავთვალოთ, რომლისთვისაც საჭიროა პასუხისგებაში მიცემა.

თვითკრიტიკის განმწმენდი ცეცხლი დაგვეხმარება, რომ ამოვწვათ სოციალისტური მშენებლობის შემფერხებელი ნაშთები წარსულისა და საბჭოთა სხეულის დაიარებული ზოგიერთი ნაწილები, რომლებსაც შეერთებული მტრული ძალები იყენებენ პროლეტარიატის წინააღმდეგ.

თვითკრიტიკის ლოზუნგი ნიშნავს შინაპარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული დემოკრატიის გაცხოველებას; იგი გვავალებს, რომ გავაძლიეროთ მასების კონტროლი და უფრო ენერგიულად და თამამად ჩავაბათ ისინი სოციალისტურ მშენებლობაში.

ამ დემოკრატიის განვითარების დამაბრკოლებელი რუტინისა და კონსერვატიზმის დაძლევა, მეტი ენერგიის, მეტი პასუხისმგებლობის შეგნება საერთო საქმისა და საკუთარი მუშაობისათვის წარმოადგენენ პრაქტიკული საჭიროების ამოცანებს, იმ ამოცანებს, რომლებსაც გვიკარნახებს სინამდვილის ლოღიკა და რომელთა ნიშანქვეშ სწარმოებს და კვლავ უფრო მეტად იწარმოებს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა.

„პრავდა“, 16 მაისი.

პეკინი თავდაცვისათვის ემზადება

სამხრეთლების შეტევა პეკინზე გრძელდება.-ანტი-იაპონური მოძრაობა ძლიერდება

იაპონია მოითხოვს ნანკინის მთავრობისაგან ბოდიშის მოხდას ცზინანის ამბებისათვის

გლეხთა აჯანყება სემიგრადიეში (რუმინეთი).-გლეხები აწყობენ საკუთარ ადმინისტრაციას

სამხრეთელების შეტევა პეკინზე

ჩან-ძო-ლინის წინადადება ზავის ჩამოგდების შესახებ უარყოფილია

ტოკიო, 15 მაისი. სიმბუნ რენგოს საგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა უარყოს ჩან-ძო-ლინის წინადადება ზავის ჩამოგდების შესახებ. (ადს).

ენ-სი-შანის წინსვლა

შანხაი, 15 მაისი. გომინის საგენტოს ცნობით, ენ-სი-შანის ჯარებმა წინ წაიწიეს ბაოდინ-ჩეოჩჟოუს რაიონში.

ფინ-იუი-სიანის ჯარებმა ხელში ჩაიგდეს მუკდენელების ორი ჯავშნიანი მატარებელი. (ადს).

ჩრდილოელების ფლოტის მოქმედება

შანხაი, 15 მაისი. „სინ-ვენ-ბაო“-ს ცნობით, ჩრდილოელების ფლოტის გემებმა, რომლებმაც ზარბაზნები დაუშინეს ამოის ნავთსადგურს, უკან დაიხიეს დუნსიანის კუნძულისაკენ.

გენერალ ხე-იაო-ცზუს გადაყენება

ტოკიო, 15 მაისი. სიმბუნ რენგოს საგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობამ გადააყენა გენერალი ხე-იაო-ცზუ. ხე-იაო-ცზუ ხელმძღვანელობდა იმ ჯარებს, რომლებიც შევიდნენ ცზინანში

ფუკუდა ურჩევია

ტოკიო, 15 მაისი. „დემპო სუსინის“ საგენტოს ცნობით, ჩან-კაი-შის ემისარმა ინ-კიომ იაპონიის ჯარების სარდალს შანდუნში ფუკუდას მისცა წინადადება მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ფუკუდამ უარი განაცხადა მოლაპარაკებაზე, სანამ ნანკინის მთავრობა სავსებით არ დააკმაყოფილებს იაპონიის მოთხოვნილებებს. (ადს).

იაპონელთა ბოიკოტი

შანხაი, 15 მაისი. გომინის საგენტოს ცნობით, კანტონის სავაჭრო პალატამ 13 მაისს გამოაქვეყნა მოწოდება, იაპონელებთან ეკონომიური ურთიერთობის სრულებით შეწყვეტის შესახებ. პალატა წინადადებას აძლევს ბანკებს, ფაბრიკებს და სავაჭრო ფირმებს შესწყვიტონ ყოველგვარი კავშირი იაპონიის ფირმებთან. (ადს).

იაპონელები მოითხოვენ ბოდიშის მოხდას ცზინანის ინციდენტის გამო

ტოკიო, 15 მაისი. სიმბუნ რენგოს საგენტო იუწყება, რომ სამხედრო სამინისტრომ წინადადება მისცა იაპონიის საექსპედიციო ჯარების უფროსს ფუკუდას წარუდგინოს ჩინეთის ხელისუფლებას შემდეგი მოთხოვნილებები: ფორმალური ბოდიშის მოხდა ცზინანის ინციდენტის გამო, გენერალ ხო-იაო-ცზუს და სხვა პასუხისმგებელ პირების დასჯა და სამხედრო მოქმედების შეწყვეტა 20 მილის მანძილზე ცზინან-ტიანძინის რკ. გზის ხაზის გასწვრივ. (ადს).

ნანკინის მთავრობის მიმართვა ერთა ლიგისადმი

ბერლინი, 15 მაისი. ცზინანის ინციდენტის გამო ნანკინის მთავრობამ ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია:

„3 მაისს იაპონიის ჯარებმა ცზინანში სროლა აუტეხეს ჩინელ ჯარისკაცებს და მოქალაქეებს მათი მხრით ყოველგვარი საბაბის გარეშე. ამის შემდეგ იაპონიის ჯარებმა ყუმბარები დაუშინეს უბანს, რომელიც მდებარეობდა იმ ადგილის მახლობლად, სადაც სამხედრო მოქმედება დაიწყო, მოკლულ და დაჭრილ იქნა 1.000 კაცზე მეტი.

იაპონიის ჯარისკაცების რაზმი შეიჭრა ჩვენი საგარეო საქმეთა რწმუნებულის შენობის კანცელარიაში, მოსჭრეს მას ყური და ცხვირი და იქვე დახვრიტეს ხამ თანამშრომელთან ერთად.

7 მაისს იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ ცზინანს ჩვენს უმაღლეს მთავარსარდალს გადასცა ნოტა არაგონივრული და განუხორციელებელ მოთხოვნილებებით და ამ ნოტაზე პასუხს მოითხოვდა 12 საათის განმავლობაში.

იაპონიის ჯარებმა არ დაუცადეს პასუხს და განაახლეს მტრული მოქმედება, რომელიც ეხლაც გრძელდება. იაპონელები ჩინეთის ტერიტორიაზე გზავნიან ახალ საზღვაო და ხმელეთის ჯარებს. ჩინეთის ტერიტორიალური მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა დარღვეულია ყოვლად უხეშად და იაპონელების გამოსვლა წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობიანობისათვის.

დაბეჯითებით გთხოვთ, რათა ერთა ლიგამ წინადადება მისცეს იაპონიას შესწყვიტოს მტრული მოქმედება ჩინეთის წინააღმდეგ და უკან გაიწვიოს იაპონიის ჯარები შანდუნიდან.

ნაციონალური მთავრობა თანახმაა ინციდენტის საერთაშორისო გამოძიებისა და სამედიატორო სასამართლოს დანიშვნისა“.

ცზინანში მოკლულია 3.000 ჩინელი

შანხაი, 15 მაისი. „ჩაინა ტაიმს“-ის ცნობით, ცზინანის ამბების დროს მოკლულია 3.000-ზე მეტი ჩინელი მცხოვრები. (ადს).

შანხაი-ტიანძინის კაბელი გადაჭრილია

შანხაი, 15 მაისი. „სენტრალ დეილი ნიუზ“-ის ცნობით, იაპონიის ჯარებმა გადასჭრეს ზღვის ქვეშა კაბელი, რომელიც შანხაის აერთებს ტიანძინთან. (ადს).

იაპონ[illegible] ამერიკელების უნივერსიტეტზე ცინდაოში

შანხაი, 15 მაისი. სინ-ვენ-ბაოს ცნობით, იაპონიის ჯარებმა 14 მაისს ცინდაოში მოახდინეს თავდასხმა ჩილუს უნივერსიტეტზე, რომელიც დაარსებულია ამერიკელების მიერ, და დააპატიმრეს მთელი რიგი მასწავლებლები და სტუდენტები. (ადს).

აფრთხილებენ იაპონიას

პეკინი, 15 მაისი. ინგლისის რეაქციონური გაზეთი „პეკინ ენდ ტიანცზინ ტაიმს“-ი, ეხება რა ცზინანის ინციდენტს, სწერს:

„ჩვენ სავსებით უჭერთ მხარს იაპონიის პოლიტიკას შანდუნში, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია გავაფრთხილოთ იაპონელები გადაჭარბებული მოუთმენლობისაგან“. (ადს).

გლეხთა აჯანყებები რუმინეთში

ვენა, 15 მაისი. ბუდაპეშტიდან მიღებულ ცნობით, სემიგრადის ბევრ ადგილებში დაიწყო მღელვარება, რომელიც ზოგან აჯანყებების ხასიათს ღებულობს. გლეხთა ნაციონალურ პარტიის ყრილობიდან დაბრუნებულმა გლეხებმა დაიკავეს რკ. გზის მთელი რიგი სადგურები და ხელში ჩაიგდეს საბარგო მატარებლები. ზოგიერთ სოფლებში, სადაც გაიარეს დაბრუნებულმა გლეხებმა, დაიწყო გლეხების აჯანყებები. გლეხებმა სცემეს და გააძევეს სოფლის ნოტარიუსები, სოფლის მოსამართლეები და ღვდლები. დაიკავეს მთავრობის დაწესებულებათა შენობები, გამოაცხადეს „ხალხის ძალა-უფლება“, და აირჩიეს ახალი ნოტარიუსები და მოსამართლეები. ხუთ სოფელში აჯანყებულმა გლეხებმა კონფისკაცია უყვეს სათემო საბჭოების სალაროებს. აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ ორადეა-მარეში გაიგზავნა ჯარები, რომელთაც ბიხარის ოლქში დაიკავეს სოფლები მთიან ადგილებში, აჯანყება დაიწყო ბეილას ქვანახშირის რაიონში. მთელ რიგ რაიონებში მუშებმა გააძევეს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელნი, ბევრ სოფლებში გლეხები თავს დაესხნენ აგრარულ რეფორმის გამტარებელ კომისიებს და თვითონ შეუდგენ მიწის განაწილებას. გაძლიერებულ ცენზურის გამო ეს ცნობები ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული რუმინეთის წყაროების მიერ. (ადს).

საარჩევნო ბრძოლა გერმანიაში

ბერლინი, 15 მაისი. შედარებით წინანდელ არჩევნებთან, მათ შორის 1924 წ. არჩევნებთანაც, ახლანდელ საარჩევნო ატმოსფერას გაცილებით უფრო დამშვიდებული ხასიათი აქვს. პროპაგანდის ტექნიკური საშუალებები — აეროპლანები, მოძრავი კინოები, გრამოფონები, მოძრავი დასები, ამჟამად უფრო ფართოდაა გამოყენებული, ვიდრე წინად. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციამ როგორც საგიტაციო ხერხს მიმართა საპნის ნაჭრების დარიგებას შესაფერ წარწერებით.

13 მაისს, მთელ გერმანიაში გაცხოველებული აგიტაცია ჩაატარეს კომპარტიამ და წითელ ფრონტელების კავშირმა. მრავალრიცხოვანი რაზმები საგიტაციო ლოზუნგებით მიდიოდნენ ისეთ მივარდნილ სოფლებშიაც კი, სადაც არავითარი კომუნისტური ორგანიზაციები არ არსებობს. ბერლინში გაიმართა კრებები და დემონსტრაციები.

ყველა პარტიების ხელმძღვანელები საგიტაციო მიზნით მოგზაურობენ პროვინციებში. (ადს).

მრეწველები აიძულებენ მუშებს

ჩაეწერონ შტრეიკბრეხერულ „პროფკავშირში“

ლონდონი, 15 მაისი. ინგლისის სანაოსნო კომპანიების პატრონები ამ ბოლო დროს აიძულებენ მუშებს ჩაეწერონ მეზღვაურთა ნაციონალურ კავშირში, რომელსაც ხელმძღვანელობს ამას წინად ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესის შემადგენლობიდან გამოსული ხევ[illegible] [illegible] პატრონები მუშებს [illegible] მუშაობაზე ღებულობენ მხოლოდ [illegible], თუ ისინი ჩაეწერებიან ვილსონის კავშირში და ხელფასიდან მუშებს უქვითავენ კავშირში შესავალ გადასახადს და საწევრო გადასახადს.

მუშათა პარტიის დეპუტატებმა თემთა პალატაში მთავრობას მისცეს შეკითხვა — ფიქრობს თუ არა ის მიიღოს რაიმე ზომები მუშების იძულებით ჩაწერის წინააღმდეგ ამ კავშირში. [illegible] უპასუხა, რომ ეს საქმე მთავრობას არ აძლევს ჩარევის არავითარ საბაბს (ადს).

პოლიცია მენშევიკების ინტერესების სადარაჯოზე

ბერლინი, 15 მაისი. 15 მაისს ზულეში ადგილობრივმა პოლიციამ დაიკავა გაზეთ „ვოლკსვილე“-ს რედაქციის შენობა იმ საბაბით, რომ ზულეს მუშებს, რომლებიც ძლიერ აღშფოთებული არიან „ვოლკსვილე“-ს სოციალ-დემოკრატებისათვის გადაცემის განზრახვით, „შეუძლიათ მოახდინონ თავდასხმა გაზეთის ბინაზე“. პოლიცია მოქმედებდა ადგილობრივ ლანდრატის თავმჯდომარის (სოციალ-დემოკრატი) განკარგულებით. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა მოლაპარაკებით სოციალ-დემოკრატებსა და „ფოლკსვილე“-ს რედაქტორის გეიმას ჯგუფს შორის; მოლაპარაკება ეხებოდა ამ ჯგუფის შესვლას სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ზულეში კომპარტიამ მოიწვია მასიური კრება, რომელიც განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო და რომელსაც დაესწრნენ ის მუშებიც კი, რომლებიც წინად ულტრა-მემარცხენეებათ სთვლიდნენ თავს. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია გერმანიის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირისათვის მხარის დაჭერის შესახებ. (ადს).

საქსონიის მელითონეთა გაფიცვა

არ სცნობენ სავალდებულო დადგენილებას

ბერლინი, 15 მაისი. საქსონიის ლითონის მრეწველობის მუშები განაგრძობენ გაფიცვას მიუხედავად იმისა, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულოთ აღიარების შემდეგ რეფორმისტები მოითხოვენ მუშაობის განახლებას. ლეიპციგის ორ წარმოებაში მუშების 90 პროცენტმა დაადგინა სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულოდ გამოცხადების მიუხედავად განაგრძოს გაფიცვა.

გაფიცვა გიუტენბერგის მაღაროებში

ვენა, 15 მაისი. გაფიცვა გიუტენბერგის მაღაროებში, რომელიც 11 მაისს დაიწყო კომუნისტ და სოციალ-დემოკრატ მუშების დათხოვნასთან დაკავშირებით,—გრძელდება. რეფორმისტულ პროფკავშირების ბელადებთან შეთანხმების შემდეგ მაღაროების დირექცია დაემუქრა მუშებს ლოკაუტის გამოცხადებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშაობა განაახლა მხოლოდ რეაქციონურ პროფკავშირებში გაერთიანებულმა 80 მუშამ. შტრეიკბრეხერებს იცავს ჟანდარმერია.

14 მაისს „შტირია“-ს ფირმის კალის საწარმოებში—ვაზენდორფში დაიწყო სტიქიური საპროტესტო გაფიცვა წარმოებების სისტემატიური ფაშიზაციისა და კომუნისტ მუშების დათხოვნის წინააღმდეგ.

უნდა ვიფიქროთ, რომ რეფორმისტული პროფკავშირების ბელადები ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, რომ თავიდან აიცილონ საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერება (ადს).

წერილი ინგლისიდან

ნამდვილი მუშური პირველი მაისი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

1928 წლის პირველი მაისი აღნიშნული იქნება ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. იგი დარჩება სადემარკაციო ხაზათ, სადაც მოხდა მუშათა მოძრაობის დაშორება რეფორმისტ-ბელადებისაგან და მიმართვა კომუნისტური პარტიისაკენ.

ეს განვითარება გარდაუვალი აუცილებლობით მოხდა. არა თუ რევოლიუციური მასებისთვის, იმ ელემენტებისათვისაც კი, რომელთაც შეგნებული აქვთ კლასთა ბრძოლა, აუტანელი გახდა მუშათა პარტიისა და ტრედუნიონების მთავარი საბჭოს ბელადების წინამძღოლობა, იმიტომ რომ ეს უკანასკნელნი შინ გათიშვისა და შელლის პოლიტიკას აწარმოებენ, ხოლო კაპიტალიზმის მიმართ უკან დახევისა ან თანამშრომლობისას. თავისთავად ცხადია, რომ ადამიანებს, რომელნიც ყოველ კვირაში პატრონებთან ერთად შეთქმულებას აწყობენ ხელფეხ შეკრული მუშათა მოძრაობის კაპიტალიზმზე გადასაცემათ, არ ძალუძთ იმ მასსებში ჩაერიონ, რომელნიც ბრძოლის ყიჟინით გამოდიან კაპიტალიზმის წინააღმდეგ. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ სიტრინიც იმ ტრიბუნიდან ლაპარაკობდეს, საიდანაც პოლიტის ხმა გაისმის.

თავისი გამცემლობის დასაგვირგვინებლათ მუშათა პარტიის და პროფკავშირების მთავარი საბჭოს ბელადებმა უარჰყვეს მუშათა მოძრაობის ტრადიცია და მოსპეს პირველი მაისის დღესასწაული, რომელიც ყოველთვის საერთაშორისო სოლიდარობის და კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებათ ითვლებოდა. მათ სამარცხვინო გადაწყვეტილება მიიღეს პირველი მაისი უახლოეს კვირა დღეს „იდღესასწაულათ“. ეს გადაწყვეტილება ახალი გამარჯვებაა უკიდურესი ოპორტუნისტული ჯგუფისა. კვირა დღით რამდენიმე მიტინგის გამართვა არც 24 საათის გაფიცვას მოითხოვს, არც მუშაობის შეჩერებას, არც პატრონებს აყენებს რაიმე ზიანს. ამას გარდა, დემონსტრაცია სრულიად ჰკარგავს ბრძოლის ხასიათს, რევოლიუციურ ხასიათს და იქცევა მშვიდობიან „პარადათ“, საკვირაო დროისტარებათ წირვის შემდეგ.

მაგრამ შეიძლება ჩვენ არ უნდა ვინანოთ, რომ რეფორმისტების ბელადებმა ერთხელ კიდევ ასეთი ვერაგული აქტი ჩაიდინეს, რომელიც გააოცებს თვით უზომიერეს მუშებს. ამის შედეგი იყო ის, რომ პირველი მაისის დღესასწაულს კომუნისტურმა პარტიამ, კომუნისტურმა ახალგაზრდობამ და მუშათა პარტიის და ტრედუნიონების მემარცხენე ფრთამ წმინდა მუშური და რევოლიუციური ხასიათი მისცეს. 1928 წლის პირველი მაისი მაინც „ქუჩის“ დღესასწაულათ დარჩა. ჰაიდ პარკი მასების ხელში დარჩა, მაშინ, როცა რეფორმისტების და წვრილი ბურჟუების ბელადები დარბაზებში ლაყბობდნენ, ნახევრათ დამალულნი.

და იცით რა განმარტებანი მოგვცა მუშათა პარტიის ლონდონის ორგანიზაციის მდივანმა რეაქციონერმა მორისონმა? გამოაშკარავდა, რომ კვირა დღის მანიფესტაციები უფრო გავლენიანი ყოფილანო, ამბობს იგი.

უცილობელია, რომ ისინი უფრო არ არიან საზარალო პატრონებისთვის.

რეფორმისტ-ბელადების დაუსწორებლობამ და ოპოზიციამ დიდი რეკლამი მისცა მუშათა დღესასწაულს. ლონდონში აქედან ათიდან ხუთმეტ-ათასამდე მუშა შეიკრიბა და „ინტერნაციონალით“, „წითელი არმიის მარშით“ და სხვა რევოლიუციური სიმღერებით გაიარა ვესტენდის მდიდარი უბნები და ჰაიდ პარკის დიდი ხეივნებში გაჩერდა. აშართული იყო ათი ტრიბუნა, საიდანაც კომუნისტური პარტიის, უმცირესობის მოძრაობის, კომუნისტური ახალგაზრდობის და მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ორატორებმა მკაცრი სიტყვებით გაჰკიცხეს მოღალატეობა რეფორმისტ-ბელადებისა, რომელნიც შეუკავშირდნენ ბალდუინის მთავრობას და იმპერიალისტებს, რათა მუშათა კლასი მოსდრიკონ ჩინეთისა, ეგვიპტესა, კოლონიებსა, ინდოეთში, აგრეთვე თვით ინგლისში, ეს ყოველივე ორატორებმა ნათლადაც გამოსთქვეს და სათანადო ფაქტებითაც დაამტკიცეს. რეფორმისტების ბელადებს არაფერი გაუკეთებიათ ფაშისტების წინააღმდეგ, მაშინ, როცა ისინი აქტიურათ თანამშრომლობენ მუშათა კლასის მტრებთან. იმათ არაფერი გაუკეთებიათ პოლიტიკური ტუსაღების ამნისტიისათვის, ამავე დროს კი ამართლებენ ჩინეთში წარმოებულ ხოცვა-ჟლეტას. რა გააკეთეს მათ 8 საათის სამუშაო დღისთვის? არაფერი. აკრძალულია ამაზე ლაპარაკი, ამას ინდუსტრიის აღდგენის ინტერესები მოითხოვსო“.

საუცხოვო დღე იყო 1928 წლის პირველი მაისი. მართალია, მონაწილე მასსების რიცხვი წრეულს ნაკლები იყო, ვიდრე წარსულ წლებში, მაგრამ 10—15 ათასი მუშა, რომელთაც ჰაიდ პარკში ბრძოლის ნებისყოფა გამოაშკარავეს კაპიტალიზმისა და მისი რეფორმისტ-დამქაშების წინააღმდეგ, მუშათა კლასის ნამდვილს ავანგარდს წარმოადგენენ და ეს ავანგარდი ბოლოს მაინც გაიმარჯვებს, რა დაბრკოლებაც არ უნდა აღუმართონ მას რეფორმისტების ბელადებმა.

იმ დროს, როცა პოლიციის მნიშვნელოვანი ნაწილები დიდი პარკის გამოსავალ კარებში იყო თავმოყრილი და ინტერნაციონალი გუგუნებდა, — ხდებოდა მუშათა თავდაცვის რაზმების ძალთა შემოწმება.

ქ. დავიდ.

ლონდონი, მაისი.

ბელა კუნის დასაცავად

საპროტესტო მიტინგი ვენაში

ვენა, 15 მაისი. ავსტრიის კომპარტიამ მოიწვია მრავალრიცხოვანი საპროტესტო კრება ბელა კუნის უნგრეთის მთავრობისათვის გადაცემის წინააღმდეგ. კრებამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ბელა კუნის გაცემის განზრახვის წინააღმდეგ. კრებამ მქუხარე ოვაცია გაუმართა მუშას, რომელმაც მოუწოდა კრების მონაწილეებს შევიდნენ ვენაში დაარსებულ „მუშათა თავდაცვის“ ორგანიზაციაში. ავსტრიის კომპარტია ვენაში აწყობს მთელ რიგ ასეთ საპროტესტო კრებების მოწვევას.

მასიური მიტინგები

ნიუ-იორკი, 15 მაისი. ამერიკის კომპარტიამ ნიუ-იორკში მოაწყო მასიური მიტინგები ბელა კუნის დაცვის ლოზუნგებით.

პარტიამ დაიწყო აგრეთვე საშუალებების შეგროვება „დეილი უორკერ“-ის რედაქციისათვის შენობის ასაგებად (ადს).

საბჭოთა კავშირში ავსტრიის ექსპორტის უზრუნველყოფა

ვენა, 15 მაისი. „აბენდ“-ი იუწყება, რომ ქალაქ ზინცის მუნიციპალიტეტმა გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა კავშირში ავსტრიის ექსპორტის უზრუნველყოფაში 3 მილ. შილინგის რაოდენობით. (ადს).

ინგლისი უარჰყოფს კელოგის წინადადებას

ომის აკრძალვის შესახებ

ლონდონი, 15 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლემსონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ომის აკრძალვის ხელშეკრულობისადმი დამოკიდებულების საკითხის განხილვის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ერთა ლიგის წესდებიდან, ლოკარნოს ხელშეკრულებებიდან და სხვა ხელშეკრულებათაგან გამომდინარე ვალდებულებანი, რომელთა მიხედვით ინგლისის მთავრობამ იკისრა ერთა ლიგის დადგენილებათა შესრულება იმ ტერიტორიების დაცვის შესახებ, რომლებსაც თავს ესხმიან.

ავღანისტანი არ დაივიწყებს

ინგლისის მიერ მიყენებულ შეურაცყოფას

ქაბული, 15 მაისი. გაზეთი „აბლოილ მატენ“-ი, ეხება რა ინგლისის პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს. თითქოს ინგლისსა და ავღანისტანს შორის ფარული ხელშეკრულება არის დადებული, სწერს:

„ფადიშახის საზეიმო შეხვედრა ლონდონში მიზნად ისახავდა სწორედ ასეთი ხელშეკრულების დადებას“. გაზეთი გამოსთქვამს რწმენას, რომ ავღანისტანი არ დაივიწყებს იმ შეურაცყოფას, რომელიც ინგლისმა მიაყენა მას და გამოიჩენს შორსმჭვრეტელობას. (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 15 მაისი. ბელორუსთა გრომადის პროცესზე სიტყვით გამოვიდა დამცველი, ვილნოს უნივერსიტეტის პროფესორი პეტრუსევიჩი. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დამცველის მიერ ბრალდების მთავარი მოწმის ბაბიჩის დახასიათებამ.

„ბაბიჩი სტყუის ყოველ ფეხის ნაბიჯზე,— ამბობს პეტრუსევიჩი. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ბაბიჩი არის ფიცის დამრღვევი, რომ ის ამას შეგნებულათ სჩადის“.

შემდეგ პეტრუსევიჩი გადადის ბრალდებულ ლუცკევიჩის დახასიათებაზე.

„ლუცკევიჩის წინააღმდეგ, ამბობს დამცველი,—არც ერთი სერიოზული ბრალდება არ არის წამოყენებული. ერთად ერთი კონკრეტული ბრალდება, რომელიც წაუყენეს ლუცკევიჩს ,მდგომარეობს იმაში, რომ მას აღმოაჩნდა ორი წიგნი, გამოცემული საბჭოთა კავშირში. მაგრამ ეს ბრალდება ჰგავს ხუმრობას, რომლის ადგილი არის ჰუმორისტულ ჟურნალში, და არა საბრალმდებლო აქტში“.

იარაღით ბრძოლა გაფიცულთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 15 მაისი. სენატის საგამომძიებლო კომისიაში მოსმენილ იქნა ოგაიოს შტატის ერთ-ერთ მაღაროს გამგის ჩვენებები, რომლიდანაც ირკვევა, რომ ამ მაღაროს პატრონები თავის ხარჯზე ინახავენ სპეციალურ [illegible] წინააღმდეგ საბრძოლველად. რაზმი შედგება სხვადასხვა ბნელ ელემენტებისა და ნაძირალებისაგან და შეიარაღებულია ტყვიისმფრქვეველებით, ვინტოვკებით, ცრემლმადენი ყუმბარებით, რევოლვერებით და გაზებით. (ადს).

ლტოლვა კომპარტიისაკენ

ბერლინი 15 მაისი. გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების შტალუპენენის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ ენსკატმა განაცხადა, რომ ის შევიდა კომპარტიაში და აღნიშნა, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამემარცხენებას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ. ენსკატი შედიოდა გერმანიის მუშათა მესამე დელეგაციაში, რომელმაც ინახულა საბჭოთა კავშირი. ენსკატმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი სოციალდემოკრატიასთან მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა პროლეტარულ პოლიტიკურ პარტიების ამნისტიის პროექტისათვის მხარის დაჭერაზე. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

2 მილიონი მანეთი ბაქო-ბათომის ნავთსადენისათვის

მოსკოვი, 16 მაისი. ნავთის ექსპორტის გაძლიერებასთან დაკავშირებით საბჭოთა ცენტრალურ სამეურნეო ორგანოების წინაშე მწვავეთ დაისვა საკითხი ნავთის პროდუქტ. გადასაზიდ საშუალებათა გაძლიერების შესახებ. გამორკვეულია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზები, რომლებზედაც გადააქვთ საექსპორტო ნავთის დიდი ნაწილი, ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას. ამასთან ერთად ნავთის პროდუქტების გადაზიდვა აფერხებს რკინის გზის ნორმალურ მუშაობას.

ამიტომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე კარგა ხანია სდგას საკითხი ბაქო-ბათომის ახალი ნავთსადენის აგების შესახებ. მუშაობა ამ მხრივ კიდევაც სწარმოებს. იმისათვის, რომ ნავთსადენის აგება თავის დროზე იქნას დასრულებული, საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ მრეწველობის საფინანსო რეზერვიდან გადასდო ორი მილიონი მანეთი.

სათემო ბიუჯეტის ორგანიზაციის ვადა

მოსკოვი, 16 მაისი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აცნობა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, რათა ამ უკანასკნელმა თავისი დადგენილებით განსაზღვროს დრო, რომლის განმავლობაშიაც უნდა დასრულებულ იქნას დამოუკიდებელ სათემო ბიუჯეტების შედგენა.

როდის იქნება გორკი მოსკოვში

მოსკოვი, 16 მაისი. მაქსიმ გორკი 19 მაისს გამოემგზავრება სორენტოდან (იტალია), გორკი შეჩერდება რამდენიმე დღით გერმანიაში. ბერლინიდან ის რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის გამგის ამხ. ხალატოვის თანხლებით გაემგზავრება კელნში, სადაც დაესწრება საბჭოთა პავილიონის გახსნას მსოფლიო ბეჭდვითი სიტყვის გამოფენაზე.

ამის შემდეგ გორკი კვლავ ბერლინში დაბრუნდება, საიდანაც გამოემგზავრება საბჭოთა კავშირში.

მოსკოვში გორკი ჩამოვა 30 მაისს.

ადგილობრივი ლიტერატურული წრეები, გორკის ძველი პირადი მეგობრები და კულტურული ორგანიზაციები აქედანვე ემზადებიან მაქსიმ გორკის შესახვედრათ.

მხატვარი ბროდსკი გამორიცხულია მხატვართა ასოციაციიდან

მოსკოვი, 16 მაისი. ცნობილი მხატვარი ბროდსკი, რომელმაც დახატა ორი დიდი სურათი „კომინტერნის მეორე კონგრესი“ და „ბაქოს კომისრების დახვრეტა“, ამ დღეებში გამორიცხულ იქნა რევოლიუციონურ რუსეთის მხატვართა ასოციაციიდან (ახრრ).

ამგვარი სასჯელი მხატვარ ბროდსკიმ დაიმსახურა რევოლიუციონურ მხატვრისათვის შეუფერებელი საქციელით. გამოირკვა, რომ ბროდსკი გაუგონარ სპეკულიაციას ეწეოდა თავის სურათებზე. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მისი უკანასკნელი ნაწარმოებნი იწერებოდა რევოლიუციონურ თემაზე და ამიტომ მათ ფართე გასავალი ჰქონდა მუშათა ორგანიზაციებში და დაწესებულებებში.

გარდა ამისა, რადგან ბროდსკის ნაწარმოებმა დიდი გასავალი მოიპოვა, ბროდსკიმ დაიქირავა, როგორც დამხმარე ძალა, სხვა მხატვრები, რომელთაც დაუზოგავად ჰყვლეფდა.

რევოლიუციონურ სურათის მხატვართა ასოციაციამ განიხილა ბროდსკის წინააღმდეგ წაყენებული ეს ბრალდებები და, მას შემდეგ, რაც ისინი დადასტურდა, გადასწყვიტა დაუშვებლად იქნას ცნობილი, რომ ბროდსკი მომავალში დარჩეს ამ ასოციაციის რიგებში.

ამიერ-კავკასიაში მიმავალ მატარებელთა რიცხვი

მოსკოვი, 16 მაისი. ზაფხულის მოახლოებასთან ერთად მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და რუსეთის სხვა სამრეწველო რაიონებიდან შესამჩნევად გაიზარდა ამიერ-კავკასიაში მიმავალთა რიცხვი. გზათა სახალხო კომისარიატმა განკარგულება გასცა გადიდებულ იქნას ამიერ-კავკასიისაკენ მიმავალ მატარებელთა რიცხვი.

კონტრ-რევოლიუციონერთა ბუნაგის აღმოჩენის გარშემო

მოსკოვი, 16 მაისი. სერგიევის ლავრაში აღმოჩენილ კონტრ-რევოლიუციონერთა შეთქმულების საქმეზე კვლევა-ძიება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

დამატებით გამოირკვა, რომ სერგიევის ლავრის შავრაზმულ ორგანიზაციას მოუწყვია პოლიტიკური ტერორისტული აქტი, რომელმაც იმსხვერპლა ადგილობრივ პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკი. გარდა იმისა, რომ შავრაზმულ ორგანიზაციის ყველა აქტიური წევრები დაპატიმრებულია, მიღებულია ზომები სერგიევის ლავრის განძეულობის დასაცავად. როგორც გუშინ გადმოგცემდით, ამ განძეულობათა მნიშვნელოვანი ნაწილი გაუფლანგავს მღვდელ-კაპიტალისტ-თავადების რეაქციონურ ორგანიზაციას თავიანთ კონტრ-რევოლიუციონურ საქმიანობისათვის.

„კულტურული კონტრ-რევოლიუცია“

მოსკოვი, 16 მაისი. საკითხი მოსკოვის დიდი ოპერის თეატრში არსებულ არანორმალურ მდგომარეობის შესახებ, კვლავ წარმოადგენს მოსკოვის პრესის და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფართე მსჯელობის საგანს.

საერთო აზრი ისეთია, რომ მომავალ სეზონისათვის საზოგადოთ მთელი ოპერის საქმეში და კერძოდ მოსკოვის დიდი ოპერის მუშაობაში მოხდება ძირეული გარდატეხა.

შექმნილ მდგომარეობამ და მოწინავე საზოგადოების ერთსულოვან პროტესტმა სათანადო გავლენა მოახდინა დიდი ოპერის მთელ რიგ პირველხარისხოვან მსახიობებზე.

ამ დღეებში აქ შესდგა დიდი ოპერის სოლისტების საერთო კრება, რომელზედაც სულ სხვა განწყობილება იყო, ვიდრე ასეთივე კრებაზე ამ რამდენიმე ხნის წინად. გოლოვანოვშჩინის დამცველებათ მხოლოდ ერთეულები გამოვიდა, მათ შორის ბოგდანოვიჩი და მიგაი.

კრების დიდმა უმრავლესობამ კი კატეგორიულად დაგმო დიდი ოპერის თეატრში შექმნილი ანტისაზოგადოებრივი მდგომარეობა და მოითხოვა მოწამლულ ატმოსფეროს გაწმენდა.

კრების უმრავლესობის სიტყვით გოლოვანოვშჩინას არ შეიძლება ვუწოდოთ სხვა რამ, თუ არ „კულტურული კონტრ-რევოლიუცია“. კრება საჭიროდ სცნობს დირიჟორ გოლოვანოვის თანამდებობიდან მოხსნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

კომპარტიის დიდი გამარჯვება

ბერლინი, 16 მაისი. ტელტოვეში (ბერლინის მიდამოებში) მომხდარ მუნიციპალურ არჩევნებში კომუნისტებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს და მუნიციპალურ საბჭოში მიიღეს 6 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა—6, ბურჟუაზიულ პარტიებმა—6. 1919 წლის არჩევნებში ბურჟუაზიულ პარტიებმა მიიღეს ხამი მანდატი, სოციალ-დემოკრატებმა 12 და კომუნისტებმა—1.

ხმები ჩან-კაი-შის განზრახვის შესახებ

შანხაი, 16 მაისი. ჩან-კაი-ში დაბრუნდა ნანკინში. შანხაის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია ხმები იმის შესახებ, რომ მას განზრახვა აქვს თავი დაანებოს პოლიტიკურ მოღვაწეობას.

საფრანგეთის კონსულის პროტესტი

შანხაი, 16 მაისი. გაზეთების ცნობით, საფრანგეთის გენერალურმა კონსულმა შანხაიში პროტესტი განუცხადა ნანკინის მთავრობას შანხაის საგარეო საქმეთა კომისარის დემონსტრაციის მოწყობის გამო შანხაიში საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე.

კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 16 მაისი. ზღვის სანაპირო ოლქში (რაიონი, რომელშიაც ჰამბურგი შედის) კომპარტიის საოლქო კომიტეტმა მოუწოდა ჰამბურგისა და ზღვის სანაპირო ოლქის ყველა მუშებს, რომ შეებრძოლონ 2 და 3 ივნისისათვის დანიშნულს ფაშისტური მებრძოლი ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადის“ შეკრებას ჰამბურგში. (ადს).

კელოგის წინადადების გამო

ბერლინი, 16 მაისი. გერმანიის პოლიტიკური წრეების ცნობით სიმართლეს მოკლებულია პარიზის გაზეთების ცნობა იმის შესახებ, ვითომც კელოგის წინადადება („ომის ამკრძალველი ხელშეკრულების დადების შესახებ) განსახილველად გადაეცემა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და იაპონიის იურისტ-ექსპერტების კონფერენციას. (ადს).

საპროტესტო მიტინგი

პარიზი, 16 მაისი. პარიზის ცირკის შენობაში დიდის წარმატებით ჩატარდა საპროტესტო მიტინგი მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც იგი ხმარობს მუშათა მოძრაობისა და კომპარტიის მიმართ. თვით ბურჟუაზიული გაზეთებიც კი აღნიშნავენ, რომ მიტინგი არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვანი იყო. (ადს).

ამხ. პიროგოვის გამოსვლა

სტოკჰოლმი, 16 მაისი. რკინისგზელთა ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელმა ამხ. პიროგოვმა. მის გამოსვლას შეხვდენ ოვაციებით.

სვარაჯისტების პრესის დევნა

ლონდონი, 15 მაისი. კალკუტის სვარაჯისტების ორი გაზეთის რედაქტორს „კლასობრივ მტრობის გაღვივებისათვის“ მიუსაჯეს ჯარიმა 1.000 რუპიის (650 მან.) რაოდენობით (ადს).

„ხოცის“ ცნობა.

ტოკიო, 16 მაისი. გაზეთი „ხოცის“ ცნობით იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას სამხედრო მოქმედება შანდუნში. ჩან-ცზო-ლინი შეზღუდული იქნება მანჯურიის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯარების უკან დახევა მოხდება ორგანიზაციულად და არა იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთელები კვალ დაკვალ მიჰყვებიან. (ადს).

ცაის მოკვლის გამო

შანხაი, 16 მაისი. გაზეთების ცნობით, ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა ცზინანელი კომისარის ცაის გვამი დღევანდლამდე არ უპოვიათ. გაზეთი ირწმუნება, რომ ცაი მოკლულ იქნა იაპონიის ჯარების რაიონში. გაზეთების ცნობით, ცზინანში გაჩნდა გადამდები სენი, ვინაიდან მოკლულთა გვამები ქალაქის ქუჩებიდან დღესაც არ წაუღიათ.

მასების ზეგავლენით

სტოკჰოლმი, 16 მაისი. 23 მაისს პარლამენტი განიხილავს სამრეწველო კონფლიქტების სავალდებულო არბიტრაჟის საკითხს. შვეციის პროფკავშირთა გაერთიანების და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტები მუშათა მასების ზეგავლენით იძულებულნი გახდნენ გამოეცხადებიათ 22 მაისისათვის შუადღის 2 საათიდან საყოველთაო გაფიცვა და დაენიშნათ საპროტესტო დემონსტრაცია სავალდებულო არბიტრაჟის შემოღების წინააღმდეგ. გაფიცვის გამოცხადების ინიციატივა კომუნისტებს ეკუთვნის. კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვს გაფიცვის გაგრძელებას. (ადს).

მუშა-ქალთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 16 მაისი. მაისისა და ივნისის განმავლობაში მთელს ინგლისში გაიმართება ორგანიზაციის—„ძირს ომი“-ს კონფერენციები, რომლებზედაც ამორჩეულ იქნებიან საბჭოთა კავშირში ჩასასვლელად დელეგაციის წევრები უბრალო მუშა-ქალების რიგებიდან. (ადს).

პეპესოველების მსხვერპლთა დახმარების საკითხი

ვარშავა, 15 მაისი. ვარშავის მუნიციპალიტეტში ბუნდის დეპუტატებმა შეიტანეს რეზოლუცია 10.000 ზლოტის გადადების შესახებ იმ მუშათა ოჯახების დასახმარებლად, რომლებიც გახდნენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელების თავდასხმის მსხვერპლი 1 მაისს ვარშავაში. პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატებმა ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს (ადს).

მიწვევა

ბერლინი, 16 მაისი. საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების ინგლისური სექციის კომიტეტმა მიიწვია საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების დანარჩენი ევროპიული სექციები იმ კონფერენციაზე, რომელიც 26 და 27 მაისს უნდა გაიმართოს კელნში. (ადს).

გერმანია-ლიტვის მოლაპარაკება დროებით შეწყდა

ბერლინი, 15 მაისი. გერმანია-ლიტვის მოლაპარაკება დროებით შეწყდა, რადგან ლიტვის დელეგატები გაემგზავრენ კოვნოში ლიტვის დამოუკიდებლობის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. (ადს).

ინდოელ ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება

ლონდონი, 15 მაისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ფეიქართა გაფიცვას კალკუტის რაიონში მიემხრო კოსსიპორისა და ჩიტპორის ავეჯეულობის 22 ფაბრიკის 15.000 მუშა. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას. (ადს).

ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენაზე

კელნი, 15 მაისი. პირველი შთაბეჭდილება პრესის გამოფენისაგან, რომელიც კელნში გაიხსნა ისეთია, რომ გამოფენა მოგვცემს მხოლოდ პრესის ორგანიზაციისა და მუშაობის თვალსაჩინო სურათს. გამოფენის განყოფილებათა უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის გახსნილი. მოსამზადებელი მუშაობა უახლოესი კვირეების განმავლობაში დამთავრდება. მაგრამ უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ [illegible] ორი მიმართულებით: პრესის კულტურულ-ისტორიული განვითარება და პოლიგრაფიული წარმოების ტეხნიკა. პირველ შემთხვევაში გამოფენის ორგანიზატორებმა მიზნად დაისახეს აღნიშნონ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტები პრესის ისტორიაში. ამ მხრივ გამოფენაზე შეგროვილია საინტერესო ცნობები, რომლებიც გვიჩვენებს პრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს (ზეპირი გაზეთი, წერილობითი, ბეჭდვითი და დასურათებული გაზეთი). განსაკუთრებით საინტერესოა განყოფილებები, რომლებიც მიძღვნილია საფრანგეთის რევოლუციის დროის ფრანგული პრესისათვის. ძალიან მდიდარია გამოფენის ტეხნიკური განყოფილების ექსპონატები, სადაც შეგროვილია პოლიგრაფიული მრეწველობის ყველა იარაღები—დაწყებული სულ უბრალო, მარტივი მანქანებიდან და გათავებული თანამედროვე რთული, უდიდესი მანქანებით.

უფრო სუსტ შთაბეჭდილებას სტოვებს ექსპონატები, რომლებიც უნდა მოწმობდეს პრესის კავშირს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ამ მხრივ ნაკლს ავსებს გამოფენის საბჭოთა განყოფილება, რომლის ექსპონატები ნათლად გამოხატავს საბჭოთა კავშირის სოციალურ ცხოვრებას. ამასთან ერთად გამოფენის საბჭოთა განყოფილებაში მოცემულია რუსეთის პრესის ისტორიის სურათი, [illegible] არალეგალური პრესის ისტორია. გამოფენაზე ნათლად არის დახატული ბრძოლა გეგმიანი მეურნეობისა, ინდუსტრიალიზაციისა, ელექტროფიკაციისა, შრომის გაუმჯობესებისათვის და სხვ. განსაკუთრებულ ინტერესს დასავლეთ ევროპისათვის წარმოადგენს ექსპონატები, რომლებიც გამოხატავს გაზეთისა და მკითხველების თანამშრომლობას და კავშირს, და აგრეთვე მასალებს მუშკორთა მოძრაობის შესახებ. მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას სტოვებს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს და საბჭოთა კავშირის ეროვნულ დეპეშათა სააგენტოების ექსპონატები, რომლებიც გვაძლევს საბჭოთა ინფორმაციის გავრცელების სურათს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარ-გარედ. მუშაობის დამთავრება საბჭოთა განყოფილებაში განზრახულია 25 მაისისათვის. მაგრამ მუშაობის პირველ დღესვე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გამოფენის საბჭოთა განყოფილებისადმი.

საბჭოთა კავშირში

ესტონეთის საგანგებო ელჩი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 16 მაისი. მოვიდა ახლად დანიშნული საგანგებო ელჩი, ესტონეთის სრულუფლებიანი მინისტრი საბჭოთა კავშირში იულიუს სელიამაა. სელიამაა 1918 წელს ესტონეთის მთავრობის წარმომადგენლად იყო რ.ს.ფ.ს.რ.-ის მთავრობასთან; იგი 1920 წელს მონაწილეობას იღებდა ესტონეთ-საბჭოთა მოლაპარაკებაში და ესტონეთის მხრივ ხელი მოაწერა ესტონეთისა და რ.ს.ფ.ს.რ.-ის სამშვიდობო ხელშეკრულებას. (ადს).

პენსია ციურუპას ოჯახს

მოსკოვი, 16 მაისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა [illegible] ცაკის პრეზიდიუმის განსვენებულ ციურუპას ოჯახს თვიურად 325 მან. პენსია დაუნიშნა.

სახელდახელო მიტინგები

კიევი, 16 მაისი. საწარმოო დაწესებულებებში გაიმართა სახელდახელო საპროტესტო მიტინგები იმის გამო, რომ პოლონეთის სეიმმა დაადგინა გადასცეს სასამართლოს კომუნისტი დეპუტატი სოჩაცკი. (ადს).

ხეზე მომუშავეთა ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი

მოსკოვი, 16 მაისი. მოსკოვში შედგა საბჭოთა კავშირის ხეზე მომუშავეთა წარმომადგენლების თათბირი ხეზე მომუშავეთა ინგლის-რუსეთის კომიტეტის შექმნის მიზნით. თათბირმა ერთხმად დაადგინა შექმნას ასეთი კომიტეტი. დადგენილება დამტკიცებულია ინგლისის ავეჯეულობის მკეთებელთა კავშირის აღმასკომის და საბჭოთა კავშირის ხეზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მიერ.

ტერაპევტთა სრულიად საკავშირო ყრილობა

ლენინგრადი, 16 მაისი. გაიხსნა ტერაპევტთა სრულიად საკავშირო მე-10 ყრილობა. ყრილობას ესწრება 1.300-ზე მეტი დელეგატი და ბევრი სტუმარი. ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა პროფესორი შერვინსკი.

ფულის დაკვეთა სპარსეთისათვის

ლენინგრადი, 16 მაისი. დასრულდა სპარსეთის ფინანსთა სამინისტროსაგან დაკვეთილი სამი მილიონი სპარსული თუმანის დამზადება. ფული ამ დღეებში გადაიგზავნება სპარსეთში.

კანდიდატები სამეცნიერო აკადემიის წევრობაზე

ლენინგრადი, 16 მაისი. ლენინგრადის უნივერსიტეტის საბჭომ სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრებათ წამოაყენა ამხ. ბუხარინის, პოკროვსკის, დებორინის, ხვოლსონის, ობრუჩევის, ფრიჩეს და სხვ. კანდიდატურა.

მუშების გაგზავნა საზღვარგარეთ

ლენინგრადი, 16 მაისი. ლენინგრადის ზოგიერთი ტრესტი ჰგზავნის მუშებს უცხოეთის ფაბრიკებში. პირველ რიგში მიემგზავრება საფეიქრო, ლითონის და საკვებ მასალათა წარმოების მუშების ჯგუფი, ისინი ისწავლიან გერმანიისა, ჩეხო-სლოვაკიისა და შეერთებულ შტატების ტეხნიკუმებში და იმუშავებენ სხვადასხვა წარმოებებში.

ლანდლერის ნეშტის ჩამოსვენება მოსკოვში

მოსკოვი, 16 მაისი. ჩამოვიდნენ უნგრეთის კომპარტიის მდივანის ლანდლერის ცოლი და ქალიშვილი, რომლებმაც თან ჩამოიტანეს ურნა განსვენებულის ნეშტით. სადგურზე მათ შეხვდნენ უნგრელი პოლიტემიგრანტები და განსვენებულის მეგობრები. ლანდლერის ნეშტის დაკრძალვა მოხდება კომინტერნის კონგრესის გახსნის დროს. (ადს).

გადაფრენა ყინულოვან ოკეანეზე

მოსკოვი, 16 მაისი. მიმდინარე წლის ზაფხულში მოხდება გადაფრენა პეტროპავლოვსკიდან კამჩატკაზე ლენინგრადში ყინულოვანი ოკეანეს გზით. გადაფრენის მიზანია ყინულოვანი ოკეანის იმ ნაპირების გამოკვლევა, რომლებიც დღემდე მიუვალი იყო. გაფრენა პეტროპავლოვსკიდან განზრახულია ივლისის შუა რიცხვებში. (ადს).

ავღანისტანის ფადიშაჰი ყირიმში

ამანულა-ხანი სევასტოპოლში

სევასტოპოლი, 16 მაისი. ფადიშაჰი თავისი ოჯახით და ამალით სევასტოპოლში ჩამოვიდა. სადგურზე მას გაუმართეს საზეიმო შეხვედრა. მატარებელის მოსვლის დროს სადგურის ბაქანზე შეგროვდნენ ყირიმის მთავრობის წევრები ყირიმის ცაკის თავმჯდომარის ამხ. კუბაევის მეთაურობით და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელნი. ფადიშაჰი და სხვა სტუმრები სამხრეთ-ყირიმის ნაპირებზე გაემგზავრენ. (ადს).

ამანულა-ხანი თურქეთში მიემგზავრება

ანგორა, 16 მაისი. სამხედრო გემი „[illegible]“, რომლითაც ფადიშაჰი გაემგზავრება თურქეთში, 16 მაისს ჩამოვა ოდესაში. (ადს)

ინჟენერთა და ტეხნიკოსთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 16 მაისი. დამთავრდა ინჟენერთა და ტეხნიკოსთა საკავშირო ყრილობა. ყრილობამ აღნიშნა, რომ სექციებმა უნდა გააძლიერონ თავისი როლი საწარმოო მუშაობაში, ხოლო სექციის ორგანოებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რათა ხელსაყრელი პირობები შეიქმნას ახალგაზრდა ინჟენრების, ტეხნიკოსების, უმცროსი ტეხნიკური პერსონალის და მუშების დაწინაურებისათვის, ყრილობა სექციის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ აუცილებელია გაძლიერებულ იქნას თვითკრიტიკა მრეწველობის საკითხებში.

ყრილობა ავალებს სექციების ცენტრალურ ბიუროს მიიღოს ზომები, რომ აღმოფხვრილ იქნას ზოგიერთი ინჟენერ-ტეხნიკოსების მხრივ მუშებისადმი უხეშად მოპყრობის შემთხვევები.

ყრილობამ დაადგინა მიესალმოს ამხ. რიკოვს და უსურვოს მას მალე განკურნება.

სექციების ახალ ცენტრ. ბიუროში არჩეულია 25 კაცი. ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. [illegible].

შუშეულობის მრეწველობის გამოკვლევა

მოსკოვი, 16 მაისი. მოისმინა რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მოხსენება შუშეულის მრეწველობის გამოკვლევის შედეგების შესახებ, შრომისა და თავდაცვის საბჭომ თავის დადგენილებაში აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლოვანებებს მშენებლობის საქმეში. ხარჯების გადამეტება მშენებლობაში აღწევს 300 პროცენტამდე. ზედნადები ხარჯების რაოდენობა შეადგენს 40 პროცენტს. პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას აღემატებოდა 175 პროცენტით. ზარალი მექანიზაციაქმნილ წარმოებაში 1926—27 წ. შეადგენს 1 მილიონ მანეთს.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა პასუხისგებაში მისცეს ის თანამდებობის პირნი, რომელთაც დაუშვეს აღნიშნული მოვლენები, და მიიღოს გადამჭრელი ზომები უკამოების მოსაწესრიგებლად მექანიზაციაქმნილ ქარხნებში. დადგენილება კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ორი წლის განმავლობაში გამოყენებულ არ იყო საზღვარგარეთიდან შემოტანილი მოწყობილობა, რომლის ღირებულება უდრის 1 მილიონამდე მანეთს, წინადადება ეძლევა ს.მ.უ. საბჭოს დანიშნოს ექსპერტიზა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს შუშეულის მრეწველობაში ამ მოწყობილობათა გამოყენების შესაძლებლობა. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალციხე, 15 მაისი. დასრულდა კონკურსი თემსაბჭოს საუკეთესო სექციაზე. საუკეთესოდ მიჩნეულ იქნენ: კულტურულ-განმანათლებელი სექცია ადიგენის თემსაბჭოსი, სასოფლო-სამეურნეო სექცია უდეს თემსაბჭოსი და იურიდიული სექცია ბალომეთის თემსაბჭოსი. სამივე სექციას მიეცემა ჯილდო.

მიწის-ძვრა

ლიუქსემბურგი, 15 მაისი. ღამის თერთმეტ საათზე 13 მაისს ადგილი ჰქონდა მიწისძვრას, რომელიც 34 წუთს გაგრძელდა.

სომხეთი

სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მკვლელის გასამართლება

დელიჟანი, 15 მაისი. დასრულდა პროცესი სოფ. ჩორატანის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვართან ხარუნიანის მკვლელის გრიგორ უტუმიანის პროცესი. მკვლელს მიესაჯა შვიდი წლით დაპატიმრება.

სპენდიაროვის ნეშტის გადატანა

ერევანი, 16 მაისი. სომხეთის განათლების სახალხო კომისარმა—ამხ. მრავიანმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა აღმოსავლეთის მშრომელთათვის სპენდიაროვის შემოქმედების მნიშვნელობის შესახებ, რის შემდეგ განსვენებულ კომპოზიტორის ცხედარი ანატომიკუმიდან სამგლოვიარო ავტომობილით გადაიტანეს კულტურის სახლში. კუბო მოაცილეს განსვენებულის ოჯახმა, მთავრობის წევრებმა, სახელმწიფო კონსერვატორიის მოწაფეებმა და სხვ.

კუბო დაასვენეს დიდ დარბაზში ესტრადაზე. კუბოსთან მისვლა შეუძლია ყველა მოქალაქეს. კუბოსთან დაყენებულია საპატიო ყარაული სახელმწ. კონსერვატორიის მოწაფეებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან. კუბო შემკულია დიდძალი გვირგვინებით. (ადს).

აფხაზეთის ცაკის სესია

ამხ. ლაკობას მოხსენება თესვის კამპანიის შესახებ

სოხუმი, 16 მაისი. 15 მაისს გაიხსნა აფხაზეთის ცაკის მეოთხე მოწვევის მეორე სესია. თესვის კამპანიის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლაკობამ.

„აფხაზეთის პირობებში,—სთქვა ამხ. ლაკობამ,—თესვის კამპანია მიზნად ისახავდა ტეხნიკურ კულტურების (თამბაქო, მებრეშუმეობა, ლიმონი და სხ.) განვითარებას, საქონლის საკვები მცენარეულობის სათესი სივრცის გაფართოებას, ხორბლეულის ნათესების სივრცის სტაბილიზაციას და მეთამბაქოეობასთან ერთად ამა თუ იმ დამხმარე კულტურების განვითარებას.

კამპანიის გატარების შემაფერხებელ მიზეზებს უნდა მივაკუთვნოთ: წყალდიდობა კოდორში, სახურავათა კრიზისი, რაც გამოიწვია შარშანდელი მოუსავლიანობით, ხანგრძლივი ზამთარი, რის გამო გლეხობას დაეხოცა 10.189 მსხვილფეხა რქოსანი საქონ., 2.640 წვრილფეხა რქოსანი საქონელი, 150 ცხენი და 1115 ღორი. მიუხედავად ამ მიზეზებისა თესვის კამპანია ფართოდ განვითარდა. ცენტრში შექმნილია თესვის კამპანიის ცენტრალური სამეული, მაზრებში—სამაზრო სამეულები, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსებულია აგრონომიული ბაზა. გლეხებს დაურიგეთ 2.000 ფუთი ქუთაისის ჰიბრიდის თესლი და 2.000 ფუთი თონჯის თესლი. მოვაწყვეთ სამსუნის 14 სანერგე. ეს სანერგეები მოგვცემენ 127 მილ. ცალ თამბაქოს ნერგს. აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა თამბაქოს მეურნეებს გაუხსნა 400.000 მან. კრედიტი. განზრახულია კრედიტის გადიდება. ნიადაგის გასანოყიერებლად გლეხებს დაურიგდა 316.000 კილოგრამი სუპერფოსფატი და მნიშვნელოვანი რაოდენობის სხვადასხვა სასუქი. მთავარი ყურადღება ექცეოდა ღარიბ და საშუალო გლეხების დახმარებას. ღარიბ გლეხებს ჩვენ გაუხსენით სპეციალური გრძელვადიანი სესხი, უფასოდ დაურიგეთ სასუქის ნახევარი და თამბაქოს ნერგები, მანქანებს ვაწვდიდით შეღავათიან პირობებში.

ღარიბ გლეხთა კონფერენციებმა კარგი შედეგები გამოიღო“. (ადს).

კამათი ამხ. ლაკობას მოხსენების გარშემო

სოხუმი, 16 მაისი. სესიის 16 მაისის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. ლაკობას მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობა მიიღო 15 ორატორმა.

ამხ. თოდრიამ (გალის მაზრა) აღნიშნა, რომ გალის მაზრაში სათესლე სიმინდის დიდი კრიზისია. ამ გარემოებით ისარგებლეს კულაკებმა და გააძვირეს სიმინდი.

ამხ. ანთიამ (გალის მაზრა) სთქვა, რომ წყალდიდობამ ბევრი გლეხი დააზარალა, დაიღუპა მუშა საქონელი. გლეხებს აკლიათ პური. ამასთანავე ერთად ამხ. ანთია მოითხოვს, რომ გლეხობამ მაზრაში სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ტეხნიკური მცენარეების მოშენებას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გლეხობა ჩაის საქმეს, მაგრამ ადგილობრივ არ არიან ისეთი აგრონომები, რომლებიც სწორი გზით წარმართავენ მუშაობას. კოოპერატივებში არაა ფართალი, კერძო ვაჭრები სარგებლობენ ამით და ადიდებენ ფასებს.

ამხ. რაუსენი (გლეხი) აღნიშნავს, რომ გლეხებს კრედიტი არ ეძლევა გეგმაშეწონილად. ხშირად სასოფლო მეურნეობის ამა თუ იმ დარგისათვის გაცემული თანხა არ იხარჯება დანიშნულებისამებრ.

ამხ. ზარია (გაგრის მაზრა) მიუთითებს, რომ შესაფერმა ორგანიზაციებმა თავის დროზე არ მიაწოდეს ღარიბ გლეხებს საქონლის საკვები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; მთელ მაზრაში განაწილდა სულ 40 გუთანი და მათი გამოყენებაც დაგვიანდა, რადგან გუთნების ბორბლები მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მივიღეთ.

დანარჩენი ორატორები აღნიშნავდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების სიძვირეს, კოლექტიურ მეურნეობათა არასაკმაო ხელმძღვანელობას მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მხრივ და მთელ რიგ სხვა დეფექტებს თესვის კამპანიის გატარებაში. (ადს).

კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების თათბირი

კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობა საქართველოში

კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების თათბირის მეორე სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება თელავის მაზრის კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ვ. ცაგარელის მოხსენება საქართველოს კოლმეურნეობათა საერთო მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს კოლმეურნეობათა მშენებლობის პროცესში ჩამოყალიბებულია: კომუნები, სასოფლო-სამ. არტელები და მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები. უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობათა ქსელში შეყვანილი იქნა მელიორატიული და სამანქანო ამხანაგობები. 1927 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში არსებობდა: 7 კომუნა, 19 სას.-სამ. არტელი და 59 მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა, სულ 85 კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებული იყო 1.454 კომლი.

1928 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობათა რიცხვი საქართველოში უდრის 212 და ისინი აკავშირებენ 3.537 გლეხურ მეურნეობას. 1927 წლის 1 იანვრისათვის თვითეულ კოლექტივზე საშუალოდ მოდიოდა 21 დესიატინა გაერთიანებული მიწა, ხოლო 1928 წლის 1 იანვრისათვის მოდის 22 დესიატინა. უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ტეხნიკურ კულტურათათვის გამოყენებული მიწის სივრცე. წლის მაგალითად, კოლმეურნეობებს გაშენებული აქვთ [illegible] 241 დესიატინაზე [illegible] თვითეულ კოლმეურნეობის ძირითადი და მკვდარი ინვენტარის ღირებულება საშუალოდ უდრის—3.405 მან. წლევანდელი გამოკვლევის მიხედვით თვითეული კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი 3.868 მან.; გამოხატება. თვითეულ წევრზე წლის განმავლობაში მოდის 305 მან. საშუალოთ თვითეულ კოლმეურნეობის შენობათა ღირებულება უდრის 7.256 მანეთს: აქედან საკუთარი შენობები—1.856 მან. და ხელისუფლების მიერ გადმოცემული შენობები—5.400 მან. აღებული სესხის რაოდენობა თვითეულ კოლექტივზე საშუალოდ უდრის 2.638 მან., ხოლო თითო წევრზე 120 მანეთს.

1928 წლის განმავლობაში კოლმეურნეობათ მიეცათ სულ 312.255 მან. გრძელვადიანი და 26.500 მან. მოკლევადიანი სესხი. სულ წელს კოლმეურნეობებს სესხათ მიეცა 338.755 მანეთი.

საქართველოში არსებულ 90 სამანქანო ამხანაგობაში გაერთიანებულია 2.625 კომლი. სამანქანო ამხანაგობები არ წარმოადგენენ კოლმეურნეობების წმინდა სახეს, მაგრამ გაერთიანების ეს ფორმა ნიადაგს ამზადებს მეურნეობის განსაზოგადოებისათვის.

ამხანაგობების განკარგულებაში იმყოფება 85 ტრაქტორი (75 ფორძონი და 10 ჰოლტი).

გასული წლის განმავლობაში თითო ტრაქტორს დაუხნავს საშუალოდ 65 დესიატინა მიწა.

ამხანაგობათა საკუთარი თანხები უდრის—120.213 მანეთს და ნასესხები—111.537 მანეთს.

კოლმეურნეობათა ცენტრი დაარსდა 1928 წლის 8 იანვარს. ცენტრის დაარსებისთანავე მიღებული იქნა ზომები ინსტრუქტორების სათანადო კადრის შესაქმნელად. კადრის ჩამოყალიბების შემდეგ ინსტრუქტორები გაგზავნილი იქნენ რაიონებში, სადაც მათ ჩაატარეს არსებულ გაერთიანებათა გამოკვლევა. ამჟამად კოლმეურნეობათა ცენტრთან მოწყობილია აგრონომიული განყოფილება, რომელმაც აგროხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ძირითად გაერთიანებებს ადგილებზე.

დასასრულ მომხსენებელი მიუთითებს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ჩატარებული უნდა იქნეს კოლმეურნეობების მშენებლობაში.

იარაღ-მანქანების ექსპლოატაცია კოლმეურნეობებში

[illegible] შესახებ მოხსენებას აკეთებს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ა. ქიზირია.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები უნდა შეიქნეს სახ. მეურნეობის კოლექტივიზაციის ხელისშემწყობ საშუალებათ ამისათვის მანქანის ხელსაყრელობა უდავო და თვალსაჩინო უნდა გახდეს ჩვენი გლეხობისათვის. ჯერ-ჯერობით ეს საქმე ჩვენში მოგვარებული ვერ არის, რაც აიხსნება იმით, რომ ჩვენი გლეხობა არ არის შეჩვეული მანქანას, არ გვყავს მომზადებულ მემანქანეთა კადრი, მიწის ნაკვეთები დაქსაქსულია და სხვ.

სოფლის მეურნეობაში დაბანდებული მანქანები საშუალოდ დატვირთულია 33 პროც. ხოლო მაქსიმალურად—60 პროცენტით (სიღნაღის მაზრაში).

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

პარტიული ცხოვრება

სოფლად მუშაობის მორიგი ამოცანები

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ცირკულიარი

მოსკოვი, 16 მაისი. გამოქვეყნებულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ცირკულიარი სოფლად მუშაობის შესახებ.

„პურის დამზადების კრიზისმა მიმდინარე წელში და საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკის წინააღმდეგ კულაკების შეტევის ცდამ—ნათქვამია ცირკულიარში—ხაზგასმით დაამტკიცა, რომ სწორია მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და მსხვილი სახელმწიფო მიწადმოქმედების განვითარება წარმოადგენს სოფლის ეკონომიური აღორძინებისა და სოციალისტურ ნიადაგზე განვითარების ერთად-ერთ გზას. ცეკამ [illegible] უდიდესი ამოცანა—უახლოესი სამ-ოთხი წლის განმავლობაში, თავისუფალ მიწებზე უნდა შეიქმნას მსხვილი საბჭოთა მეურნეობების ახალი ქსელი, რომელმაც პურის პროდუქცია მიაღწიოს 100 მილიონ ფუთამდე წელიწადში. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს მუშათა კლასის და პირველ რიგში ჩვენი პარტიის საორგანიზაციო ძალთა მობილიზაციას. საბჭოთა მეურნეობის გაფართოებული ქსელი საუკეთესო საშუალება იქნება გლეხის მეურნეობის მოსაწყობად კოოპერატიულ-კოლექტიურ საფუძველზე.

მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებმა კოლექტივიზაციის შესახებ ფართო გამოძახილი ჰპოვა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებში, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლის ამ ფრონტზე სავსებით შესაძლოა პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხობასთან.

უმთავრესი გზა სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალთა აღორძინებისათვის არის მსხვილი საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლა. კოოპერატიული ორგანიზაციები მთელი თავისი ენერგიით უნდა შეეცადონ, რომ კოლექტივისტური მოძრაობა გადაიქცეს ღარიბ-საშუალო გლეხთა ნამდვილ მასიურ მოძრაობად, რომელიც უნდა მოიცავს მთელ სოფლებს. ჯეროვან ნიადაგზე უნდა იქნას დაყენებული კოლექტიურ მეურნეობებისათვის აგრონომიული დახმარების საქმე, ზომები უნდა იქნას მიღებული იმის წინააღმდეგ, რომ კულაკებმა თავისი მანქანებისათვის არ გამოიყენონ კოლექტივისტური მოძრაობა. სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის საქმეში აუცილებლად უნდა იქნას გაძლიერებული სოციალისტური მრეწველობის როლი, პირველ რიგში, კონტრაქტაციისათვის საჭირო ღონისძიებათა უფრო ფართოდ გატარების საშუალებით. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ კულაკების სრულ პოლიტიკურ იზოლაციას, რომლებიც სცდილობენ ჩაშალონ სოციალისტური მშენებლობის საქმე. კულაკების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა დაემყარებოდეს რევოლუციურ კანონიერებას და უნდა ვადევნოთ თვალ-ყური კლასობრივი ხაზის განხორციელებას საგადასახადო პოლიტიკაში, კრედიტებისა და მანქანების სისწორით განაწილებას, ღარიბთათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათების მინიჭებას, დაქირავებული შრომის დაცვას სასოფლო მეურნეობაში, მიწადსარგებლობის, მიწის იჯარის და სხ. შესახებ არსებული კანონმდებლობის დაცვას და სხ.

აუცილებელია გაცილებით უკეთეს ნიადაგზე დავაყენოთ მუშაობა ღარიბთა და მოჯამაგირეთა შეკავშირებისა და პოლიტიკური განვითარების დარგში, უფრო გავაფართოვოთ საბჭოების გამოცოცხლების მუშაობა და მივიღოთ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ წინ წავწიოთ კულტურული რევოლუციის საქმე სოფლად. საჭიროა გავაუმჯობესოთ მუშაობა სოფლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების რიცხობრივად და თვისობრივად განმტკიცებისათვის, გავაძლიეროთ მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჩაბმა პარტიაში. სოფლად მუშაობის განყოფილებათა მოწყობამ ხელი უნდა შეუწყოს პარტკომებს ამ ამოცანათა განხორციელებაში“.

ცირკულიარში შემდეგ ჩამოთვლილია უმუალო პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც სდგას სოფლად მუშაობის განყოფილებათა წინაშე (ადს).

გორის სამაზრკომის პლენუმი

(წერილი გორიდან)

7 მაისს მოწვეული იყო გორის სამპარტკომის გაფართოებული პლენუმი თემაღმასკომის თავმჯდომარეებთან ერთად.

ორგანიზაციის მორიგ ამოცანებზე (მაზრის გამოკვლევასთან დაკავშირებით) მოხსენება გააკეთა ამხ. პ. მელაძემ. ამხ. მელაძე არ შეხებია მიღწევებს, მან აღნიშნა, მხოლოდ უარყოფითი მოვლენები. ჩვენს ორგანიზაციაში—სთქვა მომხსენებელმა, ბევრ ორგანოს ვერა აქვს გარკვეული თავისი ფუნქციები, მაგალითად კოოპერატივების საპაიო კამპანია. ზოგიერთმა თემკომებმა და რაიკომებმა უმუალოდ თვითონ ჩაატარეს, მაშინ, როდესაც ამ კამპანიისათვის მათ მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ. უბრალო ტეხნიკურ საქმეს—მოჯამაგირეთა აღრიცხვასაც კი პარტკომები აწარმოებენ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პარტგანათლების საკითხებს, და აღნიშნავს, რომ გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული პარტწევრთა შორის ტეხნიკური და პოლიტიკური უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

დასასრულ ამხ. მელაძემ ხაზი გაუსვა, რომ პროფკავშირების მუშაობა ძალზე მოისუსტებს განსაკუთრებით კულტურულ დარგში. სუსტ მდგომარეობაშია აგრეთვე სატარიფო-ეკონომიური მუშაობაც. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროფკავშირის წევრები გვერდს უვლიან თავიანთ კავშირებს და ეკონომიურ-მატერიალურ საკითხებისათვის მიმართავენ ხოლმე ან პარტკომს ან აღმასკომს.

პლენუმზედ მეორე საკითხად იდგა სას.-სამ. კოლექტივთა მორიგი ამოცანები, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ცაგარელმა. კამათში მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს ზოგიერთი კოლექტივების და სამანქანო ამხანაგობათა უმწეო მდგომარეობა გორის მაზრაში და მიუთითეს იმაზედ, რომ სამანქანო ამხანაგობებში შეპარული არიან შეძლებული გლეხებიც. აგრეთვე არ არის მაზრაში იარაღ-მანქანების სახელოსნო, რაც ძლიერ აფერხებს კოლექტივების და ამხ-ბების მუშაობას.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. ვ. ქურდაძის მოხსენება 5 წლიანი სამეურნეო გეგმის შესახებ.

ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტი—სთქვა ამხ. ქურდაძემ, ამ გეგმის მიხედვით ყოველწლიურად იზრდება. ფინანსიური სახსრები საგეგმო პერიოდში გათვალისწინებულია 10800000 მან. რაოდენობით, გასავლის მეტი ნაწილი მოხმარდება სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვის საქმეს და სასოფლო მეურნეობის აღდგენას.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე მოხსენებები ღარიბთა შორის მუშაობისა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ.

ჟ. მ.

კომკავშირში

კომკავშირის საკავშირო ყრილობა

ამხ. კრუპსკაიას მოხსენება

მოსკოვი, 15 მაისი. 14 მაისის საღამოს სხდომაზე საკ. ა. ლ. კ. კ. ყრილობამ მოისმინა ამხ. კრუპსკაიას მოხსენება ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ. ამხ. კრუპსკაიამ აღნიშნა, რომ ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. მრავალი ბავშვი სკოლის გარეშეა დარჩენილი; განსაკუთრებით ცოტაა სკოლებში არაკვალიფიციური მუშებისა, ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების ბავშვები. ეს დაუშვებელი მოვლენაა. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების შრომის პრინციპზე აღზრდის განხორციელებას. მხოლოდ პიონერებისა, კომკავშირისა, პარტიისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის შეთანხმებული მუშაობით შეიძლება სოციალიზმის ახალგაზრდა მშენებელთა აღზრდის საქმის განმტკიცება.

ამხ. კრუპსკაიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დამთავრებისა და ამხ. კრუპსკაიას საბოლოო სიტყვის შემდეგ, ყრილობამ საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას თეზისები პიონერთა მოძრაობის შესახებ მიიღო საფუძვლად და რეზოლუციის შესამუშავებლად აირჩია კომისია (ადს).

ფაქტების ღაღადი

(პასუხად ბ-ნ კ. კანდელაკს)

I

ვინც ოდნავად მაინც თვალყურს ადევნებდა ქვედა საფეხურის დარაიონების საკითხებს, კარგათ იცის, რომ საქართველოში რევოლუციამდე თითქმის ყოველ წელს ამა თუ იმ მოსაზრების გამო, საგრძნობლად იცვლებოდა სოფლის საზოგადოებათა რიცხვი. რევოლუციამდე, მეფის მთავრობას დარაიონების საკითხი უმთავრესად ადმინისტრატიული თვალსაზრისით აინტერესებდა, ანუ ტერიტორიის იმგვარი დაყოფა და თვითეულ ერთეულში ადმინისტრაციის ისეთ ყაიდაზე მოწყობა, რომელსაც შედეგათ უნდა მოჰყოლოდა ხალხის განუსაზღვრელი დამონავება და დაბეჩავება. ქვეყნის დარაიონებაზე იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოთ კულტურული და ეკონომიური განვითარებისათვის არავინ ზრუნავდა. მაგრამ იმ დროსაც ჩვენში აგრეთვე, როგორც რუსეთში, სოფლის მოსახლეობა თვითონ აყენებდა საკითხს ეკონომიურ დარაიონების შესახებ და ხალხის ეს მოთხოვნილება იმდენათ მწვავე და გადაუდებელი ხასიათისა იყო, რომ მეფის მთავრობაც კი იძულებული ხდებოდა ასე თუ ისე ანგარიში გაეწია მისთვის. სხვა წყაროებიც რომ არ ავიღოთ, მარტო „კავკაზსკი კალენდარი“-ც ნათლად მოწმობს, რომ საქართველოში, წინედაც, სოფლის მოსახლეობა კარგად ერკვეოდა ზემო აღნიშნულ კითხვებში და ხშირათ აიძულებდა ხოლმე მთავრობას ახალი სოფლის საზოგადოებების დაარსებას, ზოგიერთ შემთხვევაში სოფლის საზოგ. მიჯნების შესწორებას და სხვა და სხვა. მენშევიკების დროსაც, რა თქმა უნდა, საქართველოს ქვედა საფეხურის დარაიონების საკითხები არ იყო შესწავლილი და ჩამოყალიბებული, არ იყო მიღებული რაიმე გარკვეული ხაზი და მტკიცე პრინციპები, რომელთა მიხედვით და რომელთა საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო ქვედა სამეურნეო ერთეულის მოწყობა. და აი სწორეთ ამ მიზეზების გამო მენშევიკების დროს თვით მოსახლეობა სხვა და სხვა მაზრაში სხვა და სხვანაირად, მაგრამ ყველა შემთხვევაში სრულიად სტიქიურად, სჭრიდა დარაიონების საკითხებს. გადაიკითხეთ იმ დროინდელი მენშევიკური ჟურნალი „ერობა“. „გარეჯუბნის თემი მოეწყო გასულ წლის აგვისტოში“, „შორაპნის მაზრაში თანდათან ვითარდება ტენდენცია (სოფლების) გამოყოფისა“, „კრება წინააღმდეგია სარაიონო თემების“, „ყრილობამ დაადგინა გორის მაზრა გაყოფილიყო 20 წვრილ საერობო ერთეულად. მოეწყო მხოლოდ 17 თემი“ და მრავალ სხვა ამგვარ ცნობას ვკითხულობთ დარაიონების შესახებ ჟურნალ „ერობის“ მხოლოდ ერთ ნომერში. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ საქართველოში, როდესაც ძირიან-ფესვიანად შეიცვალა არსებული ხაზი მეურნეობის მოწყობა-განვითარებისა მოსახლეობის კულტურულ და პოლიტიკურ აღზრდაზე და ადმინისტრატიულ და ყველა სხვა დაწესებულების ისეთ მოწყობაზე, რომელიც უმეტ-ნაკლებოდ უნდა მომსახურებოდა სოფლის მოსახლეობას, რა თქმა უნდა, საქართველოს ქვედა დარაიონების საკითხის გადაწყვეტა სტიქიურად, მხოლოდ ხელის აწევით, როგორც ეს ხდებოდა ერობათა ყრილობებზე, აღარ შეიძლებოდა.

დიდს და რთულ საკითხს ხანგრძლივი და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა დასჭირდა. ამ მიზანს, ე. ი. ქვედა საფეხურის დარაიონების საკითხის გამორკვევას ემსახურება პატარა წიგნაკი „საქართველოს თემი“. ეს იყო პირველი ცდა აღნიშნულ სფეროში; მისი დანიშნულება იყო მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი თემის მდგომარეობის მოკლედ გაშუქება. ამ წიგნაკის ყოველი სტრიქონი, ცნობა, შესწორებული და შემოწმებული ადგილზევე, მხოლოდ და მხოლოდ ერთს მიზანს ემსახურება: საქართველოში ქვედა ძირითად სამეურნეო ერთეულად ცნობილი იყოს ბუნებრივი რაიონი—თემი. ავტორს არსად არც ერთი სიტყვით არ შეუდარებია დღევანდელი სოფელი მენშევიკების დროის სოფელთან, არ გაუტარებია პარალელი და არ მოუყვანია რაიმე დასკვნა იმის შესახებ, თუ რა იყო წინად საქართველოში და რა გააკეთეს ეხლა ბოლშევიკებმა სოფელში.

ამიტომ თუ ყოფილ მინისტრმა, ბ-ნ კ. კანდელაკმა, თვითონ მოისურვა და დაბეჯითებით მოითხოვა, თავის წიგნაკში: „რას ამბობენ ფაქტები“, რომ ჩვენ მაინც და მაინც შეგვედარებია დღევანდელი და მენშევიკური დროის სოფელი, ასეთ შედარებას ჩვენ გავატარებთ და წინასწარ ბოდიშს მოვითხოვთ, თუ ის კ. კანდელაკისათვის სასარგებლო ვერ აღმოჩნდება.

ზემოხსენებული წიგნაკის მერვე თავში კ. კანდელაკი, სხვათა შორის, ეხება ჩვენს სოფელს. მასალა ავტორს ამოღებული აქვს საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ გამოცემული წიგნაკიდან („საქართველოს თემი და მისი ეკონომიური და ფინანსიური შესაძლებლობანი“). ბ-ნი კანდელაკი აღნიშნულ წიგნაკით მეტად თავისუფლად და, მეტი რომ არა ვთქვათ, თავისებურად სარგებლობს. რაიმე დებულების გასამუქებლად ავტორი სარგებლობს არა სრული ცნობებით და მასალებით, რომელიც მოყვანილია წიგნში „ს. ს. ს. რ. თემი“, არამედ ნაწყვეტ-ნაწყვეტებით, რაც ნიშნავს სურათის განზრახ დამახინჯებას, მის გაკარიკატურებას.

II

წინანდელი თემი

ავიღოთ ბ-ნ კანდელაკის მიერ აღძრული პირველი საკითხი: „ვის და რას ემსახურება თემში თემაღმასკომი, რა ჯდება მისი შენახვა და რას წარმოადგენენ თემის მომუშავენი საბჭოთა საქართველოში“?

მაგრამ, სანამ აქ დასმულ კითხვაზე მოგცემდეთ პასუხს, შევასრულოთ თხოვნა და გამოვარკვიოთ, თუ რას წარმოადგენდა მენშევიკური თემი. მისი თანამშრომლები, ვის და როგორ ემსახურებოდნენ ისინი და რა ღირდა მათი შენახვა? ჩვენ აქ დავიმოწმებთ მენშევიკების დროინდელ წყაროებს.

საქმიანობის მხრივ მენშევიკური დროის თემი ასეთ სურათს წარმოადგენდა: „თემის შემოსავალ-გასავალი ან სრულიად არ არის აღნიშნული წიგნებში, ან ისე არეულ-დარეულია, რომ მისი სინამდვილით გამოანგარიშება შეუძლებელია. ასეთივე უნუგეშო მდგომარეობაშია საერთო საქმის წარმოებაც. მთელი გასული და მიმდინარე წლების მიწერ-მოწერა და ცირკულიარები, შესრულებული და შეუსრულებელი, შეუკრავი და არეულ-დარეულია; სასწრაფო მინდობილობანი სხვა და სხვა დაწესებულებათა სრულიად უყურადღებოთ არის მიტოვებული კვირაობით და ხშირათ მთელი თვეობითაც კი, რაც ყოვლად დაუშვებელია. მოქალაქეთა თხოვნები თემის ან სამაზრო ერობის გამგეობისადმი, თემში გადმოგზავნილი დასკვნისათვის, ხშირათ მთელი თვე შეუსრულებელი, სძევს თემში და მთხოვნელი დიდ დროს კარგავს პასუხის მისაღებათ, მაგრამ ამაოდ. ასეთი არასასურველი მოვლენები (რომელიც სისტემად იყო გადაქცეული, ვ. ო.) გამგეობის უყურადღებობას და განსაკუთრებით საქმის მწარმოებელთა დაუდევრობას უნდა მიეწეროს. („ამონაწერი ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის მიერ ყველა თემებისადმი დაგზავნილ მიწერილობიდან. იხ. ჟურ. „ერობა“ № 4 1920 წ., გვ. 27-28). იმავე მიწერილობიდან სჩანს, რომ ერობა დიდ ენერგიას ხარჯავდა რათა თითეულ თემის თანამდებობის პირს შეეგნო თავისი მოვალეობა: „შეაყვარონ ხალხს ახალი სახალხო დაწესებულება და დაარწმუნონ ისინი მის უპირატესობაში ძველთან შედარებით“, და, მართლაც, თემის პასუხისმგებელი მუშაკნი ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა, რათა მოსახლეობა დაერწმუნებია მენშევიკურ ახალ დაწესებულებების „უპირატესობაში“. „თემი ჩემის აზრით, სწერს თელავის მაზრიდან ვინმე ვ. ბერეჟიანი („ერობა“ № 3 1920 წ.) უნდა ზრუნავდეს თავის სათემოსათვის ისევე, როგორც მამა ოჯახისა ზრუნავს თავის ოჯახისათვის; თემი ისევე უნდა ზრდიდეს და ამზადებდეს სათემო მცხოვრებლებს პოლიტიკურ თავისუფლებისათვის, როგორც მამა ზრდის და ამზადებს თავის შვილებს ცხოვრებისათვის“.

და აი ამიტომ „ოჯახების მამები“—იმდროინდელი თემის მუშაკნი თითქოს „მშობლიურად“ ეპყრობოდენ თემებს, მეთ. მაგრამ მენშევიკურ ერობის ოფიც. ორგანოში (№ 3 1920 წ., გვ. 46) ჩვენ ვკითხულობთ: „გარეგანი შეხედულებით თემი წარმოადგენს იგივე ძველებურს საუბნო ბოქაულის კანცელარიას; იგივე ოქმების შეყენება და ხანდახან სილებიც და სხვა“. ვგონებ, რომ ამ ფაქტების მოყვანაც საკმარისია იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რას წარმოადგენდა მენშევიკური თემი, მისი თანამშრომლები და ვის და როგორი „მშობლიური გრძნობით“ ემსახურებოდენ მენშევიკების დროს.

III

რა ჯდებოდა წინად თემის ორგანოს შენახვა

გადავიდეთ საკითხზე, თუ რა უჯდებოდა ქართველ გლეხს აღნიშნული თემების შენახვა და რა ადგილი და ხვედრითი წონა ეკავა ადმინისტრაციის შენახვას მენშევიკური „თემის ბიუჯეტში“.

მაგალითად, „წინანდლის თემის მთელი შემოსავალი ერთი ერთმანეთზე უდრის თვეში 3.450 მან., (ბონებში. ვ. ო), გასავალი უდრის თვეში 21.700 მან., რომელიც გამოიხატება შემდეგი ხარჯით:

3 გამგეობის წევრი—თითოს 2.400—7.200 მან., 1 მდივანი—თვეში—1.920 მან. 1 გადამწერი თვეში—1.000 მან. 3 თემის რწმუნებული სოფელში—3.600 მან. 6 მილიციონერის დამატებითი ჯამაგირი—1.700 მან. 1 კანცელარიის დარაჯი—1.500 მან. ნავთი, შეშა, საკანცელარიო ხარჯები—1.000 მან. 4 სასწავლებლის დარაჯი—3.840 მან. სულ ადმინისტრაც. 17.660 მან. სულ თემის ბიუჯეტით—21.700 მან.

მაშასადამე, შემოსავლის გამოკლებით მუდამ თვე კიდევ აქვს თემს მოსანახი 18.310 მან.—ამ თვიური ხარჯის დასაფარავად. („ერობა“ № 3—1920 წ., გვ. 46—47). სხვათა შორის იმავე წერილიდან სჩანს, რომ სამაზრო ერობამ თემს ვერ მისცა მთელი მოთხოვნილი თანხა და ამიტომ „დანარჩენი თვეების (7 თვე. ვ. ო.) დასაფარავად თემმა უნდა გააწეროს თემის მცხოვრებლებზედ“. აქ გაკვრით უნდა მოვიხსენიოთ, თუ როგორ ტარდებოდა და რას ნიშნავდა ეგრედ წოდებული „თემის მცხოვრებლებზე ხარჯების გაწერა“.

უსახსრობის და თემების ფინანსიურ უფლებების გამოურკვევლობის გამო თემი თითქმის ყოველ დღე, ამა თუ იმ შემთხვევის გამო, სამაზრო ერობიდან ღებულობდა შემდეგ წინადადებას, გამოხატულს მოკლე, მაგრამ სრულიად კატეგორიულ ფორმაში: „**დაევალოს სასკოლო განყოფილებას დააწეროს თემს მასწავლებლებისათვის ბინის ქირა და შეშის და ნავთის ფასად გადასახადი, რის გადახდაც ევალება თემს**“ (იხ. ჟ. „ერობა“ № 2 1920 წ., გვ. 43) გაწერილი თანხა კი იკრიბებოდა შემდეგნაირად: „ცხადია თემი მცირე ხანში ვერ შესძლებდა დაკისრებული ვალდებულება შეესრულებინა და როცა ჩვენ შევუდექით სკოლების შეკეთებას სოფლის ხარჯზე, ამან ვერ გამოიღო ვერაფერი ნაყოფი, ვინაიდან სოფელი უარს ამბობდა ხარჯებზე. **თემი იძულებული გახდა ძალით მოეკრიფა სასკოლო ხარჯები**“. (იხ. „ერობა“ № 2 1920 წ., გვ. 33). თუ გლეხობა არ იხდიდა თავის ნებით სკოლისათვის გაწერილ თანხას და მისი აკრეფა თემს უხდებოდა ძალით, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სურვილით იხდიდა გლეხი მაშინდელი თემის თანამშრომლების შესანახ ხარჯებს და რა მუყაითობით ახდევინებდენ თემის მუშაკნი მათთვის დანიშნულ ფულს. მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, რომ თემი (და არა მარტო წინანდლის თემი. ვ. ო.) თავის ბიუჯეტის 82 პროც. *) ახმარებდა თემის „მშობლიური გრძნობით“ გამჟღავნებული ადმინისტრაციის შენახვას და დანარჩენ 18 პროც.—4 სასწავლებლის დარაჯის შენახვას, ასეთი იყო მოკლეთ მენშევიკური თემი და მისი „მუშაობა სოფლად“. ამ „მუშაობამ“ კი შემდეგი მწარე ჭეშმარიტება გამოათქმევინა მაზრის ერთ მუშაკს: „ხალხში გამოწვეული აღფრთოვანება თემების შემოღების დროს, ახლა ჩაქრა და კეთილ განწყობილების მაგიერ, თემის არსებობა ხალხში უკმაყოფილებას იწვევს“. (იხ. ჟ. „ერობა“ № 4 1920 წ., გვ. 31).

IV

დღევანდელი თემი.

რას წარმოადგენს დღევანდელი თემი, მისი თანამშრომლები, ვის და როგორ ემსახურებიან ისინი და რა ჯდება მათი შენახვა?

ბ-ნ კ. კანდელაკს რომ მართებულად ესარგებლა იმ წიგნაკით, რომლითაც ის სარგებლობს თავის ბროშურაში „რას ამბობენ ფაქტები“, უსათუოთ აღნიშნავდა შემდეგს ცნობებს, რომლებიც ეხება თემაღმასკომის პირად შემადგენლობას მათ შესანახ ხარჯებს და აგრეთვე იმას, თუ სად უფრო ძვირი ჯდება ადმინისტრაციის შენახვა.

მაგალითად, წიგნაკ: „საქართველოს თემი“-ს მე-37 გვერდზე სწერია: „1925—26 წელში საქართველოში თითეულ თემზე საშუალოდ მოდის 3,21 თანამშრომელი და საზოგადოთ, თემის საშუალო ნორმად. შტატი შესდგება: თემის აღმასკომის თავმჯდომარისაგან (1), მდივნისაგან (1) და დარაჯისაგან (1). სულ სამი კაცისაგან. ზოგიერთ მაზრაში კი აღნიშნული მინიმალური შტატი მცირდება 2,2 კაცამდის. მაგალითად, დუშეთის მაზრაში ერთ თემზე საშუალოდ მოდის 2,2 თანამშრომელი“.

შემდეგ, იმავე წიგნაკში სწერია: „ძირითადი ადმინისტრატიული აპარატის შესანახ ხარჯებიდან თითეულ სულზე იხარჯება წელიწადში:

საქართველოში 67 კაპეიკი, სომხეთში 62 კ., აზერბეიჯანში 89 კ., უკრაინაში 83 კ. („საქართველოს თემი“ გვ. 35).

ამის შემდეგ აშკარაა, თუ რატომ ისარგებლა ბ. კანდელაკმა ცნობებით, რომელიც მოთავსებულია ჩვენი წიგნაკის 35 გვერდზე, და არ მოიყვანა ზემოდ ეს ცნობები, რომლებიც წიგნაკის იმავე 35 გვერდზეა. ბ-ნ კანდელაკს, რომ ყველა მასალები გამოექვეყნებია თავის ბროშურაში, მაშინ როგორღა დასწერდა ასეთ „ჭეშმარიტებას“, რომ „როდესაც ყოველივე (?) ზემოთ მოყვანილ მასალას თავს უყრით და იმას ადარებთ არა ევროპის სახელმწიფოებს, არამედ თვით საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს თქვენ ხედავთ, რომ საქართველო საბჭოთა კავშირში არის ერთად ერთი რესპუბლიკა, სადაც თემები ხარჯავენ ყველაზე მეტს ადმინისტრაციაზე და ყველაზე ნაკლებს სოფლის სხვა საჭიროებაზე პროცენტულად ბიუჯეტის საერთო ფარგლებში“. („რას ამბობენ ფაქტები“, გვ. 37).

არ ვიცით რომელ ფაქტებიდან სჩანს ზემოდ მოყვანილი დებულება. არსებული ფაქტები კი იმას ამტკიცებენ, რომ საქართველოში თემის შესანახ ხარჯებიდან წელიწადში ერთ სულზე მოდიოდა 1925—26 წ. წ. 67 კაპეიკი და შემდეგ წლებში კი, მაგ. 1926—27 წ. წ. იგივე ხარჯები ერთ სულზე გამოიხატებოდა: რუსეთში 65—79 კ., ბელორუსიაში 83 კ., სომხეთში 93 კ., აზერბაიჯანში 96 კ., საქართველოში კი 48 კ..

თუ ადმინისტრატიული ხარჯების ხვედრითი წონა 1925—26 წ. თემის ბიუჯეტში, რომელიც წარმოადგენს საქართველოში პირველ ცდას, ცოტაოდენ მნიშვნელოვანია ამის ახსნა-განმარტება მოყვანილია „საქართვ. თემი“-ს მე-26, 27 და 28 გვერდზე და ყოველ შემთხვევაში სრულებითაც თემის ბიუჯეტის აგების ტეხნიკური პირობებიდან არ უნდა გამომდინარეობდეს ის დასკვნა, რომელსაც აკეთებს ბ. კანდელაკი. ამის დასადასტურებლად ჩვენ მოვიყვანთ საბუთებს, მაშინ, როდესაც თემის ბიუჯეტზე ვილაპარაკებთ. ეხლა კი დაუბრუნდეთ საკითხს: „ვის ემსახურება საქართველოში თემი, „რა ცოდნის და განათლების მატარებელია“ „აღმასკომების შემადგენლობა“ ან საჭიროებს თუ არა საზოგადოთ ამ თანამდებობის შესრულება რაიმე ცოდნას“. (რას ამბობენ ფაქტები“, გვ. 37).

კარგი იქნებოდა, რომ ამ შეკითხვაზე პასუხი გასცეს თვით თემაღმასკომის იმ თანამშრომლებმა, რომლებიც მართლაც რომ თითქმის უსასყიდლოთ, გულწრფელად და ენერგიის დაუზოგავათ ემსახურებიან ადგილობრივ გლეხობის უამრავ ინტერესებს და რომლებიც დღე და ღამ არა „სილებით და ოქმებით“, არამედ მთელი თავისი განუსაზღვრელი შრომით და ენერგიით ჰქმნიან ახალ სოფელს, მაგრამ ჩვენც მოვიყვანთ უბრალო ცნობებს დასმულ საკითხის მოკლე გასაშუქებლად.

საქართველოში უთბილისოდ და უაფხაზეთოთ (სადაც თემები არ არის) შემდეგი სურათი იყო და არის ამ სამი წლის განმავლობაში:

	1925/26 წ.	1926/27 წ.	1927/28 წ.
თემის რიცხვი	464	395	391
თემის თანამშრომლები	1.490	1.340	1.359
ერთ თემზე თანამშრომლები	3.2	3,3	3,4
სოფლის 10.000 მოსახლ. თანამშრომ.	8,6	7,5	7,6
თემის ტერიტორია (კვ. ვ.)	105,6	124,0	125,0
თემის მოსახლ.	3.710	4.480	4.533

ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ 1925—26 წლიდან თემთა რიცხვი საქართველოში სისტემატიურად მცირდება, რისიც შედეგია თემის ფარგლების და თემის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა და იმავე დროს თემის თანამშრომლების რიცხვის შემცირება და, მაშასადამე, თვითეულ თანამშრომლის დატვირთვის მაქსიმუმამდე გადიდება. ამავე ცნობებიდან სჩანს, რომ თუ 1925—26 სამეურნეო წელში სოფლის 10.000 მოსახლეს ემსახურებოდა 8,6 თანამშრომელი, 1927—28 წლის იმავე 10.000 მოსახლეზე უკვე მოდის 7,6 თანამშრომელი. თემის მუშაკების ასეთი შემცირება გატარებულია მხოლოდ მათი უკიდურეს დატვირთვის მეოხებით. 1925—26 წლიდან საგრძნობლად შეიცვალა თემის მუშაობის რაოდენობა, და შინაარსი და ამიტომ თემის თანამშრომლებს ხშირად მოეთხოვებათ დიდი გამოცდილება და ცოდნა სამეურნეო, საბიუჯეტო-საფინანსო, საადმინისტრაციო და სხვა დარგებში. რა თქმა უნდა, რომ იმ სურათს, რომელიც ჩვენ დავინახეთ თვით მენშევიკების აღწერით 1920 წ. თემის მუშაობაში, როდესაც ყველა საქმე არეული იყო, როდესაც არც ერთი განკარგულება არ სრულდებოდა, როდესაც „მშობლიური გრძნობა“ სილებში გამოიხატებოდა, როდესაც ადმინისტრაციის შენახვა ხალხს უჯდებოდა მთელი თემის ბიუჯეტისა 82 პროც., ასეთ სურათს, ვამბობთ, დღევანდელ თემში ვერ ვნახავთ, ვინაიდან თითეული თანამშრომელი სასტიკ პასუხს აგებს არამც თუ საქმის წინანდებურად გაჭიანურებისათვის, არამედ უბრალო, უმნიშვნელო დაუდევრობისათვისაც კი.

ჩვენ გვგონია, მოყვანილი მოკლე ცნობაც საკმარისია, რომ ბ-ნ კანდელაკი დარწმუნდეს თუ რა განსხვავებაა მათ თემის „არეულ“ აპარატსა (რომელიც თვით მენშევიკების ოფიციალურ ჟურნალის ცნობით არაფრად არ განსხვავდებოდა „ძველებურს საუბნო ბოქაულის კანცელარიისაგან“) და დღევანდელი თემის ორგანოს შორის, რომელიც ემსახურება მშრომელ გლეხობას.

თუ რა გრძნობით არის გამსჭვალული ჩვენი გლეხობა „უვიც და არამცოდნე“ თემაღმასკომისადმი და აგრეთვე იმაში დასარწმუნებლად, თუ როგორ ემსახურება აღმასკომი სოფლის მოსახლეობას, ჩვენ შეგვიძლია აქ მოვიხსენიოთ აუარებელი და თითქმის ყოველ დღიური დელეგაციები სოფლებიდან ერთი და იგივე თხოვნით, რათა იქნეს აღდგენილი გაუქმებული თემი ან და დაარსებულ იქნეს ახალი თემი. ოზურგეთის, რაჭის, ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ახალქალაქის და სხვა მაზრების გლეხობას არა ერთხელ დაბეჯითებით მოუთხოვია ახალი თემის დაარსება და მთავრობის მიერ გასაუქმებლათ არჩეული თემის დატოვება.

ეს უბრალო ცნობა მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ დღევანდელი თემი და მისი ორგანო, აღმასკომი, უკიდურესად მშრომელი ხალხის ორგანოა, მისი ჭირვარამის მოზიარე, მის კეთილდღეობაზე ნამდვილი მზრუნავი. მაშ, რას ამბობენ ფაქტები და ბ. კანდელაკის მიერ დაბეჯითებითი მოთხოვნის გამო მოყვანილი შედარებანი?

მაგრამ ჯერ გავაშუქოთ თემის ბიუჯეტის საკითხი საერთოდ.

ვ. ორჯონიკიძე

(დასასრული იქნება)

---

*) თვით დაბეგვრის გარდა. ვლ. ორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნას

ქუთაისის აღდგენის პერსპექტივები

(საუბარი ინჟ. ბ. ჭიჭინაძესთან)

გუშინ ქუთაისიდან დაბრუნდა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, რომელმაც დაათვალიერა ქუთაისში ხანძრით დაზარალებული რაიონი და გამოარკვია, თუ რა სახის დახმარებას უფრო საჭიროებენ დაზარალებულნი, რომ საამისოდ შესაფერი ზომები მიიღოს ს. მ. უ. ს. საბჭოსთან დაარსებულმა დამხმარე კომისიამ.

ამხ. ბ. ჭიჭინაძის გადმოცემით, მთელ იმ რაიონში, სადაც ხანძარი იყო, არ გადარჩენილა არც ერთი შენობა და მომავალში აღმშენებლობის დასაწყებათ საჭირო იქნება მთელი რაიონის გაწმენდა ნანგრევებისაგან. გადამწვარ რაიონში აქა-იქ კიდევ არის დარჩენილი სახლის კედლები, მაგრამ ძლიერ ცეცხლს იმდენად განადგურებლათ უმოქმედნია, რომ თითქმის არც ერთი პროცენტი სააღმშენებლო მასალისა ახალი აღმშენებლობისათვის აღარ გამოდგება: აგურები დაფშვნილია, კედლის ქვები დამსკდარია. უახლოეს დროში წვიმებისა და ქარის გამო გადარჩენილი კედლები ნგრევას დაიწყებს, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს მცხოვრებთათვის და ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ ეხლავე დაიწყება დარჩენილი კედლების დანგრევა.

მომავალში ახალი სახლების აგების დასაწყებათ, ამხ. ბ. ჭიჭინაძის აზრით, საჭიროა ქუთაისში გაგზავნილ იქნეს სპეციალური ტეხნიკური კომისია, რომელშიაც შევლენ: საქართველოს და ა.-კ. სატრესტო-სააღმშენებლო კომიტეტების წარმომადგენლები, საქ. ტეხნიკური საზ-ბის, ახალშენებათა სამმართველოს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა სპეციალისტები. კომისიამ უნდა მოახდინოს ხანძრისაგან განადგურებული რაიონის ხელ-ახალი დაგეგმვა და გამოიმუშაოს ახლად ასაგებ სახლების საერთო ტიპი. ს. მ. უ. საბჭოსთან არსებული კომისია კი საჭიროების დროს, იკისრებს შენობების პროექტების შედგენას და საერთო ხელმძღვანელობას აღმშენებლობაზე. გარდა ამისა, კომისია მიიღებს ზომებს, რომ ტრესტებმა საკუთარი საშუალებებიდან გადასდონ თანხები დაზარალებულთა დასახმარებლათ.

მთავრობის კომისიისაგან

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად მთავრობის მიერ დაარსებული კომისია ამით აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული მიზნისათვის გაღებული ყოველგვარი შემოწირულება (როგორც ფულადი ისე სხვა) მიიღება საქართველოს სახკომსაბჭოს საფინანსო განყოფილებაში ამხ. სულიკაშვილის მიერ.

ყველა ორგანიზაციებს, როგორც ტფილისში, ისე მაზრებში, ევალებათ ყოველგვარი შემოწირულება გადმოგზავნონ უშუალოთ ზემოხსენებულ მისამართით.

წითელი ჯვრის დახმარება

გუშინ ქუთაისიდან დაბრუნდა საქ. წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფანცხავა, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს, ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობისათვის სახურსათო და საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ, შემდეგი აცნობა:

ჩვენს ჩასვლამდე, ქუთაისის წითელმა ჯვარმა, ჯანმრთელობის განყოფილების მთელი საექიმო პერსონალის და წითელი ჯვრის პირველ დახმარების წრეების მობილიზაციით თავზე აიღო ცეცხლისაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის საექიმო და სახურსათო დახმარების აღმოჩენა. ხანძრის ღამეს წითელმა ჯვარმა საექიმო დახმარება გაუწია 800-ს კაცს.

შაბათს დილით (12 მაისს) თბილისიდან ქუთაისში ჩავიდა წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის რაზმი სურსათ ხანოვაგით (?) და საქარო მედიკამენტებით. რაზმი ხანწრაგვილოდ (?) შეუდგა სასურსათო და საექიმო დახმარების გასაფართოებლად კარვების მოწყობას. ხულ მოეწყო ხამი კარავი, პირველში მოთავსდა საექიმო პუნქტი მეორეში—სასადილო და მესამეში—სამზარეულო. საექიმო კარავში, ამბულატორიული დახმარება ეძლეოდა 120—140 კაცს დღეში. წითელი ჯვარი დაზარალებულებს დახმარებას უწევდა სახლშიაც. ამ მიზნით სპეციალურად გვყავდა გამოყოფილი საექიმო პერსონალი. დაზარალებულებს უფასოდ ეძლეოდა წამლები ყველა აფთიაქებიდან, წითელი ჯვრის ცაცს ხარჯზე.

12 მაისიდან მოეწყო დაზარალებულთა კვების საქმე. საერთოდ ხაშმილი და საექიმო დახმარება დღეში ეძლეოდა 1650 კაცს.

ამჟამად ქუთაისში არ მოიპოვება არც ერთი უბინაოთ დარჩენილი ხანძრისაგან დაზარალებული. ქუთაისის აღმასკომმა შესძლო ყველას უბინაოთ დარჩენილ დაზარალებულთა დაბინავება.

წითელი ჯვრის საექიმო დახმარების და საკვები პუნქტები კვლავ განაგრძობენ მუშაობას.

დახმარების ორგანიზაცია

(წერილი ქუთაისიდან)

უძინარი სახეები, თმააბურძგნილი ხალხი, თითქოს ფეხის დაძვრა ეზარებოდესო, ზანტად მიდის ქალაქის ბაღში აქა-იქ გაფანტულ მაგიდებთან. მაგიდები კომისიის წევრთ ეკუთვნის, რომელთაც აღრიცხვაზე აჰყავთ დაზარალებულთა ოჯახის შემადგენლობა და ზარალის რაოდენობა.

— აბა, მოყევი—რა დაგეწვა?—ეკითხება კომისიის წევრი ქალარამბერთულ (?), დაკონკილ ტანსაცმელში მყოფ ებრაელს.

— ყველაფერი დამეწვა. აღარაფერი გამომსწრია,—ნაღვლიანად უპასუხებს მოხუცი კომისიის წევრებს.

— მოიგონე ეგ ყველაფერი რას შეადგენდა? მაგალითად, კრაოტები იყო? ოქრო-ვერცხლი, ან ძვირფასი თვლები?

—ოქრო ვერცხლისა და ძვირფას თვლებს ჩემს ქოხში რა უნდოდა შენი ჭირიმე, ბამბუკის კრაოტი კი მქონდა და დამეწვა.

ამ კითხვა-პასუხის დროს აქვს ადგილი მრავალ კურიოზებსაც, მაგრამ სამაგიეროთ ეხლა ვის სცალია? გადავდივარ დაზარალებულთა ერთ ჯგუფთან. ვეკითხები:

ხელისუფლების დახმარება და ბრძოლა ხანძართან იყო თუ არა თავგანწირული?

და ამ კითხვაზე ბევრს ამ ჯგუფიდან მიმქრალი თვალები გაუბრწყინდებათ, დამუნჯებული ენა სწრაფად მეტყველებს და ეპიზოდს ეპიზოდი ხდევს კერძო პირთა თავგანწირვისა, რომელიც გმირობას უდრის. აი, თუნდა საუწყებო მილიციის უფროსი ამხ. დარასელია. მის შესახებ გავრცელდა გუშინ ხმები „წითელი არმიელი დაიწვაო", მაგრამ საქმე კი სულ სხვაგვარად ყოფილა.

სახლს შველის დარასელია. ანგრევს კარებს, ფანჯრებს, ხის ნაწილებს, ადის მეორე სართულის სახურავზე და აქ ამჩნევს იგი, რომ ცეცხლის ენებით გარშემორტყმულია.

— დავიღუპე!—იძახის იგი და თითქოს გამოსავალი ვერ უპოვნია. მართლაც და რა გამოსავალია—ცეცხლიდან ძირს გახურებულ ქვაფენილზე დახტომა? ეხეც ხომ უეჭველი სიკვდილია? მაგრამ ამ დროს საიდანღაც გაჩნდება რამდენიმე წითელ არმიელი, ხელიხელს გადააჯვარედინებენ და სახურავიდან გადმომხტარ დარასელიას ისე იჭერენ. მაგრამ არ სცხრება ამხ. დარასელია. აგერ ცეცხლმოკიდებული სახლიდან ისმის ქალის კივილი. შველას ითხოვს.

ქვეკ (?), ქუჩაზე დაგდებულ საბანს წყალში ამოავლებს დარასელია, წამოიხურავს და შერბის სახლში დედაკაცის საშველათ. გამოჰყავს იგი, მაგრამ დედაკაცი კიდევ უფრო საზარლად კივის:—ბავშვი, ბავშვს უშველეთ, მეწვის!

კვლავ შებრუნდება ამხ. დარასელია, ბავშვს შველის, მაგრამ კარებთან უკვე მას თვით დაეცემა თავზე გავარვარებული ჭერი და იქვე კარებთან ჩაიკეცება.

რომ წითელ არმიელები არ მიშველებოდნენ, დარასელია ცეცხლის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო.

გრძნობა დაკარგული მიჰყავთ ის საავადმყოფოში, მისი გადარჩენის იმედი არავისა აქვს, ყველა იძახის—აღარ ჩაუვარდა პირში,—მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, თუმც ცეცხლისგან საკმაოდ დახახიჩრებული, მაგრამ იგი გონს მოდის და სასიკვდილოდ არაფერი სჭირს.

და თავგანწირვის რამდენი ასეთი მაგალითები იყო იმ დღეს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ცალკე მოქალაქეებისაგან?..

— უკვე პურს არიგებენ! ამბობენ, საჭმელიც იქნებაო!—გადადის ცნობა დაზარალებულთა ერთი ჯგუფიდან მეორეზე.

კითხულობენ სად რიგდება საჭმელი, მიეშურებიან წითელი ჯვრის საკვებ პუნქტისაკენ.

ცხელი საჭმელი სადილათ! ბევრს უკვირს ეს ამბავი.

— ცხელ სადილს აწვდიან დაზარალებულთ!

მაგრამ ერთ კუთხეს აქაც აქვს ადგილი:

— საჭმლის ხორცეული ხიხამს (?) არ დაუკლავს!

მრავალი მოხუცი ებრაელი, ჯერ კიდევ სარწმუნოებრივი ფანატიზმითაა გაჟღენთილი, თუმცა ზანტათ და დაზარებით, მაგრამ მაინც ზურგს იბრუნებს სადილისგან, ხოლო ახალგაზრდები კიდეც ოხუნჯობენ;

— ხჭამეთ, არ გაწყენთ, სახამზე (?) უფრო ხუფთა ხელითაა დაკლული! რას იზამთ, წითელი ჯვარი ამ გარემოებასაც ანგარიშს უწევს და მოხუც, მორწმუნე ებრაელებისათვის მოაქვთ კვერცხი და ყველი.

ზ. რიონიძე.

დახმარება ქუთაისს

გამოხმაურება

გადასდვენ 1 დღის ხელფასი

15 მაისს შესდგა ს. მ. უ. ს. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც ერთხმად მიიღო წინადადება გადასდონ დაზარალებულთა დასახმარებლათ ერთი დღის ხელფასი, რაც უდრის 650 მანეთს.

5.000 მ. ქუთაისს

გუშინ, 15 მაისს, საქ. წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტის სახელზე ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის, წითელი ჯვრის საკავშირო აღმასკომიდან მიღებულია 5000 მანეთი.

800 მანეთი

შესდგა თბილისის მთავარი ფოსტის კანტორის, რკინის გზის ფოსტის კანტორისა და ქალაქის ფოსტის განყოფილებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა დასახმარებლად გადასდონ ერთი დღის ხელფასი, რაც შეადგენს 800 მანეთს.

ამხ. კახიანის სახ. მუშფაკში

სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ამხ. კახიანის სახელობის მუშფაკის მსმენელთა და ლექტორთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდონ მასწავლებლებისა და მუშა-მოსამსახურეების ერთი დღის ხელფასი. ამასთანავე 500 სტიპენდიანტმა გაიღო თითო მანეთი თავისი სტიპენდიიდან.

მოწაფეებიც ეხმარებიან ქუთაისს

განათლების მუშაკთა სახლში შესდგა ყველა ტიპის სკოლების მოწაფეთა ორგანიზაციების თავმჯდომარეებისა და ახ. ლ. კ. კ. უჯრედების მდივნების გაერთიანებული კრება, რომელმაც დაადგინა ქუთაისის დახმარების ფონდის შესაქმნელად სასწავლებლებში გამართონ ფასიანი საღამო-წარმოდგენები, კინოები, ლატარიები და სხვ.

განათლების მუშაკთა შორის

განათლების მუშაკთა მე-4-ხე ადგილკომის საგანგებო სადელეგატო კრებამ დაადგინა გადასდონ თანამშრომელთა ერთი დღის ხელფასი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ერთი დღის ხელფასი

რკინის გზის მე-10-ე შრომის სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდო ერთი დღის ხელფასი.

ქუთაისის დასახმარებლად

ახალციხე, 15 მაისი. სამაზრო გლეხკომმა ქუთაისის დაზარალებულთა დასახმარებლად გაგზავნა 1 ვაგონი სააღმშენებლო მასალა. წითელი ჯვრის ადგილობრივი განყოფილება აწყობს ფულის შეგროვების საქმეს და აპირებს წარმოდგენის გამართვას დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ამხ. ს. სტეფანოვის გამოწვევით შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დიომიდე თოფურიძეს, ალექსანდრე ჯაფარიძეს ((სახ. ვაჭრობა), ლადო ცომაიას, ევგენი ბოკერიას, გრიშა მიქაშავიძეს, აკაკი სიგუას, მინა ბერიძეს, ვალიკო ჯავშ („აჭვაჭრობა"), ვახო ნაცვლიშვილს (ცეკავშირი), ე. ალშიბაიას.

ბიგლარ ფალავა.

—

შევაქვს ქუთაისის დაზარალებულთა ფონდში კოოპ. კურსების ლექტორთა და მსმენელთა შორის შეგროვებული წვლილი ოცდა ცამეტი მანეთი (33 მ.) და ვიწვევთ ხელმძღვანელთ და მსმენელებს: ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშფაკის, ფინსახკომთან არსებულ საფინანსო კურსების, ზინოვიევის სახ. ინსტიტუტის და სამრეწველო ტეხნიკუმისას.

საქ. კოოპ. კურსებთან შემდგარი დაზარალებულთათვის დახმარების აღმომჩენი კომისია.

—

შემოგვაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ხუთასი (500) მ. და ვიწვევთ: შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოებას, ხრ. საქ. შინა-მრეწველთა კოოპ. კავშირს და ქ. თბილისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობას.

ხრ. საქართველოს ინვალიდთა ნადების კოოპ. კავშირის გამგეობა.

—

შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ ზათომის (?) სამტრედიის, რიონის, ქუთაისის, შორაპნის, ხაშურის, გორის ავჭალის, ქსნის და თბილისის სადგურის ბუფეტების მოიჯარადრეებს.

ვასილ ს. გეგეჭკორი.

—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ნიკოლო ბრეგვაძეს, ვლ. ავალიანს, ვლ. ჩხაიძეს, გ. ხახანტარიშვილს, მიშა ბიბინეიშვილს, ნიკ. ტყეშელაშვილს, გრ. გოგიტიშვილს, გ. ბაიდაშვილს, ოქრ. ეზიაშვილს, გ. გაგუას, ესტ. გაგუას, ქრ. ენუქიძეს, ვ. ამახოვიჩს, ზოც. ფარულავას, კალ კვიტაშვილს, ვანო ბუაძეს.

ნიკოლოზ ფ—ძე გუნია.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ: თინა მელიმონაძეს, ბიჭუნია და კუკური მელიმონაძეებს, ნათელა მასხურაძეს, ნათელა კაშიას, ნუნუ და ლილი შელიებს, ლილი მაღლაშვილს, ნიურა ნიკოლაევსკის, მაკინი და ბორის სიხარულიძეებს, თამარა მიხეილის ასულ პოტაპოვას, ივა დაინოსისძე კაპევს, ვალია სტენინს, ილა გოროხოვს, ივა ბოტიკოვს, დეზდემონა ლესელიძეს, ნინა და ბორია კოზირევს, ოთარი კოტიხძე ლესელიძეს, თინა ლომინაძეს, ოქტიაბრინა ბაქრაძეს.

ლამარა მოსეს ასული ქერქაძე.

—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს (1) ერთი მანეთი და ვიწვევ: გივი კანდელაკს, საშა კოდუას, მარგო კეპულაძეს, თამარი ფირცხალავას, ბეჟიკო კეპულაძეს, სერგო კირილესძე სულავას:

რკინის გზის მეექვსე შრომის სკოლის მე-4 ჯგუფის მოწაფე ჟორა კოდუა

—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ჩემს ამხანაგებს: ლილი აბაშიძეს, ნანა დავითაშვილს, ქეთათო მეტრეველს, მზია ჯულელს, გიზო ყიფიანს, და გივი მჭედლიძეს.

თინიკო ლამბაშიძე.

—

მეორე ქართული მსროლელი დივიზიის, საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოს, სამხედრო პროკურატურისა და ტრიბუნალის თანამშრომლებმა შემოაქვთ 194 მან. და 50 კაპ. და იწვევენ სომხეთისა და აზერბეიჯანის ტერიტორიალურ სამმართველოებს, თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილებს და საქართველოს ყველა სამაზრო კომისარიატებს.

დავალებით: მეორე ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი მამალაძე.

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 20 მანეთი.

მ. კახიანი.

—:—

შემომაქვს ქ. ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გერმანე მგალობლიშვილს, ლევან კაციას ძე გამყრელიძეს, ლავრენტი ბერიას, ეპიფანე კვანტალიანს, გიორგი ყურულაშვილს, ალ. ჟუჟიკაშვილს, აიკომ კოსტანიანს და საპ. ტერ-გაბრიელიანს.

ლ. ღოღობერიძე.

—

განათლების მუშაკთა კავშირის № 22 ადგილკომში შემავალი: პროფ. პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიური, სამიწადმომწყობო და საფეიქრო ტეხნიკუმის თანამშრომლები იღებენ (ერთდროულად) ერთი დღის ხელფასს 188 მან. 58 კაპ. რაოდენობით—ქუთაისში, ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ამავე მიზნით იწვევენ ქ. თბილისის და პროვინციის ყველა ტეხნიკუმების თანამშრომლებს.

ტეხნიკუმის გამგე: ალ. მდივანი.

—

14 მაისს მუშაობის დასრულების შემდეგ შესდგა ს. მ. უ. ს. ახალშენებათა სამმართველოს თანამშრომელთა საერთო საგანგებო კრება. დღის წესრიგში იდგა ქ. ქუთაისში ცეცხლით დაზარალებულთა დახმარების საკითხი. სამმართველოს თანამშრომლებმა ერთხმად დაადგინეს ერთი დღის ხელფასის—370 მან. და 12 კაპ.—გადაცემა დაზარალებულთათვის. თანამშრომლების კრება იწვევს საქართველოს ახალშენებათა ადგილობრივ სამუშაოთა მწარმოებელთა კანტორების, „სამშენი"-ს სამმართველოს და აზერბეიჯან-სომხეთის ახალშენებათა სამმართველოს თანამშრომლებს.

კრების თავმჯდომარე შ. თევდორაძე.

—

შემომაქვს ათი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხნაგებს: დ. თბილავას, მ. ნიორაძეს, ა. ქაჯაიას, პლატონ ქუთათელაძეს, რაჟდენ ცირეკიძეს (ქიათურიდან), შ. მარგალიტაძეს, 3 ჭურღულიას, ერმილე გორდელაძეს და ივ. ცომაიას.

პოლიევქტი ტყაბლაძე.

—

ამხ. ჯულიეტა ცირეკიძის გამოწვევის თანახმად შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ მხანაგებს: თინიკო დეიძეს, ემუსი ბახტაძეს (ახალსენაკიდან), რაისა ლიადკოვსკის (ქუთაისიდან), ლევი სიკინჭელაშვილს, ფუცქურა ჩხეიძეს და ლევ გაბუნიას.

ციალა პოლიევქტის ასული ტყაბლაძე.

—

ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი (3) მანეთი და ვიწვევ სახ. უნივერ. სტუდ. ალმახბიუროდან შემდეგ პირებს: სამსონ კიკაბიძეს, გიორგი ქერტაიას, აპრონი გაბიძაშვილს, სოლომონ სამორაძეს. ნანა ანთაძეს, გრიშა ჯანელიძეს; გრიშა ქელიძეს, ნიკო მოდებაძეს, სისო ფანცხავას, სერაფიონ ფალავას, ვალია გიორგაძეს, და კაპიტო მუშკუდიანს.

სტუდ. მიშა პირველი.

—

ქუთაისში ხანძრისგან დაზარალებულთათვის შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ: ერასტი ჭოლოკავას, აკაკი გვახარიას, გედეონ ჩხობაძეს, პარმენ ჩიქოვანს, ბაგრატ ხონელიძეს, მიშა თაბუკაშვილს, მელიტონ თევდორაძეს, მიშა თევზაძეს, ალექსანდრე ულენტს; გრიგოლ დევდარიანს, ჟორა ალახვერდოვს, არამ მანუკოვს, გალია ნავთიკოვას ასულს, გაბრიელ მუზოვს, ეკატერინე ყიფიანს.

მიხეილ გ. ნაკაშიძე.

—:—

ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: დიანა კვირიკაძის ასულს, საშა ჭოლოკავას, კუკური ხონელიძეს, ხოლიკო ჩხობაძეს, ცოტნე რუხაძეს, ლალიკო ნანეიშვილს, ტუკი იაკობაშვილს, გივი ბერიძეს, ცაცუკო მჭედლიშვილს.

ორი წლის სერგო მელიტონის ძე თევდორაძე.

—

ჩვენ, აღმასკომის 1-ლ საბჭოთა სასტუმროს „პალას"-ის მუშა-მოსამსახურენი (34 კაცი) ვწირავთ ქ. ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ერთი დღის სამუშაო ხელფასს—სამოცდარვა მანეთს და 89 კაპ. (68 მ. 89 კ.) და ვიწვევთ აღმასკომის სასტუმროებს „ორიანტს" და „ევროპას", „ორიანტთან" არსებულ მუშკოოპის სასადილოს, სადგურთან არსებულ „წითელ სასადილო № 3"-ს და აღმასკომის აბანოების მუშა-მოსამსახურეებს.

დავალებით — ადგილკომის მდივანი:
ხუთიძე.

—

შემომაქვს ორი (2) მანეთი „ქუთაისის ფონდში" და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს კბილის ტეხნიკუმიდან: გრიგოლ ნიშნიანიძეს, კონსტ. ბუცოვს, ვიქტორ ბაქრაძეს, თომა ბერეკაშვილს; კბილის ტეხნიკოსთა კურსების მეორე კურსის მსმენელებიდან: გ. ახმეტელს, დ. ჭარხალაშვილს, ალ. ბოჭორიშვილს, დავით ბოჭორიშვილს, გ. ჩიხლაძეს, ნინა გახოკიაშვილს, ნადეჟდა მუზაშვილს, ალ. ქიტიაშვილს, პ. მეძველიას, გრიშა მარდალეიშვილს.

სოლომონ ბუხაიძე.

—

ქუთაისში ხანძრიდან დაზარალებულ ბავშვების სასარგებლოთ შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: გუგული და კუკური დემურიშვილებს, შოთა და სერგო ლეჟავებს, თამარა ყიფიანს, შოთიკო თხილავას, ეთერი და ოთარი ღლონტებს, ოთარი ანანიაშვილს, ვადიდ სულიკაშვილს, მზიალა ნებიერიძეს, გულნარა სინაურიძეს, ოლიკო წერეთელს, აშოთ ავეტიკოვს, ნინა დემურაშვილს, ნატაშა ფალავანდაშვილს, ტოსია მიხაილიდის, ვალია ტეხოვას და ნათელა მაჭარაშვილს.

აჩიკო ზაქრაძე.

ქუთაისში დაზარალებულთადასახმარებლად გუშინ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 1.395 მ. 09 კ.; სულ წინად შემოსულთან ერთად—8.301 მან. 85 კ.

საბჭ

მნიშვნელოვანი

საქართველოში საბჭოთ
დამყარების პირველი დღ
ბული ყურადღება მიექცა
ფითარების საქმეს. თანამედ
რომ ხელისუფლების უხვმა
კოოპერაციისათვის მიეღ
მნიშვნელობის გამო, სამომხმარებლო
ის განვითარება სწრაფი
დღეს საქართველოში
ისეთ სოფელს, სადაც
პერაციას არ ქონდეს თავისი
კოოპერაციის განვითარ
კვეცა კერძო ვაჭრებს
დათანხმობით იძულებული
სამომხმარებლო ასპარეზი
მშრომელთა ფართო მასებ
კოოპერაციის მნიშვნელო
კეთილდღეობისათვის და
არის, რომ გლეხობა დიდ
კოოპერაციას და ცდილობს
გაჯანსაღებას.
სამომხმარებლო კოოპე
რის განვითარებას დღემდე
კუთარი თანხების სიმცირე
უმთავრესად ვაჭრობას აწა
თანხებით, მაგრამ ქვეყნის
ციის დღის წესრიგში დაისვა
მეურნეობის განვითარების
კომის აუცილებლობამ, რ
სხებით ესაჭიროება, „კოოპე
ყენა ამოცანა საკუთარი
შესახებ, ეს კი შესაძლებე
შემთხვევაში, თუ ერთი მხ
კოოპერატივების წევრთა
რე მხრივ გავადიდებთ სა
ამის გამო სათანადო ორ
მოიტანეს დადგენილება
კოოპერატივებში საპაიო
დე გადიდების შესახებ. ამ
წევრთა შორის სწარმოებ
თიანი პაის შესაკრებად
ბები, რომ ამ კამპანიამ
გამოიღო.
პაის გადიდების დროს
ლებული აგრეთვე
ტერესებიც. ასინი კოოპე
წევრებით გლეხკომების
რეთვე კოოპერატივების მეყვა-
ნის საშუალებებდან. ასეთ აფ-
თიანება სამომხმარებლო კოოპ-
რატიველთ ყოფილა.

ათმანეთიანი პაის სრულად შეკრება [illegible] რეთვე კოოპერატივებში წევრთა რიცხვის გაზრდილება სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებას მისცემს უფრო უკეთ დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებანი და საბოლოოდ აღმოფხვრას ჩარჩ-ვაჭრების თარეში.

სოფლად მომუშავე ორგანოების მოვალეობაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოოპერატივების საპაიო კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

ს—ლი.

—:—

შეერთებული ძალით უნდა ავაგოთ

მუხურის თემი, ზუგდიდის მაზრა

მუხურის თემს ჩრდილოეთით ეკვრის მთები, რომელიც მდიდარია სხვადასხვა ჯიშის ხეებით. ეს ხეები გამოაქვთ მდინარე ხობისწყლის საშუალებით და იყენებენ შენობების ასაგებად. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხეების დამუშავება ხდება პრიმიტიული წესით. მაგალითად, ორ მუშას შეუძლია მთელი დღის განმავლობაში 5—6 ფიცრის გახერხვა, რაც დიდი შრომისა და ენერგიის დახარჯვას იწვევს.

მაგრამ თემს, ყურადღების გარეშე არ დარჩენია ის გარემოება, რომ მათ მდ. ხობისწყალზე აეგოთ ხის სახერხი პატარა ქარხანა. ამის შესახებ წელს რამოდენიმე მიმართვა გაიგზავნა, თემსაბჭოს მიერ მაზრის სათანადო ორგანოებში, მაგრამ ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

მიმდინარე წლის თემსაბჭოს მუშაობის ანგარიშების ჩაბარების დროს, გლეხობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „საბჭომ ვერ გამოიჩინა შესაფერი აქტივობა სახერხი ქარხნის აგების საქმეში"-ო. ახალ მითითებებში პირველი ადგილი ამავე საკითხმა დაიკავა. ასე, რომ შექმნილი პირობების გამო მიმდ. ზაფხულის განმავლობაში საჭიროა ამ საქმის საფუძველი ჩაეყაროს. გლეხობა დარწმუნებულია, რომ სამაზრო ორგანოების დახმარებით ისინი ამ საქმეს წარმატებით დააგვირგვინებენ.

ბ. ხაბალერი.

საქართველო

ილქბი

მივხედოთ საგარეჯოს თეატრს

(წერილი საგარეჯოდან)

საქართველოს სოფლის სინამდვილეში იშვიათია ისეთი თეატრი, რომელსაც რამოდენიმე ათეული წლის ისტორია ახასიათებდეს. თუ თეატრი ერთ-ერთი მძლავრთაგანია სახალხო კულტურის, თუ მას საერთოდ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მშრომელი მასებისათვის, სწორედ ამიტომ სოფ. საგარეჯოს სახ. თეატრის 52 წლის არსებობის ისტორია არის იმავე დროს საგარეჯოს კულტურულ და საზოგადოებრივობის ისტორია.

საგარეჯოს სახ. თეატრმა თავის არსებობის მანძილზე უდიდესი როლი ითამაშა ადგ. მოსახლეობის დაწინაურების საქმეში. ძველ ჟანდარმულ წესწყობილების დროს, საგარეჯოს სახ. თეატრში რეპეტიციებზე სიარული ერთ-ერთი საშუალება იყო არალეგალური კრებების ჩასატარებლად. ამგვარად საგარეჯოს თეატრმა პირნათლად შეასრულა თავისი მისია ად. მშრომელი გლეხების და ინტელიგენციის წინაშე.

სამწუხაროდ, დღეს ასეთი ნამსახური თეატრი, რომელიც თავის დარბაზში იტევს 400-მდე მაყურებელს, არა სასურველ მდგომარეობაშია. ადგილობრივი თემის ფინანსიური ხელმოკლეობა თანდათან ხელს უწყობს თეატრის შენობის დანგრევას. ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მისი ხარჯთაღრიცხვის სათემო ბიუჯეტში შეტანა და შეიძლება ითქვას, რომ ის ამ მხრივ „ღვთის" ანაბარად არის მიტოვებული. ჭერი და კედლები თანდათან ზიანდება, სცენის და თეატრის მოწყობილობა ძველდება და იმტვრევა, ეზო იძარცვება. გარდა ამისა თეატრს სჭირდება კარგი და გამოცდილი რეჟისორი, შერჩეული რეპერტუარი, რადგან ძველი და დახავსებული პიესები მაყურებელს უკვე მობეზრდა.

საგარეჯოს თეატრისათვის უნდა გამოინახოს მუდმივი საარსებო წყარო, უნდა დავიცვათ მისი კედლები დანგრევისაგან, უნდა მივცეთ კარგი და გამოცდილი რეჟისორი და შევქმნათ მუდმივი დასი. საჭიროა ახალი სულის შეტანა თეატრში, ახალი ყოფის განსახიერება.

ჩვენი მოვალეობაა ხელი შევუწყოთ საგარეჯოს თეატრს. მივცეთ მას აღორძინების გზა. თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა ამ გარემოებას დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება.

ალ. ბედიაშვილი.

—:—

ოა წერილებიდან

ითი

ამას წინად [illegible] მაზრა
მცხოვრებთა კრება, რომელმა
დასწყვიტა აგოს სკოლის შენ
რომლის აგება უნდა დასრულდეს
მისათვის. კრებამ აირჩია სკოლის
ნებლო კომისია ამ საქმის სახელმძღვანელ

გ. ქოჟაშვილ

ნათლიმამობა დაუშვებელია

გორდის თემი, ქუთაისის მაზრა

გორდის თემში თურქულ (?) ტყისმცველად მსახურებდა ვინმე ჩიქოვანი, რომელმაც შემდეგ გორდის თემის შვიდწლედის გამგეობაც მიიღო, ეს არაფერი, მაგრამ მან მასწავლებლის თავისუფალ ადგილზე მოიწვია არა ჩვენი მაზრიდან უმუშევარი მასწავლებელი, არამედ მისი ნიძაშვილი ჩიქოვანის ქალი. საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ მისცა ჩიქოვანს ამის უფლება?

მოუსვენარი.

ალარ ვუჭმოვთ

ხოფ. ტბა, გორის მაზრა

ადგილობრივმა შეგნებულმა გლეხობამ ნათლად გაითვალისწინა საქ. დღეობების გადახდის დამღუპველობა მშრომელი ხალხისათვის და ერთხმად გამოიტანა დადგენილება „მაცხოვრობის" უარყოფის შესახებ, რომელიც მოდის 17 მაისს.

გლეხის ერთგული.

სხვებმაც უნდა მიბაძონ

დ. აბაშა, სენაკის მაზრა

აბაშის კლუბის მდგომარეობა წინანდელთან შედარებით თანდათან უმჯობესდება. მიუხედავად ამისა კლუბს კიდევ ესაჭიროება დახმარება მისი მუშაობის საბოლოო გაჯანსაღებისათვის, ამიტომ მისაბაძი მაგალითია აბაშის „ეპოს" თავმჯდომარის ამხ. ბესარიონ ჯავახიას მოქმედება, რომელმაც კლუბის დასახმარებლად აღმასკომში შეიტანა 50 მანეთი. სასურველია სხვა ამხანაგებმაც მიბაძონ მის მაგალითს.

ალ-ვა.

საქ. სახკომსაბჭოში

აფხაზეთისა და აჭარისტანის მონაწილეობა საიმპორტო რესპუბლიკანურ კონტინგენტში

აფხაზეთისა და აჭარისტანისათვის საიმპორტო-სამომხმარებლო საქონლის უფრო სწორი მიწოდების მიზნით და საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო საიმპორტო-სამომხმარებლო საქონლის რესპუბლიკანური კონტინგენტის განაწილება თვითეულ ცალკე შემთხვევაში სწარმოებდეს ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის საქართველოს მიერ აფხაზეთისა და აჭარისტანის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

სოფლის სოციალური ფენების შემსწავლელი კომისია

სოფლის სოციალურ ფენებად დაყოფის საკითხის შესასწავლად სახკომსაბჭომ გამოჰყო კომისია ამხ. ა. რუხაძის თავმჯდომარეობით და ამხ. მაჭავარიანის, მამულიას, გიორგაძის, ჩოგოგიძის, ჩხეიძის, მანჯგალაძის, რასულზადეს, კვირიკაძის, ვლ. ცაგარელის, ძამანაშვილის, კალატოზოვის, სიხარულიძის და ლომთათიძის შემადგენლობით.

ქინვან-მალაროსკარი-ორიწყალი-შუაფხოს გზა

ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ქინვან-მალაროსკარი-ორიწყალი-შუაფხოს (უკანა ფშავი) გზის აგების ხარჯთაღრიცხვა, სახკომსაბჭომ დაამტკიცა 25.000 მან. რაოდენობით. ამასთანავე წინადადება მიეცა ხსენებულ სამმართველოს დაუყოვნებლივ შეუდგეს აღნიშნულ გზის გაყვანას.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის მოხსენება 1926—27 წელში ჩატარებულ უმუშევრობასთან ბრძოლის შედეგების შესახებ.

ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებების გეგმები 1927—28 სამეურნეო წლისათვის.

ეს გეგმები შრომის სახალხო კომისარიატებმა წინასწარ უნდა შეუთანხმონ მეგეგმავ, სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციებს და შეუფარდონ სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმებს.

ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმები დამტკიცებული უნდა იქნეს ა. კ. სახ. საგეგმო კომისიის მიერ, რის შემდეგაც ეს გეგმები არა ანეს 15 ივნისისა უნდა წარედგინოს გან ველად ა. კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს.

ბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს წინადადება მისცენ ადგილობრივ ალ მომავალი წლის ბიუჯეტის შედ [illegible] გაითვალისწინონ თანხები, რომე [illegible] ბულთათვის შრომითი დახ [illegible] ა. კ. [illegible] ნაწილთა [illegible] კომისარიატს და ა. კ. ფი [illegible] გზება რესპუბლიკებს მიეცათ თვალ [illegible] სწორად იხარ [illegible] დადებულია [illegible] რომელიც გა ლად. [illegible] ბრძოლვე

რიონჰესის ს

15 მაისს, ს. მ. უ. ს. თ
ამხ. ბ. ჭიჭინაძის ქუთაი
გამო რიონჰესის სამუშაო
თველოში შესდგა სპეციალ
ბირი რიონის ჰიდრო - ელსადგურის
სააღმშენებლო სამუშაოთა მიმდინა
რეობის შესახებ.

თათბირზე გადაწყვეტილ იქნა ახლო ხანში შეუდგენ ორ ძირითად ნაგებობათა ასაგებ სამუშაოებს. დაწყებულ იქნება მთავარი საგუბარის აგება მდ. რიონის მარჯვენა ნაპირიდან და შეუდგებიან მთავარი გვირაბის გაყვანას. გვირაბის გასაყვანი სამუშაოები დაიწყება საგვირაბე მთის ორივე მხრიდან — საფირჩხიიდან და კიბულიდან.

გვირაბის გაყვანას უხელმძღვანელებს სპეციალისტი ინჟინერი დ. ჯორჯაძე.

მუშათა ცხოვრება

კულტურული მუშაობა

(პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა)

პროფესიონალური კავშირები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მუშა-მოსამსახურეთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებას. გარდა იმისა, რომ პროფკავშირებს აქვთ საკუთარი კლუბები, სადაც კავშირისა და კლუბის წევრთა შორის გაჩაღებულია ფართო კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, პარალელურად წარმოება-დაწესებულებებთანაც სწარმოებს კულტმუშაობა ადგილკომების და მასთან ჩამოყალიბებულ კულტკომისიების ხელმძღვანელობით თითქმის ყველა დიდ წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს კულტმუშაობის საწარმოებლად აქვთ სათანადო ბინები.

დღემდე პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბის მუშა-მოსამსახურენი და აგრეთვე ამავე შენობაში მოთავსებული გაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს რედაქციების თანამშრომლენი სათანადო ბინის უქონლობის გამო მოკლებულნი იყვნენ კულტმუშაობის წარმოების საშუალებას, მაგრამ დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია. ამას წინედ ადგილკომს სტამბის ადმინისტრაციამ დაუთმო დიდი დარბაზი, რომელიც იტევს ორასზე მეტ კაცს. ადგილკომმა მაშინ მოაწყო სცენა და გადასწყვიტა ამიერიდან შეუდგეს ფართე კულტმუშაობას.

კვირას, 13 მაისს მოხდა კლუბის საზეიმო გახსნა და ამის გამო გაიმართა საოჯახო საღამო. საღამოს დიდძალი მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები დაესწრენ. ადგილკომის მდივანმა ამხ. გ. ღლონტმა დამსწრეთ მიმართა მოკლე სიტყვით, და აღნიშნა ის დაბრკოლებანი, რომელიც აფერხებდა დღემდის ადგილობრივ კულტურულ მუშაობას. შემდეგ დაიდგა ორი თითო მოქმედებიანი პიესა ადგილობრივი ძალების საშუალებით, ხოლო მესამე მოქმედებაში გაიმართა საკონცერტო განყოფილება. უკრავდა სტამბის მუშების მიერ შედგენილი სიმებიანი ორკესტრის გუნდი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ პიესის მოქმედი პირები, მიუხედავად მათი გამოუცდელობისა, შესაფერისად ასრულებდნენ ნაკისრ როლებს, რაც იმის თავდებია, რომ თუ სათანადო ხელმძღვანელობა იქნება ადგილკომისა და კულტკომისიის მიერ, შესაძლებელია ასეთი საოჯახო საღამოების ხშირად გამართვა.

პირველი დაბრკოლება მეხუთე სტამბაში კულტურული მუშაობის საწარმოებლად უკვე გადალახულია. ეხლა საჭიროა ადგილკომმა მიიღოს ზომები კლუბის უკეთ მოსაწყობად და დრამწრის ჩამოსაყალიბებლად. საჭიროა ადგილკომს დავეხმაროთ ამ მუშაობაში.

დამსწრე.

—:—

უთავბოლო მუშაობა

პლეხანოვის კლუბის ეზოში დაიწყეს სასპორტო ოთახების აგება; გათხარეს საძირკველი, ამოიყვანეს სამი არშინის სიმაღლეზე ქვიტკირის კედლები და მიიღებს თავი. რამოდენიმე ხნის შემდეგ გამხმარი ქვიტკირის კედლები, დაანგრიეს, რადგან გამოირკვა, რომ საჭირო ყოფილა საძირკვლის სიგანის ერთი მეტრით გადიდება. ამგვარად პირველად ჩაყრილ საძირკველში დახარჯული რამოდენიმე ათასი მანეთი უნაყოფოდ გადაიყარა. აქვე აშენდა 1927 წ. „ზაკტპ"-სთვის პატარა ფარდული, რაზედაც საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა. შენობის შენების დამთავრების შემდეგ, დაანგრიეს შენობის თავზე მორთულობა და გადააკეთეს სხვანაირად. ამაშიც საკმაოდ დიდი ზარალი ნახა რკ. გზამ. მაგრამ ეს არაფერი. შენობას სახურავი ცემენტის გაუკეთეს. ამან გამოიწვია შენობის ძალზე დანესტიანება და შენობის დაზიანება. დღეს ეს ცემენტის სახურავი აანგრიეს და დახურეს თუნუქით, ასე „ხელმომჭირნეთ" ხარჯავს ფულებს პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა გამოარკვიოს ვისი დაუდევრობით დაიხარჯა ფული უნაყოფოდ და ვინ მიაყენა რკ. გზას ზარალი.

წითელი ნიღაბი.

ოთხი გმირი

(მთავარი სახელოსნო)

სადურგლო-საამქროს ზეინკალი, მოქ. დამბირავა, დიდი ხანია საზეინკლოს არაფერს აკეთებს საამქროში. ის მხოლოდ დადის და ჭორიკანობს, რასაც მოსდევს მუშების ერთმანეთზე წაკიდება და ჩხუბი და აყალ-მაყალი. მუშები ხშირად დაზიანებულ იარაღით მუშაობენ. ზეინკალი დამბირავა კი მათ შესაკეთებლად თავს არ იტკიებს. თუ რომელიმე მუშამ გაბედა და მოსთხოვა მას იარაღის შეკეთება, ვაი იმის ბრალი. ლანძღვა-გინებითა და უშვერი სიტყვებით, ერთ ამბავს დაატეხს თავზე.

ასევე იქცევა ქ. ეიდრიხინიც—იგი კარგი ხელოსანია, მაგრამ უყვარს სხვისი ნამუშევარ ფულების ჩახჩრიალება და მუქთად ჭამა. ხელოსნების ჯგუფებად დაყოფის შემდეგ, ეიდრიხინთან არავინ მივიდა. ამიტომ იგი თითონ მივიდა მუშებთან და თავის-თავი მექანიკურ დაზგებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელად გამოაცხადა. ამაზე არაფერს იტყოდა კაცი, რომ ეიდრიხინი პირნათლად ასრულებდეს თავის მოვალეობას და აკეთებდეს რამეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თვეში 180 მანეთს ტყვილა უბრალოდ იჩხრიალებს ჯიბეში. ის კანტორაში უქმად ჯდომის მეტს არაფერს აკეთებს. ვარგ და ენერგიული მუშებს კი ერიკებოდა ბრიგადიდან როგორც უვარგისებს.

ყოფილი საამქროს თანაშემწე, მედნიკოვიც დიდ უკმაყოფილებას ჰქმნიდა მუშებში. მას ისე შეაფასა საქმეები, რომ მუშები დიდ შრომას ხარჯავდნენ საქმის შესასრულებლად, მაგრამ განსხვავებას კი ვერ იღებდნენ შესაფერს. თავისი ბრიგადის საქმეები კი ისეა შეფასებული, რომ რაც უნდა სუსტად მუშაობდეს მუშა, ორ მანეთზე მეტი განსხვავება მაინც აქვს.

მუშების უფროსი ხაფავაც ცნობილია მუშებში, როგორც კარგი პროვოკატორი ის დადის მუშებში და ავრცელებს პროვოკაციას იმის შესახებ, რომ მუშები სულ ასე უბედურად იქნებიან და ვერავინ ვერ შესძლებს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამ ვაჟბატონების საქციელმა იქამდე მიაღწია, რომ მუშები იძულებული გახდნენ კოლექტიური განცხადება შეეტანათ სათანადო ორგანოში. განცხადების შეტანისთანავე დანიშნული იქნა კომისია სადურგლო საამქროს ამ ოთხი გმირის საქმიანობის გამოსაკვლევად. კომისიამ დაადასტურა მუშების განცხადებაში აღნიშნული ოთხი გმირის ბოროტმოქმედება და ყველა მათგანს მიუსაჯა სათანადო პროფესიონალური სახის სასჯელი. იმედია ეხლა მაინც გამოსწორდებიან ეს მუშები და შეუდგებიან თავიანთი მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

მიქელწმინდელი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

თავშესაფარი არა გვაქვს. საავტომობილო კურსებზე უმთავრესად პროვინციიდან ჩამოსული მშრომელი ახალგაზრდობა სწავლობს. მაგრამ მათ ნორმალურ მეცადინეობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ არცერთ მათგანს არა აქვს თავშესაფარი. ზოგი სადგურზე ათევს ღამეს და ზოგიც ქუჩაში. ნუ თუ არ შეიძლება მათი სადმე საერთო საცხოვრებელში მოთავსება?

მნახველი.

ხელფასს გვაკლებს. მთ. სახელოსნოს სამჭედლო საამქროს მოანგარიშე, მოქ. ს. ზუბაძე, ხშირად აკლებს მუშებს ხელფასს. 8 მაისს, ზუბაძეს აღმოაჩნდა, რომ, ერთ-ერთ მუშის სამუშაო ხარათზე წაუშლია ნაწერი და დაუწერია ახალი. ისე, რომ მუშას აკლდებოდა დაახლოებით 120 მანეთი. ასეთი ბოროტმოქმედება მოქ. ზუბაძეს წინათაც ჩაუდენია, მაგრამ პასუხი არავის მოუთხოვია.

იქაური.

შრომის ინსპექტორო მოგვხედე. ქალაქის პირველ საავადმყოფოს მკერავმა ქალებმა, ამას წინად შეასრულეს ადმინისტრაციის დავალება და ჩააბარეს. რამოდენიმე დღის შემდეგ შესრულებული საქმე ადმინისტრაციამ უკან დაუბრუნა მუშებს და მოსთხოვა მისი გადაკეთება. მუშა-ქალებმა ერთი დღე მოანდომეს ამ საქმეს, მაგრამ ადმინისტრაცია არ აძლევს მუშებს ამ ერთი დღის ნამუშევარს. შრომის ინსპექტორი უნდა ჩაერიოს ამ საქმეში.

თვალი.

ჩვენი კონკურსის შედეგები

როგორც მკითხველებს ემახსოვრებათ, ჩვენ გამოვაცხადეთ კონკურსი საუკეთესო კორესპონდენციებისათვის საბჭოთა სექციების კონკურსთან დაკავშირებით. გამოცხადებული იყო ათი ჯილდო.

რედაქციის მიერ გამოყოფილმა კომისიამ განიხილა ყველა წერილები, რომლებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში და „კომუნისტი"-ს თბილისელ მუშკორთა და ამ კომისიის გაერთიანებულ კრებაზე ერთხმათ იქნა გადაწყვეტილი, რომ ჯილდო საუკეთესო კორესპონდეციებისათვის მიეხაჯოს შემდეგ კორესპონდენტებს:

1. ბ. უჩანეიშვილს (სენაკი) პირველი ჯილდო. ლენინის თხზულებები 5 წიგნი და 40 მანეთი.
2. ვანო პაატაშვილს (თელავი) მეორე ჯილდო. ფ. მახარაძის 7 წიგნი და 30 მან.
3. ნინო გვრიტიშვილს (დუშეთი) მესამე ჯილდო. ეგ. ნინოშვილის 2 წიგნი და 25 მანეთი.
4. მარგალიტა ზვიადაძეს (ზესტაფონი) მეოთხე ჯილდო 25 მანეთი.
5. ბ. ქლენტს (ლიუქსემბურგი, ბორჩალოს მაზრა) მეხუთე ჯილდო 20 მანეთი.
6. ილ. ჟვანიას (ფოთი) მეექვსე ჯილდო 15 მანეთი.
7. ალ. ბედიაშვილს (საგარეჯო) მეშვიდე ჯილდო 10 მან.
8. ვლასი გალდავას (ლანირ-ჭაგანი, ქუთაისის მაზრა) მერვე ჯილდო გაზ. „კომუნისტი" ექვსი თვით.
9. კ. ღვალაძეს (ჭიათურა) მეცხრე ჯილდო გაზ. „კომუნისტი" ოთხი თვით.
10. კირილე ახვლედიანს (ახალციხის მაზრა) მეათე ჯილდო „კომუნისტი" ორი თვით*).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რედაქციის მოწოდებას საბჭოთა საანგარიშო კამპანიაში მუშგლეხკორთა აქტიური მონაწილეობის შესახებ, ფართოდ გამოეხმაურა „კომუნისტი"-ს მუშკორები და გლეხკორესპონდენტები, რომელთა აქტივობამ რედაქციას საშუალება მისცა სათანადოთ გაეშუქებია საბჭოების და მათი სექციების მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

რედაქცია საანგარიშო კამპანიის განმავლობაში ყოველდღე ღებულობდა მრავალ კორესპონდენციებს, რომელთაგან ადგილის სიმცირის გამო ჩვენ შევძელით მხოლოდ მათი ერთი ნაწილის გამოქვეყნება. უეჭველია, მუშგლეხკორთა ასეთი განსაკუთრებული ყურადღება და დაინტერესება საბჭოებით და მათი სექციებით შესაფერ ნაყოფს მოგვცემს მომავლისათვის საბჭოების მუშაობის გაჯანსაღების საქმეში.

რედაქციის მიერ გამოყოფილი კომისიისა და „კომუნისტი"-ს თბილისელ მუშკორთა გაერთიანებულმა კრებამ ერთხმად გადასწყვიტა ზემოდ მოყვანილ დაჯილდოებულ ამხანაგებთან ერთად, აქვე აღნიშნოს ის კორესპონდენტები, რომლებიც განსაკუთრებით განირჩეოდნენ თავიანთი საქმიანი წერილებით: ი. ორაგველიძე, იღ. გარსევანიშვილი, ბ. ძაბილაშვილი, ეგნატე მენთეშაშვილი, ილ. ფალავა, ვანო ფარქოსაძე, ბენია ბერიძე და ქ. ინანიშვილი.

ამასთანავე რედაქცია მადლობას უცხადებს ყველა იმ მუშა და გლეხკორესპონდენტებს, რომლებიც შესაფერისად გამოეხმაურენ ჩვენს მოწოდებას.

„კომუნისტი"-ს რედაქცია.

---

*) (დაჯილდოებულ ამხანაგებს ვთხოვთ გადმოგვიგზავნონ თავიანთი სწორი მისამართი).

სააფთიაქო საქმის რეორგანიზაცია

სამაზრო აღმასკომებისათვის გადაცემულ აფთიაქების დაუყოვნებლივ მომარაგების მიზნით სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო, რათა [illegible] საქართველოს ფარმაციული [illegible] „სახელმწიფო [illegible]" მუშაობა, რომელიც [illegible] ცენტრალიზაცია [illegible] უნდა გადაეცეს [illegible] 1.500.000 [illegible]. [illegible] 30 [illegible] 1928—29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტი [illegible] აფთიაქების [illegible] ადგილობრივ [illegible] აღმასკომები; თბილისის ყველა [illegible] თბილისის აღმასკომს.

აფთიაქების გადაცემა უნდა ჩატარდეს მიმდინარე სამეურნეო წლის დამთავრებამდე.

აფთიაქების გადაცემისათვის სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო შემდეგი წესი და პირობები: გადაცემა უნდა მოხდეს ერთსა და იმავე დროს ყველა მაზრაში, გარდა თბილისისა; აფთიაქის გადაცემის დღისათვის სამაზრო-საქალაქო აღმასკომ [illegible] საქართველოს კოოპერატივებზე არსებული აფთიაქების საკითხი [illegible] შესახებ შეთანხმებულ უნდა იქნეს ჯანსახკომთან [illegible].

თბილისში არსებული აფთიაქების აღმასკომისათვის გადასაცემად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ოკუჯავას (თავმჯდომარე), კანდელაკის და ჟვანიას შემადგენლობით.

მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობისათვის

საკავშირო მთავრობამ კარგა ხანია გადასწყვიტა ებრაელთა ფართო მასების საწარმოო შრომაზე გადაყვანა. 1924 წლის 29 აგვისტოს ს.ს.რ.კ ცაკის პრეზიდიუმმა შექმნა ს.ს.რ.კ. ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმთან—მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი კომიტეტი (კომზეტი). ამ კომიტეტმა დაისახა მიზნად მთელი რიგ წლების განმავლობაში გადაიყვანოს სასოფლო მეურნეობაზე 100.000 ოჯახი. დღემდე უკვე გადასახლებულია 16.000 ოჯახი დაახლოებით 83 ათასი სული. ეს უსათუოდ დიდი მიღწევაა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მცირე დროს, რომლის განმავლობაში ხსენებული მუშაობა იქნა ჩატარებული.

ყირიმში, ხერსონის გუბერნიაში, უკრაინაში—საფუძველი ეყრება ებრაელ სოფელს, ებრაელ კოლონიას და დღეს ებრაელი გლეხი სრულიადაც აღარ წარმოადგენს იშვიათობას. უკანასკნელ ხანებში მთავრობამ გამოჰყო დიდი რაოდენობა მიწისა შორეულ აღმოსავლეთში—ბირო-ბიჯანის ოლქში, რის გამოც უკვე შეიძლება ლაპარაკი ხსენებულ რაიონში მთელი ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ.

როგორია საქართველოს ებრაელთა მდგომარეობა? არის თუ არა „მემს"-ი (მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი კომიტეტი) საჭირო მათთვისაც.

თუმცა საქართველოს ებრაელებს, განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო, არ განუცდიათ რუსეთის ებრაელთა შავი დღეები, მაგრამ ისინი მაინც ძალზე ჩაგრული იყვნენ. მათ შექმნეს სადღაც თავისებური „გეტტო" ჩაიკეტენ შიგ და სრულიადაც არ აინტერესებდათ კულტურული დუღილი, რომელიც მათ გარშემო სწარმოებდა. ამის შედეგად მათ შერჩათ როგორც პროფესია—ვაჭრობა და როგორც სულიერი საზრდო—რელიგიური ფანატიზმი.

ხელოსანი, მიწის მუშა, ქარხნის მუშა, ინტელიგენტი—საქ. ებრაელობაში რაღაც განსაკუთრებულ „ეგზემპლიარებს" წარმოადგენდენ.

რევოლიუციამ ძირფესვიანად შეატრიალა ყოველივე და საქ. ებრაელთა ფსიხიკაშიც მოხდა გარდატეხა. დაიწყო უდიდესი ლტოლვა სწავლა-განათლებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ლტოლვას უდიდესი გასაქანი მისცა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია თუნდაც ის ახლად აღმოცენებული კულტურული უჯრედები შრომის სკოლებისა და ბიბლიოთეკების სახით, რომლებიც დღესდღეობით პიონერის როლს თამაშობენ საქართველოს ებრაელთა შორის. მაგრამ ეკონომიურად საქართველოს ებრაელობა ჯერ კიდევ უმწეო მდგომარეობაშია, როგორც ბელორუსიაში და უკრაინაში. ცხოვრების ახალმა პირობებმა აქაც გამოაცალა მათ არსებობის წყაროები. წინანდელი წვრილი მოვაჭრეები დღეს სულს ჰლაფავენ, ხელოსნების რიცხვი ძლიერ მცირეა, პროფესიონალური კავშირის წევრები—ეს რაღაც განსაკუთრებული ბედნიერებაა საქ. ებრაელთა შორის,—თითებზე შეიძლება მათი ჩამოთვლა, მიწის მუშებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ცხადია, ასეთი პირობებში უნდა დაისვას საკითხი გამოსავლის შესახებ.

რასაკვირველია, ჩვენ ახალ სიტყვას ვერ ვიტყვით ამ დარგში. უნდა გავაგრძელოთ ის გზა, რომელიც დაისახა ცენტრმა: საქართველოს ებრაელების დიდი ნაწილი უნდა გადავიყვანოთ საწარმოო შრომაზე. ამ მიზნით დაარსებულია საქ. მშრომელ ებრაელთა მიწ.-მომწყობი საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ ორგანიზაციულ სტადიაში იმყოფება და რომელიც, ვფიქრობთ,—ფართოდ გაშლის თავის სამოქმედო ასპარეზს.

ვინც ახლოს იცნობს საქ. ებრაელთა დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, ის დაგვეთანხმება, რომ საქ. ებრაელობა მიექანება საბოლოო „კატასტროფისაკენ. ვიმეორებთ, ეკონომიური საარსებო წყაროები მას არ გააჩნია და საშინელი სიღარიბეა გამეფებული მათ უბანში.

დღეებმა მოიტანა საშინელი ამბავი: ქუთაისში ცეცხლის სტიქიამ გაანადგურა ისედაც გაღატაკებული ებრაელთა რაიონი. მრავალი ათასი კაცი საშინელ გასაჭირში ჩავარდა და დარჩა უსახლკაროდ და უბინაოდ. ამ სტიქიურმა უბედურებამ თითქოს უფრო გამოამზეურა ებრაელთა მწვავე არსებობა. და, აი, სწორედ დღეს საჭიროა დასახმარებლად ამოძრავებულ იქნეს ყველა ორგანიზაციები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა.

საჭიროა შეერთებული ძალღონით და ურთიერთ დახმარებით გამოინახოს სათანადო წყაროები საკითხის პრაქტიკულად გადასაჭრელად. საჭიროა ამთავითვე შექმნას პირველი კოლონია მაინც, რომელიც დაარწმუნებს „ურწმუნოებს", რომ ებრაელს, იქნება ეს სპეკულიანტი (?) „მოშია" თუ ქუთაისელი „ყობო" — შესძლებია პატიოსანი შრომა. რუსეთის ებრაელებმა ამ მხრივ უკვე ჩააბარეს საჭირო გამოცდა და დღეს მათ ლეგენდა (?) აღარ იმეორებენ. საჭიროა ჩვენი გონების ყოველ ხელმოწერა (?), ჩვენი სხეულის ძალისა და რბილში (?) შეუშვათ ის აზრი, რომ ეს ხალხი, რომელიც უკუღმართი ისტორიული პირობების გამო დაშორებული იყო მიწას, სასოფლო მეურნეობაში ნაყოფს მოიტანს, როგორც ყველა სხვა მიწის მშრომელი.

ეს უდიდესი პრობლემა—მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობა წამოაყენა საბჭოთა ხელისუფლებამ. საბჭოთა კავშირის ყოველი ორნიერული (?) მოქალაქის მოვალეობაა შეუწყოს ხელი მშრომელ ებრაელობას ამ ისტორიული ამოცანის გადაჭრაში.

გერცელ ბააზოვი.

ა-კ. ეკონომიურ საბჭოში

წყალის სარგებლობის გადასახადი

სარწყავი წყლით სარგებლობის ინსტრუქციების და წესების საბოლოო შემუშავება ა. კ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ დაავალა სპეციალურ კომისიას, რომელშიაც არჩეულ არიან ამხ. გუბენიძე, ამბარცუმიანი, ქართველიშვილი, ბაგიროვი და სმირნოვი.

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირი

ა. კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს დადგენილებით, საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის შემადგენლობა გაფართოებული იქნა „ზაკვტმინტორგის" ორი წარმომადგენლით.

კოოპერაციის უზრუნველყოფა ფინანსებით

ა. კ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს ეკონომსაბჭოს გრძელვადიანი სესხების ფონდიდან გამოყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის 50.000 მანეთი და თბილისის პურის ქარხნის ასაგებად—50.000 მანეთი. სომხეთის ეკონომსაბჭოს წინადადება მიეცა ერევნის პურის ქარხნის ასაგებად გამოყოს 25.000 მანეთი.

ა. კ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ დაადგინა ა. კ. კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ შექმნილი კოოპერაციის გრძელვადიანი სესხების ხელოვან ფონდის თანხების განაწილება შეჩერებულ იქნეს, სანამ ეს საკითხი არ გაირჩევა ა. კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოში.

ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებულია კოოპერაციის ფინანსებით უზრუნველყოფის შემდეგი ლიმიტები:

საქართველოს კოოპერაციისთვის—227.735 მან. აზერბეიჯანის კოოპერაციისთვის—226.271 მან. სომხეთისთვის—135.930 მან. და ამიერ-კავკასიის ფედერატიულ კოოპერაციისთვის—63.764 მანეთი.

საგზაო მშენებლობა

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ დაამუშავა საგზაო მშენებლობის გეგმა მიმდინარე წლისათვის. გეგმის განსახორციელებლად ბევრგან უკვე დაწყებულია მუშაობა. პირველ რიგში გადაწყვეტილია საქართველოს სამხედრო გზატკეცილის შეკეთება. ამჟამად მდ. თერგზე (დარიალის ხეობაში) სწარმოებს რკინის ახალი ხიდის აგება. ხიდის ასაგები სამუშაოები დამთავრებული იქნება მაისის ბოლო რიცხვებში, ხოლო 1-ლი ივლისიდან გაიხსნება გზაზე მოძრაობა თბილისიდან კავკასიამდე (?).

სამხედრო გზატკეცილის შეკეთება და გორიდან ცხინვალამდე და [illegible] როკამდე უკანასკნელ ხანზე ბევრგან სწარმოებს ახალი ხიდების აგება. მუშაობის სწრაფად წარმოებას აფერხებს სათანადო მომზადებულ ტეხნიკოსების ნაკლებობა.

მთიან ხეობაში გადაწყვეტილია გაიყვანოს ახალი გზა, რომელიც შეუერთებს [illegible] ხეობას [illegible] ხეობით [illegible].

წლიდან დაწყებული იქნება ახალი შარაგზის გაყვანა [illegible] ნაწილის გზის გასაყვანად ტყეკაფის (?) [illegible] სამუშაოთა კომისიამ, რომელიც დაარსებულია ს. მ. უ. საბჭოსთან, გადასდო 141.000 მანეთი. სამუშაოების შესრულება მინდობილი აქვს გზატკეცილების სამმართველოს.

გარდა ამისა, გზატკეცილების სამმართველოს ინიციატივით სწარმოებს მანგლისის გზატკეცილზე ახალი რკინა-ბეტონის ხიდის აგება (მდ. გუმბიწყალზე) და შიდა (?) საქართველოს გზატკეცილის შეკეთება.

ქრონიკა

იაპონიის სამხ. ატაშე ს. მ. უ. ს.-ში

გუშინ ს. მ. უ. ს: საბჭოს თავმჯდომარეს ინჟ. ბ. ჭიჭინაძეს ესტუმრა იაპონიის სამხ. ატაშე ბ. კოიანაგა და მისი თანაშემწე ბ. კავაბატა. იაპონელი სტუმრები დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს მრეწველობის მომავალი პერსპექტივებით და მრეწველობის მმართველ-გამგეობის ორგანიზაციის პრინციპებით. ყველა კითხვებზე ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ მისცა ამომწურავი პასუხი.

სტუმრები ს. მ. უ. ს.-ში დარჩნენ 1 საათი.

მანგლისის საბავშვო სანატორიუმის გახსნა

15 ივნისს თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება მანგლისში ხსნის ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სანატორიუმს. საკურორტო სეზონის განმავლობაში სანატორიუმში გატარდება 60 ბავშვი.

სანატორიუმში ბავშვები გაგზავნილი იქნებიან მხოლოდ ტუბერკულოზური დისპანსერების საშუალებით.

თბილისის ალმასკომში

◆ ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის შეკეთება დაიწყება ამ დღეებში, რის გამო ინსტიტუტი დაიხურება 4 თვით. ჯანმრთ. განყოფილება შეუდგა ავადმყოფების სხვა საავადმყოფოებში გადაყვანას.

◆ გაზის ქარხანა. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება შეუდგა გაზის ქარხნის აგებას.

◆ გამოკვლევა. განათლების განყოფილებამ გადაწყვიტა გამოიკვლიოს მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობა მათთვის დახმარების გაწევის მიზნით.

◆ ახალშენები. თბ. ალმასკომმა დაადგინა გააფართოოს უპატრონო ბავშვთა ახალშენები და იქვე მოაწყოს სპეციალური სკოლები.

◆ მიწის ნაკვეთები. თბ. ალმასკომმა დაადგინა მაზრაში მიწადმოწყობის ჩატარების დროს სკოლებისათვის გამოყოს საჭირო მიწის ნაკვეთები პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად.

ავიაქიმის წევრების აღრიცხვა

მიმდინარე 1928 წლის განმავლობაში იწარმოებს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრების ხელახალი აღრიცხვა, წევრების საერთო რიცხვის გამოსარკვევათ.

აღრიცხვის დროს წევრებს მიეცემათ ახალი საწევრო წიგნაკები.

საზაფხულო მუშაობა

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები შეუდგენ მუშაობის საზაფხულო გეგმის განხორციელებას.

ამჟამად ადგილებზე სწარმოებს საზაფხულო ლაშქრობის გეგმების შედგენა, ტირების მოწყობა და სხვადასხვა ხასიათის წრეების ჩამოყალიბება.

ზაფხულის განმავლობაში ყურადღება მიქცეული იქნება სასროლო საქმის და ტეხნიკურ მეცადინეობის წარმოებას.

მიღება სამხედრო-თეორეტიულ სკოლაში

საქართველოს ავიაქიმის საზოგადოება ამ ჟამად აწარმოებს კანდიდატების გადარჩევას სამხედრო თეორეტიულ სკოლაში გასაგზავნათ.

ხსენებულ სკოლაში საქ. თავდაცვა-ავიაქიმს დათმობილი აქვს 8 ადგილი.

„სოფლის კავშირში“

◆ ყრილობა. 20 მაისს თბილისში გაიხსნება „სოფლის კავშირის“ რწმუნებულთა მეორე რესპუბლიკანური ყრილობა.

◆ შაბიამანი. ახლო ხანში „სოფლის კავშირი“ მიიღებს შაბიამანის ახალ პარტიას.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ქუთაისიდან—ბალიჩევს, იქიდანვე—ციციშვილს, იქიდანვე—ჯაყელს, ლენინაკანიდან—ვანდიანს, თბილისიდან—ჯანაძეს.

ხელოვნების ქრონიკა

— ს. დოლიძის კონცერტი. დღეს განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება მომღერალ ს. დოლიძის კონცერტი.

— სიმფონიური კონცერტი. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში დღეს გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი ალ. გველესიანის დირიჟორობით.

— ყიზარეევას საგასტროლოდ. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ანა კარენინა“.

— „მზისკენ“. დღეს მუშათა თეატრში მოზარდთათვის წარმოდგენილი იქნება: „მზისკენ“.

— მიხ. კახიანის სახელობის ცენტრ. მუშფაკი უმუშევარ მუშფაკელთა სასარგებლოდ 18 მაისს ოპერის თეატრში მართავს დიდ საღამო-კონცერტს. ს. ინაშვილის, მირზა ელიავას, დოლიძის, ციმაკურიძის, ნიკო გოცირიძის, ა. ვასაძის, თ. ჭავჭავაძის და სხ. მონაწილეობით.

სასამართლო

სანამდე მიიყვანს კაცს სიხარბე

ერთად აღიზარდენ ძმები გიორგი და მიხა სოფრომაძეები. მშობლები მალე დაეხოცათ, დარჩა ოჯახი ორ ძმას.

გიორგი უფროსი იყო. მოეწყო ტყიბულის მაღაროებში სამუშაოზე. პატარა მიხაც წამოიზარდა და მანაც ტყიბულის მაღაროში ჰპოვა საარსებო წყარო.

მიხამ მალე დაიმსახურა მაღაროს მუშების შორის უწყინარი და სპეტაკი ადამიანის სახელი. ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა მიხას.

გიორგი სოფრომაძეს იცნობდენ მხოლოდ, როგორც ღვარძლიან და გაუტანელ კაცს.

გიორგის არ უნდა, რომ მის ოჯახში სხვა ვინმე იყოს. ძმა რომ არ ჰყავდეს, ხომ გიორგის იქნება მთელი სახლ-კარი, არავინ ეცილება მოზიარე. მეორეთვის ცოლს, გაიჩენს საკუთარ მყუდრო ოჯახს. დიდი ჯაფა არ დასჭირდება. თითქმის ყველაფერი მზად დაუტოვეს მშობლებმა. მხოლოდ ეს მიხა სად გადაამალოს..

გიორგიმ უკვე გაიჩინა საცოლე, დანიშნა კიდეც, მაგრამ სანამ ძმას თავიდან არ მოიშორებს, არ უნდა „გაბედნიერდება“.

გიორგის საშინელი გეგმა აქვს. სიამოვნებით მოჰკლავს თავის ძმას, ოღონდ არავინ არ უნდა გაიგოს. საჭიროა მოხერხებული დრო შეარჩიოს. მიხა უნდა მოჰკვდეს, ყოველ მიზეზს გარეშე..

მიხას სიკვდილის შემდეგ ოჯახის მემკვიდრე მარტო გიორგი არის. მთელი ოჯახი მისია. მაგრამ გიორგი სოფრომაძეს კიდევ მეტი უნდა, მას მკვდარი ძმიდანაც სარგებლობა უნდა ნახოს.

[illegible] შეუჩნდა გიორგი თავის ძმას, [illegible] თუ არა თავი დაიზღვიეო.

— რად მინდა დაზღვევა! რომელი ცოლშვილის პატრონი მე ვარ. თუ მოვკვდები, უკან არავინ მრჩება. შენს მეტი.. შენ რა ჩემი დახმარება გინდა.. ისედაც მთელი ოჯახი დაგრჩება.. თუ კაცი ხარ, ხუმრობას თავი გაანებე.

— მე უფროსი ძმა ვარ, უნდა დამიჯერო. შენზე უფრო მეტი მინახავს და გამოცდია დაიზღვიე თავი.. და უბრალოდ ხელი რომ გაიკაწრო მაღაროში, ათას მანეთს გამოგატანენ. მე რომ გეუბნები, დაიჯერე.

მიხა საერთოდ წინააღმდეგობას არაფერში არ უწევდა უფროს ძმას და ამაშიაც დაეთანხმა.

მიხამ დაიზღვია თავი 1000 მანეთად. გიორგის უხარია. შორს არ არის ის დრო, როცა 1000 მანეთს ჯიბეში ჩაიდებს.

გასულ წელს, 6 ივლისს გიორგიმ თავის უმცროს ძმას დაუბარა, რომ ის ცოლის წამოსაყვანად მიდის სოფელში და სთხოვა დახვედროდა რკინისგზის სადგურთან.

მიხამ დანიშნულ დროზე მივიდა სადგურთან. მატარებელმა ჩამოიარა, მაგრამ გიორგი არ ჩამოჰყოლია.

მიხამ ერთხანს იცადა სადგურში და შემდეგ თავის ამხანაგებთან ერთად გაუდგა გზას მაღაროებისკენ.

გზაში მათ სიდანღაც შემოხვდა გიორგი, რომელმაც დააბრუნა თავისი ძმა უკან და თან წაიყვანა.

უკვე ტყეს მოეფარნენ ძმები. მიუახლოვდენ რკინისგზის ხიდს.

— გაჰხედე! რა ლამაზად მიიკლაკნება მდინარე! გიორგიმ ხიდის მოაჯირთან მიიყვანა მიხა და როცა უკანასკნელი მდინარეს დაჰყურებდა, გიორგიმ სტაცა ხელი ძმას და გადაისროლა კლდეში.

გიორგი გაუდგა გზას. თითქოს არაფერი მომხდარაო. დიდ ხანს ესმოდა სასიკვდილოდ დასახიჩრებულ ძმის მწარე ამოძახილი კლდიდან: „მიშველეთ! მიშველეთ“-ო, მაგრამ მხეცი და ხარბი ადამიანი ამ დროს მხოლოდ 1000 მანეთზე ფიქრობდა.

გზაში გიორგის მოქალაქეები შემოხვდა, რომელთაც გაეგონათ მომაკვდავ კაცის ძახილი.

— გავიქცეთ, ვილაც გაჭირვებაშია. არ გესმის კაცო.

— არაფერი არ არის. იქ ყაზარმაა ახლოს. ვინმე დაითვრებოდა,—სთქვა გიორგიმ და ყველანი უკან დააბრუნა.

ცოტა ხნის შემდეგ მიხას გმინვაც მიწყდა. კლდის ძირზე დალია სული.

მეორე დღეს ნახეს მიხას გვამი. ეჭვით დააპატიმრეს გიორგი, რომელმაც მოახერხა ციხიდან გაქცევა და 3 თვე იმალებოდა. მაგრამ ისევ ხელში ჩაუვარდა ხელისუფლებას.

ქუთაისის სამაზრო სასამართლომ გიორგი სოფრომაძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

„სიძე“

— ჩემო სერაფიმა! შენი სიყვარული მე დიდი ხანია მქონდა, მაგრამ დღემდე ვერ ვბედავდი გამხელას..

— მეც მიყვარხარ, მეც მომწონდი და რაკი შენც გეყვარებივარ, ხელს რადა გეშლის. ვიყოთ ერთმანეთის.

— ძალიან კარგი, მაგრამ ცოტა ხელმოკლება ვარ და თუ თქვენი მშობლები დამეხმარებიან, დიდი სიამოვნებით,—ალექსანდრე მესხი მზითევს ეარშიყება.

— ამის შესახებ მამას მოელაპარაკე, ეს მე არ შემეხება.

— აქვს რამე? რამდენს გაძლევს,—მესხი ქათინაურებიდან ვაჭრობაზე გადავიდა.

ერთ მშვენიერ დღეს ალექსანდრე მესხმა თავის ამხანაგებთან ერთად „ქეიფი“ გაუკეთა სასიმამროს და ჩამოუგდო ლაპარაკი სწორედ ამ [illegible].

ბევრი იჟავრეს, ბევრი იდავეს და ბოლოს შეთანხმდენ. ხუთას მანეთი სასიმამრომ ამ დღესვე დაუთვალა, დანარჩენი „ზაქსში“ გატარების შემდეგ უნდა მიეღო სიძეს.

მესხმა წაიყვანა ქალი. მეორე დღესვე მოციქული აფრინა მაშიმე ლიკლიკაძესთან და შეუთვალა: როგორი ხარ პირობაზეო“.

სასიმამრომ თავის კაცის ხელით გაუგზავნა ფული სიძეს. მოუსრულა 1150 მანეთამდე, მაგრამ კიდევ დარჩა 150 მანეთი პირობის თანახმად.

ამასაც მალე მოგართმევო, შეუთვალა სიმამრმა სიძეს.

მესხმა იწყინა ეს ამბავი, მიატოვა ქალი და წავიდა ქუთაისში.

— რისი 150 მანეთი. მასხარად მიგდებს ლიკლიკაძე! მან დამატებით უნდა მომცეს 555 მანეთი, თორემ მის ქალს ახლოსაც არ გავიკარებ,—ბრაზობდა სიძე.

მიატოვა მესხმა სერაფიმა. არ გასჭრა არავითარმა მუდარამ.

— ჯერ ჩამოდით დაპირებული ფული და მერე ვილაპარაკოთ შერიგებაზე,—უთვლიდა ახალ შერთულ ცოლს მესხი.

აღიძრა სასამართლოში საჩივარი. დაიბარეს ალექსანდრე მესხი.

— მე ეხლაც ვაცხადებ, მოსამართლენო, რომ თუ მომცემენ დამატებით 550 მანეთს, ვიცხოვრებ ლიკლიკაძის ქალთან. თუ არა და ჩემის უკაცრავად. თავს არავის მოვატყუებინებ.

— თქვენ რას იტყვით?—ეკითხებიან სასიმამროს.

— ჩემი 1150 მანეთია დამიბრუნოს და ჯანდაბამდე გზა ჰქონია.

სვირის სახალხო სასამართლო ადგენს: ალექსანდრე მესხს მიესაჯოს საბჭოთა მოქალაქის სახელის გატეხისათვის თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით. გადახდეს ლიკლიკაძის სასარგებლოდ მზითევის ანგარიშში მიღებული თანხა.

გერ.

საექსკურსიო კომისიების საქალაქო კონფერენცია

გუშინ პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა საექსკურსიო კომისიების საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ სალექციო-საექსკურსიო ბიუროს გამგის ამხ. ქშონზერის მოხსენება—თემაზე: „როგორ უნდა ჩავატაროთ საექსკურსიო-ტურისტული მუშაობა 1928 წ. ზაფხულში“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საექსკურსიო ბიურო უკვე შეუდგა ექსკურსიების ჩატარებას. რამოდენიმე დღის წინად ექსკურსია მოეწყო ბაქოში და სხვა ადგილებში.

წარსული საექსკურსიო მუშაობის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ პროფორგანიზაციებს არ ჰქონდათ ექსკურსიების ჩატარების გარკვეული გეგმა, რის გამო ექსკურსიებს ეძლეოდა შემთხვევითი ხასიათი. ექსკურსიები უმთავრესად იმართებოდა საზაფხულო დასვენების დღეებში, რაც საგრძნობ გავლენას ახდენდა ჩვენი ექსკურსიების ღირსებაზე. გარდა ამისა, ექსკურსიებს ზოგიერთ შემთხვევაში გასეირნების ხასიათი ჰქონდა და არა აღმზრდელობითი.

ამჟამად ექსკურსიების წარმატებით ჩატარების მიზნით, შემუშავებულია ექსკურსიების კალენდარული გეგმა. მთელი საზაფხულო პერიოდისათვის. გეგმის მიხედვით მორიგი ექსკურსიები ჩატარდება საზაფხულო შვებულებების ხანაში.

წელს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება და ცალკე კავშირები ექსკურსიებს მოაწყობენ: ბათომში, ჩაქვში, ქუთაისში, ჭიათურაში, წინანდალში, ბორჯომში, ბაკურიანში, სამხრეთ-ოსეთში, სამხედრო გზაზე, ხევსურეთში, ყაზბეგში, რაჭაში, ალავერდში, ერევანში, ბაქოში, განჯაში, ნიკოპოლში, როსტოვში, ლენინგრადში და მოსკოვში.

ექსკურსიებისათვის დახმარების გასაწევად მოწყობილია რამოდენიმე საექსკურსიო ბაზა. ბაზებში ექსკურსიის მონაწილეთ მიეცემათ ღამის გასათევი ადგილი 30 კაპ. დღე-ღამეში თითო კაცზე. საექსკურსიო ბაზა აძლევს ექსკურსანტებს აგრეთვე ხელმძღვანელებს.

ექსკურსიების ჩატარების გაადვილების მიზნით, განზრახულია გამოიცეს სახელმძღვანელო წიგნი „ტურისტის თანამგზავრი“, რომელშიც მოთავსებული იქნება ექსკურსიების მარშრუტი საქართველოში.

განზრახულია მცხეთაში მოეწყოს საექსკურსიო ცენტრალური ბაზა.

პროფორგანიზაციების მიერ ჩატარებული ექსკურსიები მთავარ ამოცანათ უნდა ისახავდეს ჩვენი და მეზობელი რესპუბლიკების წარმოებების, შრომის პირობების და ყოფა-ცხოვრების გაცნობას. საერთოდ ექსკურსიები უნდა ატარებდეს წარმოების შესწავლისა და მხარეთმცოდნეობის ხასიათს და უნდა აშუქებდეს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის მნიშვნელობას.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კონფერენციამ ამხ. ქშონზერის მოხსენება მიიღო ცნობათ და ხელმძღვანელოთ.

1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

თბილისის მაზრაში

უახლოეს ხანში თბილისის მაზრაში დაიწყება 1928—29 წლის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის კამპანია.

თბ. ალმასკომის საფინანსო ორგანოს ცნობით, მომავალ წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების დროს მიღებული იქნება ენერგიული ზომები გასულ წლების შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

ამ მიზნით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილება სოციალურ ჯგუფებზე მოხდება იმნაირად, რომ ერთი მხრივ დახმარება გაეწიოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ღარიბები განთავისუფლებული იქნენ გადასახადისაგან, საგრძნობლად შეუმსუბუქოს გადასახადის სიმძიმე საშუალო შეძლების გლეხებს და გადასახადის მთელი სიმძიმე დაეკისროს სოფლის კულაკურ და შეძლებულ-მევახშე ელემენტებს.

გადასახადის სწორად და მიზანშეწონილად გასანაწილებლად აქედანვე დაიწყება დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვა ყოველ სოფელში.

სამისოდ, ისე როგორც გასულ წელში, მოეწყობა სასოფლო-საღრიცხვო კომისიები, რომლებიც მცხოვრებთა დაკითხვით გამოარკვევენ მოსახლეთა ეკონომიურ მდგომარეობას. საღრიცხვო კომისიების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რაც ხელს შეუწყობს თვითეულ მოსახლის ქონების სისწორით გამოკვლევას.

კამპანიის ჩასატარებლად უკვე დაწყებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ადგილობრივ ხელისუფლების საშუალებით გადასინჯული იქნება გასული წლის გადასახადის გადამხდელთა სასოფლო სია და გამოიყოფა ის მოსახლენი, რომელთა ქონების აღრიცხვის სისწორე არ არის გამორკვეული. ასეთ პირთა აღრიცხვა ჩატარდება ხელ-ახლა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, თუ რა გავლენა მოახდინა წლევანდელმა ზამთარმა და წყალდიდობამ მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. თემების ფარგლებში შესწავლილი იქნება კულაკურ-მევახშე ელემენტების მატერიალური მდგომარეობა, რომ მათი დაბეგვრა მოხდეს მათი [illegible] რაოდენობის მიხედვით და არა მხოლოდ რეალურად აღნუსხულ საგადასახადო ობიექტების გათვალისწინებით.

კასპის ცემენტის ქარხანა

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს კასპში ცემენტის ქარხნის ასაგებათ.

ქარხანა შენდება რკინის გზის ლიანდაგის ახლოს, რაც ხელს შეუწყობს ნაწარმოების თვითღირებულების შემცირებას და მის სწრაფად გადატანას დანიშნულებისამებრ.

საქართველოში ცემენტის ქარხნის აგება გამოწვეულია აღმშენებლობის გადიდებით. დღემდე ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ცემენტი შემოჰქონდათ ნოვოროსიისკიდან, რაც შედარებით ძვირი ჯდებოდა. გარდა ამისა, მთელ საბჭოთა კავშირში ცემენტზე მოთხოვნილების გაზრდის გამო, შეუძლებელი გახდა ნოვოროსიისკიდან საჭირო რაოდენობით ცემენტის შემოზიდვა, რაც გავლენას ახდენდა მშენებლობის საქმეზე.

ამის გამო ჯერ კიდევ 1926 წელში გადაწყდა საქართველოში ცემენტის ქარხნის აგება. ამ მიზნით საქართველოში შესწავლილი იქნა ცემენტის ყველა ბუდობები. გამოკვლევის შემდეგ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ცემენტის ქარხანა აგებული ყოფილიყო კასპში.

ადგილობრივ და სამრეწველო ცენტრებში [illegible] სამეცნიერო ცდებმა ხაზებით დაამტკიცა, რომ კასპის რაიონის ცემენტი საუკეთესო თვისებისაა და არაფრით არ ჩამოუვარდება საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების ცემენტს.

კასპის ქარხნის აგება დაიწყო 1927 წელს. მისი დამთავრება და ამუშავება მოსალოდნელია 1930 წლისათვის. საბოლოოდ შედგენილ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ქარხნის აგება დაჯდება 4.650.000 მანეთი.

საწარმოო გეგმის თანახმად ქარხანა პირველ ხანებში დაამზადებს ყოველწლიურად 700.000 კასრ ცემენტს, რაც სავსებით დააკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნილებას. შემდეგ წლებში ცემენტი გატანილი იქნება ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში.

ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობის ნაწილი შეძენილია საზღვარგარეთ, ნაწილი საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში. ქარხანასთან აგებული იქნება მუშათა საცხოვრებელი სახლები, ამბულატორია, სასადილო და სხვ.

ქარხნის ასაგები ხარჯები გაღებულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ლიტოგრაფიული ქვების ექსპორტი

სამთო მრეწველობის ტრესტი ღებულობს შეკვეთებს ლიტოგრაფიული ქვების ახალი პარტიების დასამზადებლად. გასული წლიდან საბჭოთა კავშირში ყველა ლიტოგრაფიული წარმოებები მუშაობენ მხოლოდ საქართველოდან გატანილ ლიტოგრაფიულ ქვებზე. როგორც ცნობილია, საქართველოში დღემდე ლიტოგრაფიულ ქვებს ამუშავებენ მხოლოდ ალგეთის რაიონში.

წელს, სამთო მრეწველობის ტრესტი ფიქრობს შეუდგეს ლიტოგრაფიული ქვების ახალი ბუდობების დამუშავებას თიანეთის რაიონში, სადაც ამ ერთი კვირის წინად გაიგზავნა სპეციალისტ-გეოლოგების კომისია. კომისიამ დაათვალიერა ლიტოგრაფიული ქვების ყველა ბუდობები და გამოარკვია, რომ თიანეთის ქვები [illegible] პირველ ხარისხოვანია და ძალიან გავს ცნობილ ზოლინგოფენის ქვებს. ამის გამო კომისიამ დაადგინა დაწყებულ იქნეს ადგილობრივ ქვების საცდელი დამუშავება და თუ გამოირკვა, რომ შესაძლებელი იქნება საჭირო, ნორმალური ზომის ქვების ამოღება, მაშინ გაიხსნას ახალი ქვის სატეხი კარიერები და მთელი მუშაობა ალგეთის რაიონიდან იქ იქნას გადატანილი.

მომავალი ზაფხულის განმავლობაში გადაწყვეტილია ქვების დიდი პარტიები გატანილი იქნას, როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე საზღვარ გარედ.

შემთხვევები

მკვლელობა

გუშინწინ, ღამის 2 ნახ. საათზე, კონსტანტინე კანდელაკის ბინაზე (მოსკოვის ქუჩა № 13), მოქ. რევაზ ბესარიონისძე მიქელაძემ (მცხ. თაიროვის ქუჩა № 2) ჩხუბის დროს ხანჯლით მოჰკლა პეტრე ნიკოლოზისძე ტრაპაიძე (მცხ. კერესელიძის ქუჩა № 34). მკვლელობის მიზეზი ირკვევა. მიქელაძე დაპატიმრებულია.

დაჭრა

ამ რამოდენიმე ხნის წინად ვიღაც ბოროტმოქმედმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა პეტრე მარკინზი.

გუშინწინ ბოროტმოქმედი დააპატიმრეს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა. იგი აღმოჩნდა ვასილ გაბრიელისძე მასლოვი.

რამოდენიმე დღის წინად ბაგრატ თოროზოვმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა თავისი შვილი—გიორგი და მიიმალა. გუშინ მილიციამ ბაგრატ თოროზოვი დააპატიმრა.

ჯიბგირის შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ჯიბგირები პლატონ კაკიტაშვილი და ალექსანდრე სულაბერიძე.

თავის მოწამვლა

გუშინ, დილით იოდით თავი მოიწამლა [illegible] პროკოფის ასულმა ვაჩეიშვილმა (მცხ. ერისთავის ქუჩა № 14). ვაჩეიშვილის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

ქურდობა

გუშინ, დილით გაქურდეს ელ. კოხანოვსკაიას ბინა (ვახტანგ ორბელიანის ქუჩა № 10); წაიღეს 1500 მანეთის ოქროულობა.—ზუგდიდიდან ჩამოსულ გლეხს—ბეგო ხორავას ვიღაც ჯიბგირმა თავისუფლების მოედანზე ჯიბიდან ამოაცალა 160 მანეთი და მიიმალა.—გაქურდეს მაქსიმ ვასილიევის ბინა (სტაროპოლის ქ. № 8); წაიღეს 150 მანეთის სხვადასხვა ნივთები. ამ საქმის გამო დააპატიმრეს სიმონ ალექსეევი.

მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა: მანუკ არუთინისძე მანუკოვი, გრიგოლ ეგნატესძე აპერსოვი და ვარამ მისაკისძე მანუკოვი.

—:—

განმარტება

ჩვენი გაზეთის 107 №-ში მოთავსებული ცნობა, ეკატერინე ცინცაძის თვითმკვლელობის შესახებ არ შეეხება სახმდვაჭრობის თანამშრომელ ეკატერინე ირაკლის ასულ ცინცაძეს.

სრ. საქ. ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

შეჯიბრები ფეხბურთში

დამტკიცებულია ფეხბურთის და კალათბურთის გუნდების შეჯიბრის გეგმა.

ფეხბურთის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ბათომის, ფოთის, სოხუმის და გორის გუნდები.

შეჯიბრები დაიწყება შაბათს 2 ივნისს „დინამო“-ს სტადიონზე.

პირველ დღეს თამაშობენ: ნაშუადღევის 4 საათზე ბათომი ,გორი, მსაჯი კუზნეცოვი, საღამოს 6 საათზე ფოთი-სოხუმი, მსაჯი მდივანი.

3 ივნისს: „დინამო“-ს სტადიონზე 4 საათზე გორი-თბილისი, მსაჯი კრავჩენკო, ლენინის სახელობის სტადიონზე საღამოს 6 საათზე ბათომი—სოხუმი, მსაჯი მდივანი.

4 ივნისს: „დინამო“-ს სტადიონზე ნაშუადღევის 4 საათზე გორი—სოხუმი, მსაჯი ოროხოვი; 6 საათზე თბილისი—ფოთი, მსაჯი იოსავა.

5 ივნისს: „დინამო“-ს სტადიონზე 4 საათზე თბილისი-სოხუმი, მსაჯი გალპერინი; საღამოს 6 საათზე ბათომი-ფოთი, მსაჯი იოსავა.

7 ივნისს: ლენინის სახელობის სტადიონზე 4 საათზე ფოთი—გორი, მსაჯი ბლანკმანი; 6 საათზე ბათომი-თბილისი, მსაჯი ა. იოსავა.

შეჯიბრები კალათბურთში

შეჯიბრები იწყება 3 ივნისს. ყველა შეჯიბრები ჩატარებული იქნება ლენინის სახელობის სტადიონზე.

3 ივნისს: დილის 11 საათზე— ბათომი-თბილისი (ვაჟების გუნდი), მსაჯი იოსავა. 9 საათზე— ბათომი-თბილისი (ქალები), მსაჯი იოსავა. 10 საათზე ფოთი-ქუთაისი. (ვაჟები), მსაჯი იოსებაშვილი.

4 ივნისს: 9 საათზე ბათომი-სოხუმი (ქალები), მსაჯი იოსებაშვილი. 10 საათზე ბათომი-სოხუმი (ვაჟები), მსაჯი იოსებაშვილი. 11 საათზე თბილისი—ფოთი (ვაჟები), მსაჯი იოსავა.

5 ივნისს: 9 საათზე სოხუმი-ქუთაისი (ქალები), მსაჯი იოსებაშვილი. 10 საათზე ბათომი-ფოთი (ვაჟები), მსაჯი იოსავა. 11 საათზე სოხუმი-ქუთაისი (ვაჟები), მსაჯი იოსებაშვილი.

6 ივნისს: ამ დღეს ყველა შეჯიბრებები, პოპულიარიზაციის მიზნით, ჩატარებული იქნება მუშტაიდის ბაღში. თამაშობენ: ნაშუადღევის 4 საათზე ბათომი-ქუთაისი (ქალები), მსაჯი იოსებაშვილი. 5 საათზე თბილისი-სოხუმი (ქალები), მსაჯი იოსავა. 6 საათზე ბათომი-ქუთაისი (ვაჟები), მსაჯი იოსებაშვილი. 7 საათზე თბილისი-სოხუმი (ვაჟები), მსაჯი იოსავა.

7 ივნისს: 4 საათზე თბილისი-ქუთაისი (ვაჟები), მსაჯი იოსავა. 5 საათზე თბილისი-ქუთაისი (ქალები), მსაჯი იოსავა. 6 საათზე სოხუმი-ფოთი (ვაჟები), მსაჯი იოსებაშვილი.

ფიზკულტურა სკოლებში

სოციალური აღზრდის მთავარი სამართველობა ამ დღეებში შეუდგება ფიზიკურ აღზრდის საქმის შესწავლას რესპუბლიკის სკოლებში. ფიზკულტურის მდგომარეობის გამოსაკვლევად სახ. განათლების განყოფილებებს დაეგზავნა სპეციალური ანკეტები.

ანკეტების მიხედვით განზრახულია გამოირკვეს სავარჯიშოების გაკვეთილების რაოდენობა ცალკე ჯგუფების მიხედვით; სავარჯიშო დარბაზების, მოედნების და ეზოების რიცხვი; სავარჯიშო იარაღებისა და სახელმძღვანელოების მომარაგების საქმე; სამკურნალო ზედამხედველობა მოწაფეებზე წლის განმავლობაში; სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; ექსკურსიების მოწყობის საქმე; მოწაფეთა გასამხედროების ორგანიზაცია და მათი კავშირი წითელ ჯარისკაცებთან, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წრეებთან და პიონერთა ორგანიზაციებთან.

ფიზიკური აღზრდის გამოკვლევის წარმატებით ჩასატარებლად, სოცაღზრდის მთავარმმართველობამ განათლების სამაზრო განყოფილებებს ამხ. მარიამ ორახელაშვილის ხელისმოწერით დაუგზავნა მიმართვა.

მიმართვაში ნათქვამია: ფიზიკურ აღზრდის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდაში. სამწუხაროდ ფიზკულტურას ჩვენს სკოლებში დღემდე არ ექცევა შესაფერი ყურადღება. ამას ხელს უწყობს ტანვარჯიშობის გამოცდილი მასწავლებელთა ნაკლებობა მაზრებში, სავარჯიშო დარბაზების და მოედნების უქონლობა, საქმიდ კონტროლის მოუწესრიგებლობა და სხ.

ამის გამო წინადადება გეძლევათ სისწორით ჩაატაროთ ფიზკულტურის საქმის გამოკვლევა სკოლებში და შეადგინოთ მაზრაში ფიზკულტურის მდგომარეობის შესახებ საერთო მიმოხილვა-ანგარიში და გამოგზავნოთ დანიშნულებისამებრ.

გამოკვლევის წარმატებით ჩატარებაზეა დამოკიდებული მომავალ სასწავლო წლიდან ფიზკულტურის საქმის სავსებით გამოჯანსაღება და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

ჩატარებულ გამოკვლევის მიხედვით სოცაღზრდის მთავარმმართველობა მომავალ სასწავლო წლისათვის შეიმუშავებს სპეციალურ და ფართო გეგმას სკოლებში ფიზკულტურის საქმის გასაცხოველებლად.

გამოკვლევა უნდა დასრულდეს 30 მაისისათვის.

ფეხბურთი

მორიგი კალენდარული შეჯიბრები

კვირას, 20 მაისს, გაიმართება შემდეგი კალენდარული შეჯიბრებები:

„დინამო“-ს სტადიონზე — დილის 11 საათზე „ამ.-კავკ. ქვეითი სკოლა“ — სტალინის სახელობის გუნდი, მსაჯი ფარულავა. დილის 1 საათზე: კომუნალური მუშაკების პირველი გუნდი — პლეხანოვის სახელობის პირველი გუნდი, მსაჯი ორეხოვი.

ლენინის სახელობის სტადიონზე: დილის 8 საათზე— მექანიკური ქარხანა— მეჭედავები. მსაჯი კრავჩენკო. 10 საათზე—საამშენებლო ტეხნიკუმი— არსენალი, მსაჯი ვლ. პროკოფიევი. 12 საათზე — მეტყევეები რკინის გზ. საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, მსაჯი კუზნეცოვი.

პირველი კატეგორიის გუნდებიდან თამაშობენ: „დინამო“-ს სტადიონზე ნაშუადღევის 3 საათზე—„დინამო—ბ“—„საბჭოთა მუშაკები“, მსაჯი დ. მდივანი.

ლენინის სახელობის სტადიონზე საღამოს 5 საათზე თამაშობენ „დინამო—ა“ და „გემოკვების მუშაკები“. მსაჯი ა. იოსავა.

ეს მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან ფაქტიურად ამ შეჯიბრმა უნდა გადაწყვიტოს მიმდინარე სეზონის პირველობის ბედი.

ჯერჯერობით არც ერთი ამ გუნდს არ აქვს დამარცხება.

რკინის გზებზე

საბინაო მშენებლობა ა. კ. რკინისგზებზე

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა და ა.-კ. რკინისგზათა გამგეობამ უკვე დაასრულეს ცენტრალური კომუნალურ ბანკის სესხის— 750.000 მანეთის განაწილება უბნებს შორის სახლების ასაშენებლად უბინო რკინისგზელებისათვის. დამტკიცებული გეგმის მიხედვით მთელს ამ.-კავკ. რკინისგზებზე მიმდინარე 1928 წლის განმავლობაში უნდა აშენდეს 30 კაპიტალური სახლი 136 ბინით. სხვათა შორის გეგმით გათვალისწინებულია თბილისში ორი ორსართულიანი სახლის აშენება 24 ბინით. ამას გარდა აშენდება:—ბათომში—1, ფოთში—2, ხაშურში—1, შორაპანში—1, გურჯაანში—2, განჯაში—8, აჯიკაბულში—3; ხაჩმასში—1, ლენინაკანში—6, და ერევანში—3 სახლი. სესხი ჩამოთვლილ პუნქტებს შორის ასე განაწილდა:—ბათომს მიეცა 19.164 მან. 60 კაპ. ფოთს—38.329 მან. 20 კაპ. შორაპანს—19.164 მან. 60 კაპ. ხაშურს—19.164 მან. 60 კაპ. თბილისს 139.872 მან. 60 კაპ. გურჯაანს 36.329 მან. 20 კაპ., განჯას—153.316 მან. 80 კ. აჯიკაბულს—57.493 მ. 80 კ. ხაჩმასს—19164 მ. 60 კ. ლენინაკანს—114.987 მ. 60 კაპ. და ერევანს—57.493 მან. 80 კაპ.

გარდა ხსენებული თანხისა, მიეცა სესხის სახით თბილისის რკ. გზ. საბინაო საამშენებლო კოოპერატივს—35.000 მანეთი, ბაქოს კოოპერატივს „წითელ რკინისგზელს“—20000 მანეთი და მიასნიკოვის სახ. ლენინაკანის რკ. გზ. საბინაო კოოპერატივს—20.000 მანეთი.

ამას გარდა, ბაქოს უბანს საბინაო მშენებლობისათვის ბაქოს ქალაქის საბჭომ გადასცა 200.000 მანეთი, ამგვარად ცეკომბანკის სესხი რესპუბლიკებს შორის ასე არის განაწილებული:

საქართველოს—309.024 მან. 80 კაპ. ანუ 32,5 პროც., აზერბეიჯანს—449.975 მან. 20 კაპ.—ანუ 47,5 პროც. და სომხეთს—192.481 მან. 40 კაპ.

ხანძარი რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში

გუშინ შუადღისას თბილისის მთავარ სახელოსნოების სამჭედლო-სამქრო-სამანქანო განყოფილებაში მოულოდნელათ გაჩნდა ხანძარი, რომელიც სწრაფად მოედო მთელ განყოფილებას და ავიდა სახურავზე. ხანძრის ადგილზე გამოძახებისთანავე გაჩნდა რკინის გზის ცეცხლის მქრობელთა რაზმი, რომელმაც შესძლო ხანძრის ლიკვიდაცია.

დაზიანებულია განყოფილების სახურავის ნაწილი. ხანძრის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

ხანძარი სოფ. სავანეს-უბანში

გუშინ ა. კ. რკინის გზის სამმართველოს სად. ლიხიდან აცნობეს, რომ 15 მაისს ღამით სოფ. სავანეს-უბანში (სად. ლიხიდან 2 კილომეტრის დაშორებით) გაჩნდა ძლიერი ხანძარი. იმავე ღამეს ხაშურიდან გაიგზავნა ხანძრის სალიკვიდაციო დამხმარე მატარებლით რკინის გზის მეხანძრეთა გუნდი, გუნდის ენერგიული ზომებით ცეცხლი მალე ჩაიქრეს. მიუხედავად ამისა ,ხანძარმა იმსხვერპლა ორი სახლი. დაზარალებულებს ადგილობრივმა საბჭომ აღმოუჩინა სათანადო ბინები.

დახმარება უმუშევრებს

ა. კ. რკინის გზელთა პროფკავშირმა უმუშევარ რკინის გზელთა დახმარების გასაძლიერებლად დამატებით გადასდო 10.000 მანეთი. ეს თანხა უბნების მიხედვით ასე განაწილდა: თბილისის უბნის პროფკავშირს მიეცა—4.000 მანეთი, ხაშურისას—1.000 მანეთი, სამტრედიისას—1.000 მანეთი, ბათომისას—500 მანეთი, განჯისას—500 მანეთი, ბაქოსას—2.500 მანეთი და ლენინაკანისას—500 მანეთი. აღნიშნული დოტაციით საგრძნობლად უდიდდებათ ყოველთვიური დახმარება უმუშევარ რკინის გზელებს.

საქმის წარმოების რეორგანიზაცია

საქმის წარმოების ტეხნიკა რკინის გზაზე თანდათანობით მარტივდება. ამჟამად ხაშურში, განჯასა და ერევანში სწარმოებს ბილეთების გაყიდვის რეორგანიზაცია. ხაზის ანგარიშების ნაცვლად ზემოხსენებულ პუნქტებში მოეწყობა ბილეთების ბიუროები. რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 1-ლ ივლისისათვის.

მეცნიერება და ტეხნიკა

პრემია მარსის შესწავლისათვის

ჯერ კიდევ 1923 წ. საფრანგეთის ასტრონომიულ საზოგადოებასთან დაარსდა ფლამარიონის სახელობის პრემია, რომელსაც ყოველ წლიურად აძლევენ მარსის ფიზიკური მდგომარეობისა და ბუნების შესახებ დაწერილ საუკეთესო გამოკვლევათა ავტორებს. პრემიებს აძლევენ აგრეთვე მარსის შესახებ დაწერილ პოპულიარულ შრომებისათვის.

1923 წ. პრემია მიუსაჯეს საფრანგეთის ობსერვატორიის ასტრონომს ხეტივე-ფურნიეს; 1924 წ. იგი მიიღო პლანეტების გამოჩენილმა მკვლევარმა იამაიკის ობსერვატორიის ასტრონომმა ვ. პიკერინგმა; 1925 წ.—მარსის ცნობილმა მკვლევარმა, მედონის ობსერვატორიის ასტრონომმა—ანტონიადიმ; 1926 წ. ეს პრემია გაიყვეს ლიკის ობსერვატორიის ასტრონომმა რაიტმა და მზის ობსერვატორიის ასტრონომმა ფრანკ როსმა, რომელთაც ეკუთვნის მარსის საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები.

სახარას მორწყვა

ეგვიპტის გეოლოგიური სამმართველო ამჟამად ამუშავებს სახარის უდაბნოს ნაწილის—ლივიის უდაბნოს მორწყვის პროექტს. ჩრდილოეთ-აფრიკის დიდი უდაბნოს ეს ნაწილი წარმოადგენს უზარმაზარ ნაპრალს, რომლის ფსკერი უფრო დაბალია, ვიდრე ხმელთა შუა ზღვის დონე. უდაბნოს მოსარწყავად საჭიროა არხის გათხრა 300 კილომეტრის მანძილზე. ზღვა, რომელიც წარმოიშობა, ლივიის უდაბნოს ნაპრალში, ხელს შეუწყობს ნალექების რაოდენობის გადიდებას ახლო-მახლო რაიონებში და აყვავებულ ბაღებად გადაქცევას სილიან უდაბნოს.

1600 წელიწადი დაუჟანგავათ

ქ. დელის (ინდოეთში) ახლო დგას უზარმაზარი რკინის ძეგლი, რომელიც 1.600 წლის წინად არის დამზადებული. ერთმა ამერიკულმა საზოგადოებამ დაწვრილებით გამოიკვლია ძველ ინდუსების ეს შესანიშნავი ძეგლი. მიუხედავად იმისა, რომ 1.600 წელიწადია რაც დადგმულია, ძეგლზე არ აღმოჩნდა ჟანგი. ძეგლის რკინის ქიმიურმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ ის არის არაჩვეულებრივად წმინდა რკინა, რომელიც შეიცავს მხოლოდ 0,114 პროც. ფოსფორს. სხვა ნარევი მასში არ აღმოჩნდა.

თუ როგორ დაამზადეს ეს დაუჟანგავი რკინა, გამორკვეული არ არის.

მეხანძრე—ჭიანჭველები

ფრანგმა ბუნებისმეტყველმა ქალმა მარგარიტა კომმა გამოარკვია, რომ ზოგიერთი სახის ჭიანჭველებს ჰყავს მეხანძრეთა რაზმება ცეცხლის ჩასაქრობად. როცა ჭიანჭველების ბუდეში ჩაირჭვეს ანთებული წვრილი სანთელი, დაუყოვნებლივ გაჩნდენ ცეცხლის მქრობელი ჭიანჭველები, რომელთა ნაწილი ცეცხლს აქრობდა სპეციალური სითხის გამოშვებით, ნაწილი კი—ღრღნიდა სანთელს.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 17 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: მარიამ მასიასიცი, ანნა ავლონინა, სურენ შაგერდოვი, ბართლომე კილაძე, ნიკოლოზ დეკტეროვი, ანდრო საკოევი, სერგო კოსტანოვი, ამაიკ ზადგუკი, ალექსანდრე კუპრიანოვი, ალექსი მასიურიანცი.

გონებრივ მუშაკთა მეოთხე სექციიდან: გიორგი ჩავლეიშვილი, მათე ხუხუნაშვილი, დიმიტრი ფეილენიშვილი, ფილიპ ფალავანდიშვილი, ანტონინა ზაბროვსკაია, ვერა თემოვა, ელისაბედ პოზდეევა, ნატალია ადამოვა, თომა ქართველიშვილი, ივანე ოგანეზოვი, მიხეილ ბოგდანოვი და შალვა ოქროპირიძე.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: კონსტანტინე პიწხელაძე, გიორგი გეჯაძე, არშაკ არუთინოვი, ივანე ბოგოპაჩიანი, ლეონ ტონიანცი, გაბრიელ მაკიევი, მუშეღ ნავოიანი, რევაზ გიორგანიშვილი, სერგო სარქისოვი, ვასილ მათიკაშვილი, შალვა ლაზარიევი, ეგონ ეგიევი, დავით მამაჯანოვი, ივანე წამალაშვილი, ბაგრატ მანუკიანი, სარუხ გობიევი, ერვანდ ალიხანოვი და ნერსეს მოშიაშვილი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: გიორგი დოლიძე, მიხეილ მარქაროვი, მიკირტიჩ ოგანეზოვი, გიორგი მეხრიაშვილი, მ. რატიშვილი, არამე ბაღდასაროვი და ლევან ხარაზოვი.

მედსექციიდან— ნიჭბერ აბულაძე, კონსტანტინე სამარგინი, ევატ შვიაძე, მარიამ კოტლიარენკო და ევდოკია პინჩუკი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 17 მაისი

დღეს, 17 მაისს, [illegible] დასვენებელი დღეა, გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 18 მაისი

პარასკევს, 18 მაისს, [illegible] 4 [illegible] ტიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მიმდინარე ამბები—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევები—საუბარი ქართულ ენაზე.

ადამიანის წარმოშობა—მოხსენება (გაგრძელება) რუსულ ენაზე.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების საკითხის რეალიზაციის შედეგები ამიერ-კავკასიაში—მოხსენება რუსულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—თურქულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

პიონერების გაზეთი—ოსურ ენაზე და ოსური ორკესტრისა და გუნდის გამოსვლა.

ცოფი და მის წინააღმდეგ ბრძოლა—მოხსენება თურქულ ენაზე.

საქარ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტის ტრანსლაცია სახ. კონსერვატორიიდან.

ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საგლეხო მეურნეობათა ვალის ჩამოწერის შესახებ

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. ოქტომბრის 15-ს მანიფესტისა (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1927 წ. 61 №-რი, მუხ. 613) და ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 2-ს დადგენილების (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1927 წ. 61 №-რი, მუხ. 513) თანახმად, საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩამოწერილად ჩაითვალოს საქართველოს ს. ს. რ. საგლეხო მეურნეობათა (როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური) მთელი ის ვალი, 1927 წ. ნოემბრის 7-თვის გადაუხდელი, რაც მათ 1924—25 წლის სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციისათვის სესხად მიეცათ საკრედიტო ამხანაგობების მეშვეობით საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკებისათვის გადაცემული თანხებიდან 165.374 მან. და 10 კაპ. რაოდენობით.

2. ჩამოიწეროს, დაბრუნების სრული უიმედობის გამო, იმავე კრედიტებიდან და იმავე მიზნით ყოფილი „წარმოკავშირის“-სათვის მიცემული სესხი 122.412 მან. რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუსწოროს 1923 წ. ივნისის 1-მდე საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებმაც თავიანთი ვალი საკუთარი სახსრით დაფარეს, ანგარიში ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის იმ ინსტრუქციის საფუძველზე, რაც ს. ს. რ. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოცემულ იქნა ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 2-ს დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ს. ჟულელი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მეგრელიშვილი.

1928 წ. აპრილის 24
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის ახ. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 17 მაისს, დღის 12 საათზე მოწვეულია კომკავშირის ბიურო-კოლექტივის სხდომა. წევრთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე მოხსენებაზე უნდა გამოცხადდენ აგრონომიული და ეკონომიური ფაკულტეტების 1-ლ, მე-2-რე, მე-3-მე და მე-4-ე კურსების და პოლიტეხნიკური ფაკულტეტების უჯრედთა მდივნები.

—:—

დღეს, 17 მაისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის ალმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიკომის მორიგი პლენუმი რაიკომის წევრებისა, სარევიზიო კომისიისა და ინსტრუქტორების მონაწილეობით.

კვირას, 20 მაისს, შუადღის 1-ლ საათზე, ქალ. ლანჩხუთის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ლანჩხუთის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გამგის აგრონომ

ვარლამ (ვლოდია) იოსების-ძე ღლონტის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ მეგობართ და ნათესავთ გულდამწვარი მშობლები: იოსებ და ანნა, ძმები: ნატიფი, სიმონ და შალვა; დები: კატო, მატრონე და მაშა; რძალი ფეოდორა; მამიდა ქრისტინე და სიძე აქსენტი წილოსანი თავიანთი შვილებით. ნ. 1106

ღრმად დამწუხრებულნი ამხანაგები—დარჩელის შვიდწლედის მასწავლებლები: ქრისტი კვარაცხელიასი, ლიდა ხაზალიასი, ვალენტინა გვასალიასი, თამარა ჟორდანია, ფეოდოსია ნოდია, შალვა ცხაკაია, იასონ კირია, კოლია კირია, კოლია ჩიქაშვილი, სერაპიონ ხაზალია, კოლია ბებია და პლატონ სორდია აუწყებენ ამხანაგებს და საზოგადოებას ძვირფასი და ენერგიით სავსე ამხანაგის

შალვა გოშუას

ტრაგიკულად დაკარგვას. ნ. 1108

სამუელ და ვასო ოთხმეზურები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა-წ. 15 მაისს ვერაგულად მოკლულ იქნა მათი საყვარელი დისწული

პეტრე ნიკოლოზის-ძე ტრაპაიძე

გამოსვენება ბინიდან (კერესელიძის ქუჩ. № 34) დღის 4 საათზე, დაკრძალვა ნიკოლოზის ახალ სასაფლაოზე. (ნ. ე.)

უცხოეთის ორი
ახალი სურათი
გამოშვებულია
1927 წ.

კინო აპოლოში
„დედის გული“
ჟერმენ დერმოზის და ჟოზეფინ კრიმერის მონაწილ.

კინო არფასტოში
„ღამის ექსპრესი“
ვანი ვეისეს და ჟორჟ შარინას მონაწილეობ.

სიმფონიური ორკესტრი
1107

პალასი სოლეი მინიონი	საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება მხატვრული ფილმი **ბოშური სისხლი** რეჟისორი ლევ პუშ ოპერატორები გალპერინი და კალატოზიშვილი მთავარ როლებში—მარია შირაი, კ. მიქაბერიძე, ა. თაყაიშვილი
აპოლო	უცხოეთის ახალი სურათი **დედის გული** ჟერმენ დერმოზის მონაწილეობით
არფასტო	სეზონის საუკეთესო სურათი **ღამის ექსპრესი** უცხოეთის ნაწარმოები
ოდეონი	უკანასკნელი დღე **გორა** პარასკევიდან გრანდიოზული სურათი ორი მსოფლიო
დარბაზი	ორიგინალური კომედია ოხლოპკოვის მონაწ. **მიტია**
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული კინო რომანი 4 სერიათ **მკვლელის დალი** 1 და 2 სერია ერთად

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი მიწა ტყვეობაში, და სამი მუშკატერი. 0—12

მალე
დუგლას ფერბენქსი
ადოლფ მენჟუ
ბარბარა ლა მარ
საუკეთესო სურათში
?
ნ. 1108

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა
ამიერ-კავკასიაში
(„ЗАКГОССТРАХ“)
სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა აწარმოებს დასაზღვევ ოპერაციებს გადამდებ სნეულებათა, როგორც მაგ. მუცლის, პარტახტიანი და შებრუნებითი ტიფის, პარატიფის, ტიფოიდის, ყვავილის, წითელას, ქუნთრუშას, ხუნაგის, გრიპის, ფილტვების კრუპოზული ანთების, მუცლის, წითელი ქარის, სეპტური ავადმყოფობათა, ციმბირის წყლულის, ცოფიანობის, ენცეფალიტის, ტეტანუსის, მალარიის, ეპიდემიური ცერებრო-სპინალური მენინგიტის, ქოთალის, ხოლერის და შავი ჭირისაგან სიკვდილის შემთხვევათაგან.
პრემია დასაზღვევი თანხის 1000 მანეთზე—2 მან. 50 კაპ. წლიურად ან 1 მან. 75 კაპ. ნახევარ წელს.
დაზღვევა შეუძლიათ ყველა მოქალაქეთ 16 წლიდან 60 წლამდე სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის ყველა კანტორებსა და სააგენტოებში. ნ. 1104

ნადი „მილოვარი“-ს
სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, რომ სალიკვიდაციო ანგარიში გათავდა და ნადი ლიკვიდაცია ქმნილია.
სალიკვიდაციო კომისია. 2385

ბორჯომის კონტრაგენტს
დავით ტრიფონის-ძე ლომსაძეს
წინადადება ეძლევა ერთი კვირის განმავლობაში გაასწოროს გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორასთან ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები.
2—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

რიონის ჰიდრო-ელსადგურის
სამუშაოთა სამმართველო
აცხადებს ქ. ქუთაისში, დღის 12 საათზე 25 მაისს
შეჯიბრს
მიწისა და კლდის სამუშაოებზე საგურის მარჯვენა ნაპირის გასაწმენდათ
საორიენტაციო რაოდენობა მიწის სამუშაოებისა 2.000 კუბ. მეტრი, კლდის 14.000 კუბ. მეტრი.
საორიენტაციო ჯამი იჯარის 35.000 მან.
სამუშაოს შესრულების ვადა 2 თვე.
აღნიშნულ სამუშაოს დაწვრილებითი წერილობითი კონდიციებს მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ ქუთაისში სამუშაოთა სამმართველოში 10 საათიდან 13 საათამდე.
ის პირები და ორგანიზაციები, რომელთაც სურვილი ექნებათ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრში, სათანადო განცხადებას შეიტანენ დაწესებულ ბლანკზე დაბეჭდილ კონვერტში შემდეგი წარწერით: „რიონჰესის მთავარ ინჟენერს 25 მაისის შეჯიბრისათვის“. ვინც საწინდარის შეტანისაგან განთავისუფლებული არ არის, მათ მიერ განცხადებულ ფასის 10 პროც. შეტანილი უნდა იქნეს სამუშაოთა სამმართველოს კასაში შეჯიბრის დაწყებამდე.
ნ. 1105 რიონჰესის მთავარი ინჟენერი მელიქ-ფაშაევი.

ლაგოდეხის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
ლ. ხირსელი
ამით აცხადებს, რომ ის 1928 წლ. 20 მაისს, დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის დაბა ლაგოდეხში ილია ბეროშვილის მოძრავ ქონებას: 1) ფეხის საკერავი მანქანა ზინგერისა № 113909, 2) ბუფეტის შკაფი შუშის კარებებით 1 ც., 3) კამოდი, 4) იყიდება დუქანი ფიცრისა, როგორც მასალა დახურული ყავრით, ორი კარებით და ოთხი ფანჯარით, 5) ძველი კ დლის ხალიჩა 3×1 1/4 არშ., 6) სასადილო მაგიდა 2 1/2×1 1/4 არშ.; 7) შირმა ოთხსაკეცი. ზემოაღნიშნული მოძრავი ქონება იყიდება ალექსანდრე სუკონიკოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, (380 მანეთი და 60 კ.) თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა, გაცემული ლაგოდეხის სახალხო სასამართლოსაგან 23 დეკემბერს 1927 წლ. თარიღით № 1460. ზემოაღნიშნული მოძრავი ქონება გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ადგილობრივ დ. ლაგოდეხში და შეფასება მათი მოხდება საჯარო ვაჭრობის დღეს კომისიის და ადგილობრივ ხელი უფლების წარმომადგენლის თანადასწრებით. 2384

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9. საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 52—1 ტელ. 12—76

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 5, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

დავკარგე: მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წიგნაკი დიანოზა გიგოლაძე გახოკიას სახელზე, ჩ. გ. 2383

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 14 | 4441 ალექსანდრე სამსონისძე ლაშხის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე: შვიდწლედის დამთავრების ატესტატი მოცემული მარტვილის თემის ცხრაწლედის გამგის მიერ და სიღარიბის მოწმობა ვახტანგი ფუგეკორის სახელზე, ჩ. გ.

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68